

2016 #6

ფასი 5 ლარი

ISSN 2346-7878



9 772346 787006

2016 / #6

XII  
თ მ ხ ა ვ ი ბ

## გენერაციული თანასწორებისთვის

360 CASCADE





ბახტონის და ფანასკერტელის ქუჩების მიმდებარედ | [info@cascadeconstruction.ge](mailto:info@cascadeconstruction.ge)  
Facebook: [cascade360](https://www.facebook.com/cascade360) | ტელ.: +995 551 702 702; 2 430 360

ნომერი მომზადებულია გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისათვის“ ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

ამ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორებისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოების მოსაზრებებს.



---

## UN JOINT PROGRAMME FOR GENDER EQUALITY





პროექტის პატიონი: ბახვა ბრენდის, ეთია ლომიძე  
 პროექტის ხელმძღვანელი: ნაცი კიჩებელი  
 კომუნიკაციის გუნდი: სალოე შარვაძე

#### ნორიზე მუხამდებარებები:



ყელს ფოთი: მიორმი ელიანი

იჩენ კახურაშვილი  
 ეთია საჩიტანია  
 მიორმი მაისურაძე  
 მაკა ბხველიანი  
 მიორმი კეკელიძე  
 ნინეა ხაინიძეავა  
 მიშა ბახვამილანი  
 ელენე აბაშიძე  
 ზომარი - ზურა ჰიმკარიანი  
 მიორმი ორაბეგიძე  
 თამარ კარელიძე  
 თაბარ კიკენველიძე  
 თინა მარარიშვილი  
 მომა აფშილარი  
 ზუკა ბერძენიშვილი

სტილი / კორექტურა: მარა ლომიძე  
 ურნების ეფუძნები: მიორმი ელიანი  
 ჩაკალამის ეფუძნები: ნათა ყიფიანი

ფოთი: მიორმი ელიანი  
 თინა მარარიშვილი  
 ირა კურავება  
 მაკა მომალიძე  
 მიშა სამარელიძე

ვიზუალი: Image Laboratory by Lana Matakharia  
 სოფტი: მოკოვკო

გამოსახულები: ჩელაჭინა N3

ინიციატორი: თაბარ სამუკაშვილი  
 მაყილევების გა მარკეტინგის სამსახური:  
 თემა კოლოფარი  
 თეკა თუთხერიძე  
 ელენე ერიქიძე  
 მარიამ ცეკიტიშვილი

შესრულებული მასალა წარმოადგენს ურნები "XII"-ს საკუთრებას.  
 შესრულებული წარმომადგენელი ნებისმიერი მასალის გამოყვეყნება ჩელაჭინის  
 ცენტრალური ნებართვის მაჩევე აკრძალების  
 გამოცემის სფალიანი მასოთობის მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს  
 ჩელაჭინის პოზიციას.  
 შესრულებული "XII" არ იჩებს პასუხისმგებელას სარეკლამო ფესტივალის შინაარსზე.  
 მისამართი: თბილისი, ს. ჭავჭავაძის ქ. N8

## ჩემი სახელის სახელი

2010 წლიდან საქართველოში შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით გაეროს ერთობლივი პროგრამა „გენდერული თანასწორობისათვის“ ხორციელდება. პროგრამის ფარგლებში გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women), გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ქვეყანაში ქალთა უფლებების დაცვასა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაზე ზრუნავენ.

წლების განმავლობაში, ამ პროგრამამ არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ინიციატივა განახორციელა. ჟურნალ 12-ის ეს ნომერი, რომელიც ქალებზე, კაცებსა და ახალგაზრდებზე, მათ ცხოვრებასა და პრობლემებზე, თანასწორობაზე, ადრეულ ქორწინებაზე, ქალთა და გოგონათა მიმართ თუ ოჯახში ძალადობაზე, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევაზე, ქალების პოლიტიკაში ჩართულობასა და ეკონომიკურ გაძლიერებაზე, სტერეოტიპებსა და მათთან ბრძოლაში თითოეული ჩვენგანის მნიშვნელოვან როლზე გიამბობთ, სწორედ გაეროს სააგენტოების მუშაობის შედეგებს ასახავს და წლების განმავლობაში დაგროვილ სათქმელს ამბობს.

სტატიებში მოთხობილი ამბები რეალურია. ადამიანები, რომელთაც ნომრის ფურცლებზე გაიცნობთ, ჩვენ გვერდით ცხოვრილი არის. საკითხები, რომლებზეც გვინდა, რომ დაგაფიქროთ, თითოეული ჩვენგანის ყოველდღიურობიდანაა. პრობლემები, რომლებიც ქალებსა და კაცებს თანაბრად გვეხება, ერთად უნდა გადავჭრათ, რათა უფრო დემოკრატიულ, სამართლიან და თანასწორ საზოგადოებაში ვიცხოვროთ.



UN JOINT PROGRAMME  
FOR GENDER EQUALITY



# საჩვენები

ნინო  
კუჩინაძე

8

NEW  
WAVE  
28

აღნელი  
ქორწინების  
სივრცა

42

Failure is  
Impossible

44



3063 მომავანს,  
ის ყოველთვის  
306 მომავანს

48

WE



72

პოპულარული  
ჩატარები

118

პალმჩაფია

136





# ნუნი პირთაძე

ცვლილები: მიმოჩები მაისურაბე

2000: «Les Trois vies d'Edouard Chevardnadze»  
 2001: «Il était une fois la Tchétchénie», ou «Chechen Lullaby» , Prix du meilleur documentaire (Allemagne, Adof Grimme), primé en République tchèque  
 2003: «Staline par Staline»  
 2003: «Les Funérailles d'un Dieu»  
 2004: «Dites à mes amis que je suis mort » Prix du meilleur documentaire FIPA et Prix Louis Marcoulles (France, Cinéma du Réel)  
 2005: «Un Dragon dans les eaux pures du Caucase » ou « Pipeline next door» Prix Voyage / Découverte (Sunny Side of the Doc), European Film Academy Award (Berlin), Grand Prix du Festival (Visions du Réel de Nyon, Prix Europa)  
 2005: «Lettre Py»  
 2007: «Durakovo-village of fools» Grand Prix Scam (France), Prix de la meilleure mise en scène (États-Unis, Sundance)  
 2007: «Au nom de Dieu, du tsar et de la patrie» ou «For Faith, Tsar and Fatherland»  
 2010: «Something about Georgia» Prix Idée TSR (Suisse, Visions du Réel)  
 2010: «Desperately Seeking Europe»  
 2014: «La Faille», Festival de Toronto

## ბავშვობა

ბავშვობა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ბედნიერი პერიოდი იყო. ეს გალბდათ საბჭოთა დრო, თუმცა პოლიტიკისა არაფერი გამეგებოდა, ჩემს სამყაროს მხოლოდ ჩემი ოჯახი და ოჯახის ახლობლებიწარმოადგენდნენ. ბებიამ და ბაბუამ დიდი როლი ითამაშეს ჩემი, როგორც ადამიანის ჩამოყალიბებაში. ბებიას უყვარდა ხელოვნება, გვახატინებდა რენესანსის პერიოდის ნახატების ასლებს და გვესაუბრებოდა ოპერაზე. მამას, რომელსაც ძალიან უყვარდა პოეზია, ხშირად ავყავდი მთანმინდაზე, სადაც გამოჩენილ ქართველ პოეტებზე მიყვებოდა ამბებს, რაც მაშინ არც ისე დაშვებული იყო. დედამ კი მომცა უპირობო სიყვარული, რომელიც აძლიერებს ადამიანს. დავდო-ოდით დასავლეთში, ჩემს ბიძაშვილებთან. ამ პერიოდ-მა განაპირობა შემდგომში ჩემი ფილმის - “უთხარით ჩემს მეგობრებს, რომ მკვდარი ვარ” გადაღება. თუმცა განსაკუთრებით ორი ამბავი დამამახსოვრდა. პირველი ამბავი ბაბუაჩემის დას უკავშირდება, რომელიც, ალ-ბათ, ერთ დღეს ფილმი გახდება. მახსოვს, მშობლებმა გვითხრეს, რომ ყველანი ბაბუას დის დასახვედრად მივდობით. ძალიან გამიკვიდა, რადგან ბავშვური ალექსი, და ჩემთვის იყო ადამიანი, რომელთან ერთადაც სულ ხარ, თამაშობ, გძინავს, როგორც ჩემს დასთან ვიყავი. გარდა ამისა, არ ვიცოდი, რომ ბაბუას და ჰყავდა. ბაბუა თეთრგვარდიელების შტოდან იყო, თავისი დის ქმარიც თეთრგვარდიელი ოფიცერი გახლდათ, რომელიც დახვრიტეს. როდესაც ეს ქალი ჩამოვიდა, მშობლებმა გვითხრეს, რომ 360° CASCADE

ტი შეკითხვები არ დაგვესვა და კარგად მოვქცეულიყავით, რადგან მას ბევრი ტანჯვა ჰქონდა გამოვლილი. რალაცნაირად, ეს ამბავი ზრდასრულ ასაკშიც მახსენდება. რაც შეეხება მეორე ისტორიას, პატარაობისას ხშირად ვიქექებოდი ბებიაჩემის უჯრაში, სადაც იყო ფოტო, რომელზეც გადაღებული იყო სცენაზე მდგარი ახალგაზრდა კაცი ხმლით ხელში. ბებიას ვკითხე, ვინ იყო ეს კაცი. თავიდან არ სურდა ეთქვა, მაგრამ შემდეგ მითხრა, რომ ეს იყო მისი უფროსი ძმა დათიკო, რომელიც ომში დაიკარგა. ბებიაჩემი ძალიან სოციალური ადამიანი გახლდათ, მიუხედავად მისა, რომ ბოლო პერიოდში არსად აღარ გადიოდა. თუმცა ნინაობას მაინც იხდიდა, სადაც მისი მეგობრები იყრიდნენ თავს და როდესაც დათიკოს ახსენებდნენ, ხმას უწევდნენ, რადგან ჩვენ არ გაგვეგო და შემდეგ რამე ისეთი არ გვეთქა, რაც ოჯახისთვის შეიძლება პრობლემა გამხდარიყო. ბოლო წუთამდე, ბებიაჩემს ჰქონდა იმედი, რომ დათიკო ცოცხალი იყო. მოდიოდნენ მოხუცი კაცები, რომელებიც ეუბნებოდნენ, რომ მისი ძმა ცხოვრობდა საფრანგეთში, უბრალოდ, ვერ ეხმანებოდა. ეს ორი ამბავი, რომელებიც ბავშვობაცაა და უფრო სერიოზულ საკითხებსაც ეხება, ჩემთვის დიდი კითხვა გალებდათ - რა არის ადამიანის ხედრი, როგორ უკავშირდება ის, მისი მრნამსი და ეპოქა ერთმანეთს.

ბავშვობა ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია, როგორც პირველი შეება სამყაროსთან, როგორც პირველი ურთიერთობების ყალიბი, როგორც პირველი ტრავმა. მაგალითად, პრუსტი, რომელიც ცდილობდა, რომ დედამისთან დამის დამშვიდობება დიდხანს გაგრძელებულიყო. ასეთი რაღაცეები დიდ კვალს ტოვებს ადამიანზე.

## ემაურენდები კინო

დოკუმენტური კინოს გადაღების სურვილი ჩეჩენეთის ომში გამიჩნდა, სადაც როგორც უურნალისტურ საქმიანობას არ ვაკინებ, უბრალოდ, ამ ომში მიეხვდი, რომ ის საკითხები, რომელებიც ჩემთვის უმთავრესი იყო - ადამიანის პიროვნული დრამა, მისი ხვედრი, მისი ბედი, - იმ ფოკუსის მიღმა რჩებოდა, რომელიც ჩვენთვის იყო მოცემული. სააგნეტოებს, რომელთათვისაც მე ვძუშაობდი, უფრო გლობალური პოლიტიკა აინტერესებდა. ეს იყო პირველი ომი, რომელიც ჩემს ქვეყანაში არ ხდებოდა და რომელსაც მე, როგორც მაყურებელი, ისე ვადევნებდი თვალს. ჩავიდოდი ჩამოვიდოდი, ჩავიდოდი ჩამოვიდოდი. ამ დისტანციამაც, ალბათ, სხვა რეფლექსიები და ფიქრები გააჩინა. პირველი აზრი რომ გადამეღო, კინო ეხებოდა ჩეჩენეთს და ამ ომს - როგორ მჟღავნდება ადამიანი კრიტიკულ სიცუაციაში, რა შეიძლება, რომ გააკეთოს, რა არ შეიძლება, რომ გააკეთოს, როგორ ანგრევს ზოგიერთი მოვლენა მას, რა ემართება ადამიანს, ქვეყანას და სამყაროს, როდესაც ასეთი რამ ხდება; ეს ყველაფერი იყო ამ ომში. ცოტა ხანში წავედი და გადავიდე კინო.



## ჩერხური იურიდიკური მასალა

უკავშირის უკვე თავი მქონდა დანებებული და პარიზში ვიყავი, როდესაც ჩერხური მეორე ომი დაიწყო. მე „Arte“-ს შევთავაზე ეს პროექტი. ისინი დამთანხმდნენ, რადგან ხშირად, თუ პროექტი თანა-მედროვე მსოფლიოს ამბებსაც უკავშირდება, უფრო სწრაფად შეიძლება განხორციელდეს. ფილმი გახლდათ იმაზე, თუ რას ნიშნავს ეს ომი ადამინებისთვის, რომ-ლებისთვისაც ომი არის სამსახური და რა შეიძლება იყოს ეს სიტუაცია იმ ხალხისთვის, ვინც იქ ცხოვო-რობს. სასაცილო პროდუქცია იყო, ფილმის პროდიუ-სერი იყო პიერ რიშარი. სასაცილო იყო იმ აზრით, რომ ვფიქრობდი, რანაირად შეიძლებოდა ამაზე არავინ დაძაბულიყო, განსაკუთრებით იმ ქვეყანაში, სადაც ამ ფილმის გადაღება მომიხდებოდა. გადავწყვიტე, რომ ეს ორი გაჩერილი, გაბურდგნული და სრულიად არასერიოზული გამომტყველების ადამიანი - მე და პიერ რიშარი, შეიძლება კარგი ტანდემი ყოფილი-ყო იმისთვის, რომ ფილმი ბევრი წინააღმდეგობების გარეშე გამოსულიყო, და გამოვიდა კიდეც! ფილმის ერთ-ერთი რთული ნაწილი გახლდათ, როდესაც ბოლო პერსონაჟის გადასალებად ჩავდიოდი ჩერხური. როცა ვამზადებდი, როგორ ვაპირებდი გადაღებას, ჩამოვნ-ერე სხვადასხვა ტიპის თრაველინგი, ვთქვათ მანქა-ნაზე დამაგრებული კამერით გადაღებადა ა.შ. მაგრამ ჩავედით და მივხვდი, რომ გარეთ ისეთი სიტუაცია იყო, ცხვირსაც ვერ გავყოფდი. ნახევარსაათიანი გზა ნაზრანიდან გროზნომდე იყო სრული სიგიურე, ოპერა-ტორი მანქანაში იმაღლებოდა. ვინმეს რომ გავეჩერები-ნეთ, არც ვიცოდი, რა უნდა მეოქვა - რატომ ვარ აქ. ჩვენი გამყოლები იყვნენ ერთი რუსი პოლკოვნიკი და ერთი ჩერენი.

შემდეგ უნდა ჩავსულიყავით პეტრა პროხადსკოვას-თან. სანამ ჩავიდოდით, გზაში გაგვითავდა ბენზინი და მანქანა გაჩერდა სამაშის ტყესთან. არ მიყვარს ომის დროს მანქანაში ჯდომა, რადგან ვიძაბები. თან, ეს ტყე იყო ადგილი, სადაც ჩერენი პარტიზანები იყვნენ და რომელიც ბოლომდე გაჩეხეს, რათა პარტიზანების თავდასხმები აღევეთათ. ჩერენი და რუსი ურევავდნენ ვილაცას იმის გასარკვევად, თუ სად იყო მეორე ბაკი. ამასობაში, ვიჯექი და ვფიქრობდი, ვინ ბედოვლათებს გადავეკიდე, რომ ბენზინიც არ გვაქს, თან უკვე ღამდება. ბოლოს იპოვნეს ეს მეორე ბაკი, მაგრამ ეს სრული არანორმალურობა იყო.

შევედით თუ არა გროზნოში, რუსმა პოლკოვნიკმა დაიწყო ვიშვიში, რა კარგი იყო საბჭოთა კავშირი და ნახეთ, რას გავს აქაურობა, რატომ დავანგრიეთო. ამაზე ძალან დავიძაბე, მეგონა, თუ რამე მოხდებოდა, ეს კაცი რამეს მოახერხებდა და თურმე წინა დღეს დაუზიშნავთ და, საერთოდ, პირველად ხედავდა იქაუ-რობას. პეტრასთან ყოფნის დროს, ეს მაშინ იყო, როცა მოტაცებების პერიოდი მძვინვარებდა. მისმა მცველმა მითხრა, როგორც გინდათ, ისე ისწავლეთ ყუმბარების სროლაო, ღამე რომ ვინმე მოვიდეს, ამდენ ხალხს ვერ დაგიცავთო და მართლაც, ღამე, სანთლების შუქზე

მასზავლიდა, როგორ უნდა ვისროლო ყუმბარა. მე კიდევ ვფიქრობდი, ნამდვილად ამერევა და რაც უნდა ვისროლო, ის ხელში შემრჩება თქმ. ომს აქვს სრული-ად აბსურდული, კომიკური სიტუაციები.

იქ ყველაფერი დაბომბილი, გავერანებული იყო. ჩეჩენ ქალებს ძალიან ლამაზი ფერადი თავსაფრები აქვთ. პერიოდულად დაინახავდი რომელილაცა დიდი ორ-მოდან ამომავალ წითელ ან სხვა ფერის თავსაფრიან ქალს, რომელსაც ხან ბაშვი ეჭირა, ხანაც - საკვები ბარკებით, გადაჭრიდა რომელილაც ქუჩას და მეორე ღრმულში უჩინარდებოდა.

ანდრე ბაბიცკი ყვებოდა, როდესაც დადიოდა სარდაფებში და ხვდებოდა ხალხს, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ, ნახა ერთი გოგო, რომელსაც ეგონა, რომ სარდაფები, სიბრძეში ჯდომა იყო ცხოვრება და რომლის ყველაზე დიდი ოცნება ის გახლდათ, გასული-ყო გარეთ და გაესეირნა.

## ელუახე შევაჩენაძის სამი ცხოვჩება

უკვე პარიზში ვცხოვრობდი. ეს იყო ჩემი პირველი დოკუმენტური ფილმი. ვფიქრობ, ჩემს ფილმებში ერთი და იგივე თემები ტრიალებს - ადამიანი სამყაროში, ადამიანი და ძალაუფლება, ადამიანი და მისი სურვი-ლი, რომ გამოიცნოს ეს სამყარო. შევარდნაძის თემაც იგივეა. ამ ადამიანის ბიოგრაფია თითქმის მთელს მეოცე საუკუნეს ფარავს. ჩემთვის საინტერესო გამოხ-დათ ის, თუ როგორი პოლიტიკური თამაშები მიღიოდა იმ დროს, რა ახსოვდა, რა იყო ამ ადამიანის არჩევანის ასპარეზი.

საფრანგეთში ძალიან დიდი ინტერესი იყო, რომ გაკეთებულიყო ეს პორტრეტი. მე მაშინ გავაგზავნე თხოვნა პრეზიდენტის პრესცენტრში, რათა შევხ-ვედროდით. ჩენ შევხდით, ძალიან საინტერესო საუ-ბრები გვქოდნა ბევრ თემაზე. ნანილი, რასაკეირველია, ფილმში არ შევიდა, რადგან გადაღებები გრძელდებო-და ერთი თვე. მე ვიყავი აბსოლუტურად გამოიცდელი რეჟისორი და დღემდე ძალიან ვაფასებ, რომ ბატონი ედუარდი გადაღებაზე დამთანხმდა. ჩემთვის მასთან ინტერვიუები და ურთიერთობა ძალიან საინტერესო გახლდათ, რადგან საუბარი ეხებოდა მენშევიკებს, საბჭოთა კავშირს, სტალინს, ქუთაისში მისი მუშაობის პერიოდს, იმ პერიოდს, როდესაც ხრუშჩოვმა ადამიან-ის კულტი გამოაცხადა და როგორი რეაქცია პქონდათ საქართველოში, თვითონ რას აკეთებდა, შემდგომ უკვე ე.ნ. „პერესტროიკის“ დროს, რომელიც ძალიან საინტ-ერესო პერიოდი იყო და ა.შ.

რომ დავუბრუნდეთ დოკუმენტურ კინოს, საწყისი ურთერთობა რეჟისორსა და პერსონაჟებს შორის, ეფუძნება რაღაცნაირ ნდობას. ეს ხელმოუწერელი კონტრაქტივითაა, რომელიც ფილმის დამთავრებამდე და მერეც მოქმედებს. დოკუმენტური კინოს პერ-სონაჟი არ არის მსახიობი, რომელსაც უხდი ფულს




და აკეთებინებ იმას, რაც გინდა, რომ გააკეთოს. აქ ადამიანი თავისი ნებით გითმობს დროსა და ენერგიას, რათა ფილმი დაიბადოს. გარდა ამისა, ბევრი რამეა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მოახერხებს რეჟისორი და გმირი გაყვნენ ამ ნდობის ძაფს და გაამყარონ. ამიტომ, ეს მომენტი არის ერთგვარი აქტი, რომელსაც ძალისხმევა და სიმამაცეც სჭირდება, რომ ბოლომდე მიიყვანო. მხატვრულ ფილმში ეს ნაკლებადაა. რასაკვირველია, იქაც ადამიანებთან გაქვს ურთიერთობა და იქაც არის ადამიანური მომენტი, მაგრამ დოკუმენტურში ეს არის აბსოლუტურად გაშიშვლებული და წინა პლანზე წამონეული. თუ ადამიანს არ უნდა, რაღაც ზღვარის იქით აღარ გაგიშვებს; თუ უნდა, გაგიშვებს იქ, სადაც თვითონაც არ იცის, რატომ გადაწყვიტა, რომ ამის უფლება მოეცა შენთვის.

#### უთხარით ჩვეს მემობრებს, რომ მავდენი ვარ

როგორც გითხარით, ეს ფილმი უკავშირდება ბავშვობას, როდესაც დასავლეთში, ფოთში, ბიძაჩმთან დავდიოდით. აქ, პარიზში, მოვხვდი დასაფალვებაზე და მივხვდი, რომ ეს არის რაღაც ახალი სამყარო, დასავლური ურთერთობა ადამიანის ერთ-ერთ დიდ საიდუმლოსთან - სიკვდილთან. გამახსენდა ის, რაც

მე მინახავს და ჩავთავალე, რომ იყო ამაში არაჩვეულებრივი შემოქმედებითი მომენტი - როგორ უყვრებს ადამიანი სიკვდილს. რაღაცნაირად ფილმი კი იყო სიკვდილზე, მაგრამ ჩემთვის უფრო სიცოცხლეზე გახლდათ. არსებობს ადამიანებს შორის ისეთ ურთიერთობები, რომელსაც სიკვდილიც ვერ ერევა. მაინტერესებდა, როგორ ცდილობენ ადამიანები, როდესაც სიკვდილი მოდის, ეს ურთერთობები გაგრძელდეს. დასავლეთ საქართველო, ამ თვალსაზრისით, კულმინაცია გალებდათ. მე და გურამ წიბახაშვილი, რომელიც ჩემი ახლო მეგობარია, წავედით მოსამზადებელ პერიოდზე ფოთში, ვცხოვრობდით ბიძაჩმთან. იქ ისეთი რაღაცეები ვნახეთ, რასაც ვერცერთი მხატვრული ფილმის რეჟისორი ვერ გაბედავს, რომ სცენარში დაწეროს. ის ფანტაზია, რასაც ამ კუთხეში ადამიანები იყენებენ, წარმართული, ეგვიპტური, ქრისტიანული წეს-ჩვეულებების შერევა, რომელსაც ემატება თავიანთი ფანტაზია, წარმოუდგენლად კინემატოგრაფიულია. შემდეგ უკვე ძალიან სასაცილო ისტორიები იყო. ყველამ იცოდა, რომ დადის ორი ადამიანი, რომლებსაც სურთ ფილმის გადალება და ექცენტ, ვინ სად შეიძლება მოკვდეს. ჩემს ბიძაშვილებს რცხვენოდათ ჩემთან ერთად სიარული. ზოგი მევითხებოდა, კი მაგრამ, რა, პარიზში არ კვდება ხალხი? აქ რატომ



ჩამოხვედით? რა, თბილისში არ არის ეს ამბები? რატომ იღებთ? რა გინდათ, რომ გადაიღოთ? პრიზი რომ აიღო ფილმმა, დამირეკა ჩემმა ბიძაშვილმა და მითხრა, შენ რომ სინდისი გქონდეს, უნდა ჩამოხვიდე ფოთში, აკეთო პასკები, წითელი კვერცხები და მთელი ეს სასაფლაოები უნდა ჩამოაირო მადლობის სათქმე-ლადო. ჩემთვის ძალიან ძვირფასია ეს ფილმი, მოგონებები და იმ ადამიანებთან ურთიერთობა, რომლებიც ფოთში და ზუგდიდში ცხოვრობდნენ. მათ შეგვიყვანეს თავიანთ პირად სამყაროში, ეს სამყარო მათი ტკივი-ლი და განცდებია იმ ძვირაფასი ადამიანების მიმართ, რომლებიც ალარ არიან. ამის გაკეთება არ გახლავთ ადვილი. წარმოუდგენელი იყო, რომ ანთაძებისა და შედანიების ოჯახებმა ამის საშუალება მოგვცეს. ევროპაში სიკედილზე არ საუბრობენ ბევრს, ეს არის გარკვეული ტაბუ, რომელზე საუაბრსაც ხალხი ერიდება და, მითუმეტეს, ფილმების გადაღებას. ფილმში ერთი ეპიზოდია - ბებიას გადაასაფლავებენ, რათა მთელი ოჯახი ერთად იყოს. ამ ეპიზოდში გახლავთ სცენა, სადაც ჩანს ქალის წინდები, რომლებშიც არის ამ ბებიის ძვლები. მას ხსოვს, გული მისკდებოდა ჩვენებაზე, თუ გადავარდა ეს ხალხი აქეთ-იქით მეთქი. მაგრამ ბევრი ემოცია გამოიწვია ამ ფილმა და მთელი მსოფლიო აქვს მოვლილი. ახლაც, სულ რამდენიმე

თვის წინ იყო მისი ჩვენება. ფილმის შემდეგ საუბარი არის არა იმაზე, ვინ როგორ მოკვდა და ეთოგრა-ფიაზე, არამედ იმ ადამიანურ ურთიერთობებზე, რომ-ლებიც სამყაროში არსებობს.

## აჩ ისუნთაო

ეს ფილმი ჩემთვის ახალი გამოწვევა გახლდათ, რადგან მხატვრულ-ფილმუმენტური ჟანრის იყო. ამ შემთხვევა-ში, მსურდა, ძალიან შორს ყოფილიყავი დიდი თემები-სგან, როგორებიცაა ომი, პოლიტიკა და ა.შ. მინდოდა, რომ ფილმი ყოფილიყო ერთ ჩვეულებრივ ადამიანსა და მის დრამაზე. რაც არ უნდა დიდ თემებს ეხებოდეს ფილმი, ყოველთვის მის ცენტრში არის ადამიანი. ამ შემთხვევაში, მინდოდა ყველა დანარჩენი მოქმედობინა და ყოფილიყო ფოკუსი ერთი ადამიანის ცხოვრე-ბაზე, როგორებიც ჩვენ ყველანი ვართ. ჩემთვის ეს არის ფილმი იმაზე, თუ რამდენად ფაქტიზი, ლამაზი და მოულოდნელია ის, რასაც ადამიანი შექვა, რამდენად მყიფე შეიძლება იყოს წონასწორობა, რომელიც ჩვენ გვაქვს, როგორ მოქმედებს ჩვენზე ახლობლებთან ურთიერთობები, როგორ ვმოქმედებთ ჩვენ მათზე, რა არის ჩვენი საიდუმლოებები, რანაირად შეიძლება ეს გამომჟღვნდეს, სად შეიძლება ამან წაგვიყვანოს. საინტერესო გახლდათ ის უხილავი პროცესები, რომლებიც თითოეულ ჩვენგანში ხდება. აგრეთვე, მაინ-ტერესებდა, რამდენად შევძლებდი, სრულმეტრაჟიან ფილმში გავმკლავებოდი ამას, რადგან ერთი ადამიანის ცხოვრების გარდა, სხვა ელემენტები იმისთვის, რომ ამ ფილმისთვის ვინმეს ეყურებინა, არ ყოფილა. ომი, პოლიტიკა, სტიქია და ა.შ. ეს ყველაფერი შეგნებულად, სრულიად მოვაჭორე.

## მსახიობი

მსახიობობა ცოტა შემთხვევით დაიწყო, თუმცა შემდეგ გადავწყიტე, რომ ეს საქმიანობა ძალიან მომზონს. მიყვარს, როდესაც როლს ვასრულებ. ამასთან ერთად, ძალიან საინტერესოა, რას გრძნობ, როცა კამერის მეორე მხარეს ხარ. ეს, როგორც რეჟისორს, ძალიან მეხმარება, რადგან ზუსტად ვიცი, რას განიცდის ადამიანი, როდესაც იღებს. სწავლობ, როგორ შეემნა ისეთი გარემო, რომ შენი პერსონაჟი კომფორტულად გრძნობდეს თავს. ჯერ იყო ნანა ჯორჯაძის ფილ-მი „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“, მერე „მეტერ იდიოტი“ მერაბ ნინიძესთან და რამაზ ჩხიკვაძ-ესთან ერთად, შემდეგ საფრანგეთშიც იყო ფილმში, აგვისტოში გამოდის კომედია, რომელშიც ვონანან-ილეობ - „C'est quoi cette famille?!“. საინტერესოა ეს პროცესი, უყურებ სხვა რეჟისორი როგორ მუშაობს, გაქვს ურთერთობა საინტერესო ადამიანებთან და დიდ მსახიობებთან. ოთხი წლის წინ, ვითამაშე შარლოტ რემპლინგთან ერთად ფილმში - “Un lieu incertain”. პიროვნულად ეს ძალიან გამდიდრებს. მიყვარს, როცა მთელი ჩემი რეცეპტორები ჩართულია შემოქმედებით



პროცესში. ამიტომ, როდესაც არის საინტერესო პროექტი, სიამოვნებით ვთანხმდები, ჩემს თავსაც ვცდი და თან, ეს ურთიერთობები, რაც არის გადაღებებზე, ბევრს მაძლევს.

#### ПЕСАИКАИПИ

ძალიან ძნელია, არასდროს არ იცი, საიდან მოდის ინსპირაცია. აბსოლუტურად თავისთვადი და დამოუკიდებელი პროცესია, რა იძლევა მუხტს რეფლექსი-ისთვის, დაფიქრებისთვის და როგორ ხდება შემდეგ ეს ფილმის იდეა. ყველა ფილმს აბსოლუტურად სხვა-დასხვა ისტორია აქვს იმისა, თუ საიდან წამოვიდა მისი გადაღების იდეა.

#### ПОДДЕРЖАТЬ АКТОРУЮЩИХ

ახლა მაქვს სამი პროექტი, ერთი 13 წლებრის პარიზის ტრაგედიაზეა და, ალბათ, ეს იქნება მხატვრული ჟანრის ფილმი. მეორე ეხება ბორის პასტერნაკს და სწორედ ამისთვის ჩამოვდივარ ახლა საქართველოში. ეს პოლიტიკური თრილერი გახლავთ. მესამე არის მხატვრული ჟანრის, რომელიც ბოლშევიკების მიერ ნიკოლოზ მეორის სიკვდილით დასჯას ეხება. ამ სამი პროექტიდან, ყველაზე ინტენსიურად ახლა პასტერნაკზე ვმუშაობ, რადგან ბევრი ახალი დოკუმენტი გაიხსნა „ექიმ უივაგოზე“.

#### მენერაჟი თანასწორება

სიმონ დე ბოვუარი ამბობდა, იყო ქალი - ეს ყოველ-დღიური ბრძოლა არისო. ეს ნამდვილად ასეა საფრანგეთშიც კი და დღემდე, საქართველოში, მიმართია, რომ ქალები ძალიან აქტიურები არიან. იმ ისტორიული კატაკლიზმების წინაშე, რაც საქართველომ გადაიტანა, გაცილებით მეტი ალლო და ძალა აღმოაჩნდათ ქალებს, ვიდე კაცებს. თუნდაც ის ქალები ავილოთ, რომ-ლებიც უცხოეთში დამლაგებლებად სამუშაოდ მიდიან და აქ თავიანთ სახლში მყოფ ქმრებს ინახავენ. და ის, რომ საზოგადოება გიყურებს ნაკლებად სერიოზულად, ვიდრე კაცს, ეს საფრანგეთშიც ასეა და ამაზე საუბარი დღემდე გრძელდება - სექსიზმსა და ოდნავ აგდებულ დამოკიდებულებაზე, რომელსაც ვერაფრით მოერიენ, მიუხედავად უამრავი მექანიზმისა. თუმცა გოლდინგი ამას ამბობს: „მემგონი, ქალები სულელები არიან, როცა ცდილობენ, რომ მამაკაცების თანასწორად გამოაცხადონ თავი. ისინი გაცილებით მეტი არიან და ყოველთვის იყვნენ. რაც არ უნდა მისცე ქალს, ის მას აკეთილშობილებს. თუ სპერმას მისცემ, ის მისგან ბავშვს გააკეთებს. თუ საცხოვრებელს მისცემ, ის მას სახლად აქცევს. თუ ბოსტნეულს მისცემ, ქალი ამისგან კერძს მოამზადებს. თუკი ღიმილს აჩუქებ, ის გულს მოგცემს სანაცვლოდ. ის აასკეცებს და აფართოებს იმას, რასაც აძლევენ. ამიტომ, თუ ტალახს ესვრით, ნუ გაგიკვირდებათ, თუ სანაცვლოდ თავზე ნაგავი დაგაყარათ!“.

# საჩვენებელი

ავტორი: მიხა ბახსოვიანი

?

?

?



სანამ ამ საკმაოდ გრძელ ჩამონათვალს ჩამოვწერ-დი ვფიქრობდი დამეწერა პატარა მოთხრობა, სადაც მომავლის საქართველოს, უფრო სწორად კი საქართ-ველოს კაცური რესპუბლიკის ამბავი იქნებოდა მოთხ-რობილი. ქვეყნის, სადაც უკლებლივ ყველა მოქალაქე მამრი იქნებოდა. ისინი უზომოდ კმაყოფილი იქნებოდ-ნენ საკუთარი ცხოვრებით და კაცური ყოველდღიურო-ბით. სავარაუდოდ, მათი ყოფა ამორდალების მსგავსი იქნებოდა, გამრავლებისთვის მეზობელი სახელმწი-ფოებიდან ქალებს მოიტაცებდნენ, დააორსულებდენ და შეილთაგან მხოლოდ ბიჭებს დაიტოვებდენ. თუმცა, რაღაც მომენტში მივხდი, რომ რაოდენ ცინიკურიც არ უნდა ყოფილიყო ეს მოთხრობა, შეიძლებოდა ვინმეს ჭყუაში დასჯდომოდა, თავისი ფინანსები და ენერგია ამ საქმის განხორციელებისთვის მიეძღვნა და ერთ დღეს საქართველოს კაცურ რესპუბლიკაში გამლიდე-ბოდა.

## არჩევანი

გასაგებია, როდესაც არჩევ ტანსაცმელს და იცვამ იმას, რაც მოდაშია

გასაგებია, როდესაც არჩევ ხილს და ჭამ მხოლოდ საძას

გასაგებია, როდესაც არჩევ მანქანას და ყიდულობ იმას რომელიც გაზიერა

გასაგებია, როდესაც არჩევ საჩუქარს, შოკოლადის ფილას ან ბრილიანტის ბეჭედს

გასაგებია, როდესაც არჩევ ლობიოს

გასაგებია, როდესაც არჩევ შავს და თეთრს

გასაგებია, როდესაც არჩევ საათამაშოს და ყიდულობ იმას, რაზეც ფული გყოფნის

გასაგებია, როდესაც არჩევ ქვეყნებს და სამოგზაუროდ შარმელშეხში მიდიხარ

გასაგებია, როდესაც არჩევ, რომელ ბანკში აიღო სესხი

გასაგებია, როდესაც არჩევ, რას უსმინო, რობის თუ რობი უილიამს

გასაგებია, როდესაც არჩევ წიგნებს, ყიდულობ მხ-ოლოდ ლამაზუდიანებს და თაროზე ფერების მიხედვით ალაგებ

გასაგებია, როდესაც არჩევ სამსახურს, იკიდებ ღირსე-ბას და ვირივით მუშაობ დიდი ხელფასისთვის

გასაგებია, როდესაც არჩევ სახლს და ყიდულობ საბურთალოზე, ბეტონის ჯუნგლების შუაგულში

გასაგებია, როდესაც არჩევ ძალლს და ყიდულობ ყველაზე ჯიშიანს, რადგანაც ფიქრობ, რომ მეტისებს მეგობრობა არ შეუძლიათ

გასაგებია, როდესაც არჩევ საჭმელს და ძლები შაურ-მით

გასაგებია, როდესაც არჩევ სახელს და ბავშვს გიორ-გის არქემევ

გასაგებია, როდესაც არჩევ, ვის მისცე ვაშლი

გასაგებია, როდესაც არჩევ, რომელ მეგობარს არ დაუბრუუნო ვალი

გასაგებია, როდესაც არჩევ, ვინ გახდება შენი მემ-კვიდრე

გასაგებია, როდესაც არჩევ პრეზერვატივს

გასაგებია, როდესაც არჩევ, რუსეთი უფრო გიყვარს თუ ამერიკა, დედა თუ მამა, ლიმონათი თუ ბორჯომი

გასაგებია, როდესაც არჩევ გუნდის წევრებს და არა-დანს სუსტებს უტოვებ

გასაგებია, როდესაც არჩევ წითელ და ლურჯ ტაბ-

ლეტს შორის

გასაგებია, როდესაც არჩევ თავისუფლებასა და მონო-

ბას შორის, შემდეგ კი 34-მანეთიან ფრენებს მისტირი

გასაგებია, როდესაც არჩევ, ვისი სული გსურს

გასაგებია, როდესაც არჩევ თორმეტ სკამს შორის

ყველაზე ძვირფასს

გასაგებია, როდესაც არჩევ არიოლსა და რეშას შო-

რის

გასაგებია, როდესაც არჩევ მესის და რონალდოს შო-

რის

გასაგებია, როდესაც არჩევ ჩაკ ნორისსა და ბრიუს ლის

შორის

გასაგებია, როდესაც არჩევ ბეემვეს და მერსედეს

შორის

გასაგებია, როდესაც არჩევ ნაცეპს და ქოცეპს შორის

გასაგებია, როდესაც არჩევ ჩიხირთამასა და ბოზბას

შორის

გასაგებია, როდესაც არჩევ Star Trek-ს და Star Wars

შორის

გასაგებია ყველაფერი, რაც არ უნდა აირჩიო

გასაგებია ყველანაირი ხაია და მიქარვა

გასაგებია, მისალებია, გვესმის...

მაგრამ როდესაც არჩევ ბავშვის სქესს - ირჩევ ბიჭს

და იშორებ გოგოს

ხარ ყველაზე ამაზრზენი სელექციონერი, ვისაც კი

ოდესმე დედამიწაზე გაუვლია.

აბა შენი იცი, იმედია, შენგან არავინ დაორსულდება.



# 3 ეფექტუალური

ჩოგორც ვიღოთამაში  
(ინიციატივული სახელმწიფო ასათიანობა)

ავტორი: ზურა გიმარაშვილი

პირველად „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ უცნაური ადგილ-იდან შევიტყვე. ეს იყო ტატუ ბაბუაჩემის ზურგზე. წინ მკერდზე ბაბუას ორი ტატუ ქონდა - მარცხნივ ლამაზი ქალი, რომელზეც ჯიუტად ამტკიცებდა, რომ მისი ცოლი, ანუ ბებიაჩემია; მარჯვნივ - სტალინის კარიკატურა რაღაც წარნერით. უკან, მთელ ზურგზე კი, ვეფხისა და ტარიელის შერკინება იყო დახატული. რომ ვკითხე, რას ნიშნავდა, მითხრა, რომ „ვეფხისტყაოსნიდანაა“. ამ ისტორიაში საინტერესო ისაა, რომ ბაბუაჩემმა წერა-კითხვა არ იცოდა, არც დიდად აინტერესებდა. შესაბამისად, „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხული ვერ ექნებოდა, მაგრამ რატომ-დაც იცოდა ძირითადი სიუჟეტი - რა თქმა უნდა, თავისი ინტერპრეტაციით. ეს მეორე მსოფლიო ომის დეზერტირი, აბრაგი, ორჯერ წასამართლევი, ბოლოს კი კამაზის მძლოლი მოხუცი კაცი არაფრით გავდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს, რომელიც მერე სკოლაში გამაცნეს. ერთა-დერთი კავშირი ეს ტატუ იყო და მისი სახელი. მასაც, ისევე როგორც პოემის ავტორს, შოთა ერქვა. მეც ბევრი არაფერი ვიცოდი ამ პოემაზე, გარდა იმისა, რომ მომწონდა ეს ხატი - ადამიანი, რომელიც ეპრძვის თავისზე ძლიერ ცხოველს, ჩაჭიდებულები არანა ერთმანეთს და თვალს უსწორებენ. თითქოს ბიბლიური კადრი იაკობის და უსახო ღმერთის ორთაბრძოლიდან. სამწუხაროდ, არ მახსოვა მიზეზი და ახსნა, თუ რატომ ქონდა ეს ტატუ. შეიძლება ასე ალიქვამდა თავის ცხოვერებას, შეიძლება ვინმესგან მონაყოლი პოემის სიუჟეტს მოკრა ყური და მოენონა - ამას, ალბათ, ვერასოდეს გავიგებ, მაგრამ „ვეფხისტყაოსანთან“ ჩემი პირველი შეხება ყოველთვის მახსენებს ბაბუაჩემს, გაზრდილს ეპოქაში, როცა პირველი ტელევიზორები მოიგონეს და პირველი ადამიანი გაუშვეს კოსმოსში. რატომლაც მოვნაა, რომ ეს მოვლენები მისი ყურადღების გარეშე დარჩა. არ ვიცი, ვერ მოვასწარით ამდენზე საუბარი, მისი საუკუნე წავიდა, მაგრამ მოვიდა სხვა - ტატუებიანი ზეკები შეცვალეს ტატუებიანმა პროგრამისტებმა, ტელევიზორები შეცვალეს ვიდეოთამაშებმა მოციმუნიმე მონიტორებზე და მილიონდოლარიანმა პლატფორმასტერებმა კინოთეატრებში, კოსმოსის კოლონიზაცია კი - ვირტუალური რეალობის კვლევებმა.

ინტერაქტიული, ციფრული რევოლუციის ტალღად ჩვენამდეც მოაღწია და როცა მახსენდება მასწავლებლის სიტყვები, რომ შოთა თავისი დროის თანამედროვე იყო, შეიძლება უსწრებდა კიდეც - ვფიქრობ, რა შეიძლება იყოს ამ ეპოქის თანადროული, ისე რომ არ დაიკარგოს ის საინტერესო და ყველაზე მთავარი კომპონენტი, რაც წამდვილ, თრეშისგან დაცლილ ქართულ კულტურას ახასიათებს - ძველის და ახლის უნიკალური მიქსი, ერთი შეხედვით, თითქოს შეუთავსებელი კულტურების სინ-თეზი: ტამპლიერები და მეჩეთები, ყარაბოლებები და ქართველი ფუტურისტ-ავანგარდისტები, ჰაშმიშის მწეველი რაინდები და შავკანიანი აფხაზების დასახლებები აფხაზეთის სუბტროპიკებში. იმის თქმა მინდა, რომ ამ მინაზე ერთდროულად გამუდმებით მიმდინარეობდა მულტიკულტურული სინთეზი და თუ ამ ქვეყანას აქვს მომავალი - ჩემი აზრით, მომავალი ამ სინთეზშია და არა მის სტერილიზაციაში.

ამის გარდა, როგორც ყველა ძველ ერს - ჩვენ გამუდმებით გვანვება მხრებზე ისტორია, ხანდახან გვჭყლეტს კიდეც, მაგრამ არ ხდება ამ ყველაფრის „დარეფრეშება“, რომ ამ ინგრედიენტებმა ევოლუციის ახალი გზა დააგონ.

პატარა ქვეყნისთვის როულია მსოფლიოს ტექნოლოგიურ ან ბიზნეს რუკაზე ერთბაშად გამოანათოს, თუმცა უკვე არსებობს ამის მაგალითად, ესტონეთმა შექმნა სკაიპი, პოლონელებმა შექმნეს ვიდეოთამაში „Witcher“, რომელსაც დღეს მილიონობით ადამიანი თამაშობს მთელ პლანეტაზე და გაშუალებულად, მაგრამ ეცნობა მათ ისტორიულ-მითოლოგიურ წარსულს. ვიცი, ეს იდეა დიდი ხანია ჰერში ტრიალებს და, ალბათ, ბევრს უფიქრის, მაგრამ კიდევ ერთხელ წარმოვიდგინოთ - როგორ შეიძლება მილიონობით ახალგაზრდას მთელ მსოფლიოში მიაწოდო 8 საუკუნის წინ დაწერილი ტექსტი თანამედროვე ენით? და აქვს თუ არა შოთა რუსთაველის მიერ დაწერილ ტექსტს ეს პოტენციალი?

მაგალითად: როგორი შეიძლება იყოს ბლოკბასტერის სტილში გადაღებული „ვეფხისტყაოსნი“? წარმოიდგინეთ, „ბეჭდების მბრძანებლის“ კადრების მაგვარი - ქაჯეთის ციხის აღების ეპიზოდი.. ან როგორც ციფრული ტექსტი, რომელთანაც ინტერაქციაში შედისა; ან „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ვიდეო-თამაში - ირჩევი ფლეიირებს: ტარიელი, ავთანდილი, ნესტან-დარეჯანი, ფრიდონი.. სხვადასხვა მისია, სხვადასხვა რუსა და წინააღმდეგობები.

ჩემი აზრით, ეს შეიძლება კიდევ ერთი გამოცდა იყოს ამ პოემის, რომელიც შეიძლება გადაიქცეს იმის დადასტურებად, რომ კარგი ტექსტები იქამდე იცოცხლებენ, სანამ იცოცხლებს პლანეტა. გარდა ამისა, აქ ძველი უერთდება ულტრათანამედროვეს და შედეგები უცნობია, საინტერესოა და მკვლევარებისთვის ტერა ინკოგნიტა. საქართველოში უკვე არსებობს რამდენიმე კომპანია, რომელიც ქმნის ვიდეო თამაშებს, ინტერაქტიულ კონტენტებს, ატარებს კვლევებს ვირტუალური რეალობის სივრცეებში. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად გავესაუბროთ სანდრო ასათიანს, ჯიპას რექტორს და „ჯეოლაბის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს, რომელთანაც უკვე ბევრჯერ გვისაუბრა ამ თქმაზე და შორეულ მომავალში ვგეგმავთ კიდეც ამ მიმართულებით რაღაცების გაკეთებას.

## 1. რა როლი აკისრია ინტერაქციულ, ციფრულ კონტენტს თანამედროვე განათლების საქმეში?

მოკლედ რომ ვთქვა, ძალიან დიდი. თანამედროვე განათლების სისტემა ძალიან სწრაფად იცვლება და ამ ცვლილების ძირითადი მიზეზი ციფრული კონტენტია. დღეს, ნებისმიერ მსურველს, ციფრული ტექნოლოგიების წყალობით, შეუძლია მსოფლიოს რომელიმე წამყვანი უნივერსიტეტის ონლაინ კურსი გაიაროს; ან თვითგანათლებას მიყვეს და თავად აირჩიოს ინტერნეტში მულტიმედია, რომელიც მას ამა თუ იმ საკითხებს შესავლაში, ან, სულაც, პრაქტიკული ცოდნის მიღებაში დაეხმარება. შეიძლება ითქვას, რომ ციფრული კონტენტი ნელ-ნელა განათლების მიღების ერთ-ერთი ძირითადი წყარო ხდება.

## 2. რა მსგავს პროექტებზე მუშაობ/გიმუშავია/აპირებ მუშაობას?



პროექტებიდან შეიძლება ვახსენო [online.iliauni.edu.ge](http://online.iliauni.edu.ge). ეს ონლაინ საგანმანათლებლო პორტალი ილიას უნივერსიტეტის მიერ არის შექმნილი. აქ წერის მიერ მსურველს შეუძლია ონლაინ რეჟიმში გაიაროს სასურველი კურსი და შესაბამისი სერტიფიკატიც მიიღოს. ამ პორტალზე განთავსებულია ვიდეო თუთორიალებიც, ცალკეული ლექციები და თემატური ინტერვიუები. პორტალის სტატისტიკას თუ გადაეხდავთ, მას საკმაოდ ბევრი მომხმარებელი ყავს. მომხმარებელთა რაოდენობა განსაკუთრებით გამოცდების წინ იზრდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მომხმარებელთა დიდი ნაწილი სტუდენტია.

თუმცა არანაკლებ საინტერესო პროექტია **cibergala.me**. ყველაფერი ჩეთბოტის, ანუ მოჩეთავე ქართულენოვანი პროგრამის შექმნის იდეით დაიწყო. უფრო მეტიც, რამდენიმე წლის წინ, ახალგაზრდა პროგრამისტების ჯგუფთან და ზურა ჯიშკარიანთან ერთად, გალაკტიონის ჩეთბოტის გაკეთება განვიზრახეთ. ჩვენ თავადაც არ ვიცოდით, რა გამოგვივიდოდა, მაგრამ შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. დღეს ნებისმიერ მსურველს შეუძლია კიბერ გალაკტიონთან, ანუ გალაკტიონ ტაბიძის ენბირივ ასლთან გასაუბრება. ჩემი აზრით, მსგავს პროგრამებს დიდი მომავალი აქვს, ვინაიდან მომავალში, სავარაუდოდ, მეითხველები აღარ წაიკითხავენ წიგნებს ისე, როგორც ჩვენ ვეითხულობთ, არამედ ავტორის ციფრულ ასლებს კითხვებს დაუსვამენ, გაესაუბრებიან. ამ პროექტს საგანმანათლებლოს პოტენციალიც აქვს. წიგნებში სასურველი ინფორმაციის ძებნის ნაცვლად, მეითხველს პირდაპირ გალაკტიონის ციფრულ ასლს შეუძლია დაუსვას შეკითხვა.

ასევე საინტერესოა საბავშვო აპლიკაციების მიმართულება. დღეს ბავშვები ბევრ დროს ატარებენ კომპიუტერთან და მობილურ მოწყობილობებთან. ეს დრო შეიძლება უფრო აზრიანად, კერძოდ კი თამაშით სწავლაში დაიხარჯოს. რამდენიმე წლის წინ, თანამოაზრებთან ერთად, შევქმნი ინტერაქტიული ანბანი, რომლის საშუალებითაც ბავშვები სწავლას იწყებენ. ადრე, წიგნიდან სწავლისას, დაწყებით საფეხურზე, ბავშვს აუცილებლად ჭირდებოდა

მენტორი, მასნავლებელი. ახლა კი მსგავსი აპლიკაციებით პატარებს შეუძლიათ დამოუკიდებლად ისწავლონ.

### 3. აქვს თუ არა „ვეფხისტყაოსანს“ პოტენციალი, გადაიქცეს ვიდეო-თამაშად ან ბლოკბასტერად? როგორი წარმოგიდგენია ეს თამაში ან ფილმი?

ჩემი აზრით, აქვს. რამდენადც ვიცი, თავის დროზე, ნოე უორდანიას მთავრობა ცდილობდა უცხოელი კინორეჟისორი მოეწვია და „ვეფხისტყაოსანის“ მოტივებზე გრანდიოზული ფილმი გადაეღო. მაშინ კინო უახლესი ტექნოლოგია იყო და სავსებით ლოგიური იყო სურვილი, უახლესი ტექნოლოგიის გამოყენებით, ყველა ქართველისთვის ესოდეს მნიშვნელოვანი ნაწარმოები უცხოელებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მიენოდებინათ. შესაბამისად, კარგი იქნებოდა, გვეცადა, დღეს არსებული უახლესი ტექნოლოგიებს წყალობით გაგვეცოცხლებინა „ვეფხისტყაოსანი“ და მიღიონობით უცხოელი ბავშვის, მოზარდის თუ უფროსისთვის ამ სახით გაგვეცნო ჩვენი ლიტერატურული საგანძუროი. ამ სახით მიწოდებული „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ახალგაზრდებისთვისაც უფრო გასაგები იქნებოდა.

### 4. აქვს თუ არა ამ თამაშს პოტენციალი, მსოფლიო ბაზარზე გავიდეს და ერთგვარი სავიზიტო ბარათივით იყოს, როგორც, მაგალითად, „Witcher“-ია პოლონეთისთვის?

რა თქმა უნდა, აქვს. უბრალოდ, კარგი თამაშის გაკეთება - ისეთის, რომელიც მთელი მსოფლიოს ყურადღებას მიიპყრობს, - არც ისე ადვილია.

### 5. რა რესურსი/შრომა/ფინანსებია ამისთვის საჭირო? მოკლედ რომ ვთქვათ, რა დაბრკოლებები შეიძლება ქონდეს ამ პროექტს? რამდენად რეალურია?

ძირითადი დაბრკოლება, ალბათ, ის არის, რომ თამაშების ინდუსტრია საქართველოში არ არის კარგად განვითარებული. რა თქმა უნდა, საქართველოში ბევრი კომპანია, რომელიც თამაშებს აკეთებს. მათ შორის კარგ თამაშებსაც. უბრალოდ, საქართველოში მასშტაბური პროექტი ამ მიმართულებით ჯერ არ განხორციელებულა. იყო მცდელობები, მაგალითად, რამდენიმე წლის წინ, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის შეიქმნა თამაში, მაგრამ ეს თამაში ისეთი არ გამოვიდა, როგორიც თავიდან იყო ჩაფიქრებული. მსგავს პროექტის სათანადო დონეზე განხორციელებისთვის, ალბათ, უცხოური კომპანიების ჩართვა იქნება საჭირო.

### 6. და ბოლოს: წარმოიდგინე, ეს თამაში შექმნილია. რომელ პერსონაჟს აირჩივდი შენს გმირად, ვის სახელით ითამაშებდი?

ვისურვებდი, რომ ამ თამაშში, სურვილის შესაბამისად, სხვადასხვა გმირის არჩევის საშუალება ყოფილიყო; ანუ განწყობის მიხედვით შევეცდებოდი, რომ სხვადასხვა გმირის სახით მეთამაშა, მეცხოვრა ამგვარ თამაშში.

# 03 03 03 რეალ ალმასივით ბრწყინვალე! დააბანდათ ალმასივით ღირებულება!

ბინა „მწვანე ალმასში“, „ახალი თბილისის“ შუაგულში, ბელიერი ცენტრების  
და გონივრული სამომავლო ინვესტიციის გარანტია



**10%**

**პირველადი  
შენატანი**

გადაიხადე მეტი პირველადი  
შენატანი და მიღება  
15%-მდე ფასდაკლება

**30%**

**ყოველთვიური  
შენატანი**

1% ყოველთვიური შენატანი  
30 თვეს მანძილზე

**60%**

**შენატანი  
ჩაბარებისას**

სრულდება  
2018 წლის მაისში

**MAQRO  
CONSTRUCTION**




**მწვანე არეალი**  
გაერთიანებული სამსახური

**GREENDIAMOND.GE**

**200 10 10**

## ინტერვიუ მარა ნავერიანთან

ავტორი: ელენა აბაშელი



მარა ნავერიანი, Balloons, 2005  
ფერადი ფანერის ქაღალდი, 148 x 114 cm,



მაია ნავერიანის პროექტის გამოფენა House of Forward Thinking. Project ArtBeat Moving Gallery, თბილისის მთაწმინდის პარკი

**ელენე აბაშიძე:** მაია, შენს ამჟამინდელ გამოფენაზე მითხარი, რომ მთელი ექსპოზიცია ინტუიციურად ააგე, მხოლოდ შემდეგ დაინახე ლოგიკა ნამუშევრების განლაგებასა და განვითარებაში. როგორ ფიქრობ, ინტუიცია ხელოვანისთვის არსებითი თვისება?

**მაია ნავერიანი:** ჩემი აზრით, ინტუიცია ნამდვილად არის მთავარი ორიენტირი, გეზის მაჩვენებელი... გზამკვლევი.

ალბათ იმიტომ, რომ ის უშუალობა, რაც მხოლოდ ინტუიციაზე მინდობით ჩნდება, საკუთარი ეგოსგან და კულტურის გაფორმებული ენისგან (კლიშეები-სგან) გამოთავისუფლების აუცილებელი წინაპირობაა - კონდიცია, რომელიც თავისთავად დიდ სივრცეს და შესაძლებლობას გადახსნის სუბიექტური მხატვრული ენის გასაფორმებლად, დასამუშავებლად და აუთვისებელ ტერიტორიებში კითხვებით სამოგზაუროდ.

რაც შეეხება ამ გამოფენას - **House of Forward Thinking** (Project ArtBeat-ის პროექტი), ის ძალიან სპეციფიკურ და უკვე ძალიან სიმბოლურ სივრცეში - სატვირთო კონტენერშია, რომელიც მთაწმინდის მთის კიდედან გადაჰყურებს გადაშლილ, მრავალშრიან პანორამას და ძალიან მძაფრი ემოციური და ასო-ციაციური რეაგირებისკენ გიბიძებებს. კონტენერის შინაარსიდან გამომდინარე, ამ სტატიკური პეიზაჟის კონტრასტად კიდევ უფრო მძაფრდება არასტაბი-

ლურობისა და არაპერმანენტულობის განცდა. კონტენერი - გამოქვაბული, სახლი, ხორხი, რომელიც უსასრულობას თითქოს ზევიდან გადაჰყურებს; თავის წიაღში კი რაღაც საშინლად ადამიანური, ინტიმური ხდება და თავისი დინამიკა აქვს... დიდი რეინის კარი პერიოდულად იღება და ეს ორი პარალელური რეალობა თითქოს ერთმანეთში იწყებს გადადინებას... ცოტა ხანიც და კონტენერი გადაადგილდება, პეიზაჟი კი არ შეიცვლება... მოკლედ, ამ ადგილზე და ამ გამოფენაზე ბევრი რამის თქმა შემიძლია, იმდენად დიდი იყო ინსპირაცია და, ალბათ, სწორედ ამიტომაც, ძალიან უმტკიცნეულოდ და ჰარმონიულად აეწყო და თავისი ნარატივიც სპონტანურად გაუფორმდა.

**შენს ხელოვნებაში ნახატი დომინირებს როგორც ფორმა. რატომ აირჩიე ხატვა, როგორც მედიუმი?**

ბოლო დაახლოებით თორმეტი-ცამეტი წელია, რაც ნახატი ჩემს ძირითად ენად გაფორმდა. ეს ალბათ ნახატის (ხატვის პროცესის) თავისებურებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე მოხდა. თვით ნახატის, „ხატვის“ აქტში ჩემთვის ყველაზე უშუალოდ, სენსიტიურად და შეუნილბავად ფიქსირდება ის დრამა, რაც ჩემი ფსიქოლოგიური, ემოციური და ანალიტიკური „კვლევების“ და „გამოძიების“ პროცესის და ამის შედეგად გაეთეთებული „ალმოჩენების“ ვიზუალურ შედეგად



მაია ნავარიანი, უსათაურო, 2005  
ფეხაზი ფანერი ქალაქში, 46 x 64 cm

(დასტურად) ფორმდება.

ამ „გაფორმების“ პროცესში, ფიზიკური ასპექტი ძალიან მნიშვნელოვანია: ფანქრების გათლის ხმა, ფანქრის ნათალის აუქრულად ჩამოფრქვევა, სუფთა ქალალზე ფანქრის ხახუნით სუბიექტური ნიშნების დაბადება, კვალის დატოვება - ყველაფერი ეს ირა-ციონალურ, ალტერნატიულ რეალობაში გადაბიჯებაში გეხმარება. სამუშაო მასალაც, თავისთავად, სხვა-დასხვა სიმბოლური ასოციაციის ხარჯზე ფინანსური წილად ამზადებს სათქმელის ვიზუალურად გასამუღავნებლად. მაგალითად, სუფთა ქალალი - პირობითად უსასრულო ანონიმური სივრცეა, მაგრამ ადვილად გასანადგურებელი, დასაზიანებელი, რაც ამ მასალაზე მუშაობას მტკიცნეულობას სძენს და თან წარმავლობის განცდას ამძაფრებს.

ნახატთან ჩემი დამოკიდებულების ორ ფორმას გამოყოფდა: ერთია - პატარა ნახატები - მონახაზები, ჩანახატები, ჩანაწერები, რომელებსაც უფრო სერიული ხასიათი აქვს; და მეორე - დიდი ფორმატის ნახატი, რომელიც, ძირითადად, ფერადი ფანქრების უსასრუ-

ლო, თითქმის მანიაკალური შტრიხებით არის „აშენ-ებული“, „გაობიექტურებული“ ანუ, შეიძლება ითქვას, ეს ფოკუსირებული უსასრულო მცდელობაა კონკრეტული ტექსტის ღრმა გამოძიებისა და მისი სუბიექტური პროექციისა.

რაც შეეხება პატარა ნახატებს, თავისთავად რაღაცის ჩახატვა, ჩანიშვნა, ყოველგვარი, „მხატვრული“ ძალისხმევის გარეშე და თითქოს საკუთარი მე-ს ჩაურევლობით, ძალდაუტანებლად აფიქსირებს, ბადებს ნიშანს, რომელიც მხოლოდ მინიშნების მისიას ას-რულებს და თავისუფალია დასრულებული მესივის დიდაქტიკისგან.


შენს ხელოვნებაში ხშირია პატრიარქალური საზოგა-დობის კრიტიკა. თუმცა ეს კრიტიკაც განსაკუთრებით ანტიდიდაქტიკური ხასიათით გამოირჩევა და, შესაბამისად, არასოდესაა მოცემული პირდაპირი მესივი. ჩემი აზრით, კრიტიკა არა მხოლოდ იკითხება შენს ტექსტში თუ ნახატში, არამედ თავად ნამუშევრის აგებისა და მისი პრეზენტირების ფორმაშიც გამოიხატება - როგორც ანტი-დოგმატური, ანტი-დიდაქტიკური, ანტი-პატრი-არქალური, ფაქტიზი, დაუცველი და ერთი შეხედვით, დაუსრულებელი ნახატების წყობა. ჩემთვის, სწორედ ამ ნიშან-თვისებებში ჩანს შენი ხედვისა და სათქმელის ფემინისტური მხარეც.

მე მომიწია ცხოვრება როგორც დასავლური, ასევე აღმოსავლური ღირებულებების გამზიარებელ საზოგა-დობრივ წყობებში, რომელიც, ერთი შეხედვით, რადი-კალურად განსხვავდება ერთმანეთისგან; თუმცა, დრო-თა განმავლობაში, ერთი რამ გახდა ნათელი: ორივე სისტემა, ამა თუ იმ ფორმით, პატრიარქალურია. მაქვს განცდა, რომ ფემინიზმის პირველმა ტალღამ ფუნ-დამენტურად ვერაფერი შეცვალა, მიუხედავად იმისა, რომ რასაკვირველია, წინა პლანზე გამოვიდა თანას-წორობის და ქალთა უფლებების საკითხები (ამ მხრივ, პროგრესი უდავოა); აზროვნების სტრუქტურა კი (რა თავისთავად ყველა სხვა სისტემების წყობის გაფორ-მებაზე აისახება), ისევ პატრიარქალურ-ფალიკურ პრინციპზე აგებული. დღესდღეობით ისეთი გრძნო-ბა მაქვს, რომ ფემინიზმის პოლიტიკურ/სოციალური გაბრძოლება ნელ-ნელა უფრო გაამდიდრა ქალთა ახალმა ირაციონალურმა მხატვრულმა დისკურსმა, რომელმაც ახალი დინება შემოიტანა და პრაგმატულ/რაციონალურ/დიდაქტიკურ (ანუ პატრიარქალურ) ფუნდამენტს წყალი შეუყენა. ზუსტად ამიტომ, ჩემი აზრით, უფრო გამოიკვეთა ქალის (როგორც ალტერნა-ტიული სისტემის) დისკურსის, სულ ცოტა, ფალიკურ დისკურსთან თანასწორობის და საბოლოო მიზნად კი - საზღვრების საერთოდ გაუქმების სამომავლო პერ-სპექტივა.

ჩემი ტექსტიც (თავისი დამახასიათებელი ნიშნებითა და სიმბოლიკით) ამ „ისტორიულ/ფუნდამენტალისტურ/



მაისა გავერიცანი, Clown, 2012  
ფერადი ფანერი ქალაქით, 150cm x 114cm



მაია ნავერიანი, Chicks So Far, 2011  
ფენაზე ფანჯრები ქალაქში, 150 x 114cm

„პატრიარქალურ“ მითოლოგიასთან გამკლავების, „შე-თამაშების“ და დეკონსტრუქციის მცდელობის ილუსტრაციად შეიძლება ჩაითვალოს.


**სიმბოლოები, კულტურის ნიშნები და ტექსტი - ეს რამდენიმე გამორჩეულად დამახასიათებელი თვისებაა შენი შემოქმედებისთვის. ჩანს მრავალი მინიშნება ხელოვნების ისტორიიდან და პოპულარული კულტურიდან. როგორ დაახასიათებდი შენი გამომსახველობითი ენის სპეციფიკას?**

მთელი მხატვრული ენა და სათქმელი, რასაკვირველია, გარე და შინაგან პროცესებზე რეაგირების და რეფლექსის შედეგად ფორმდება. უწყვეტი ინფორმაციის ნაკადი, რომელიც ყოველი მხრიდან შემოღის ადამიანის ფსიქიკური, ყოველდღიურობაში, კულტურაში (ნიშნებით, სიმბოლოებით, ენით) და თან უსასრულო დინამიკაშია, ილექტა ქვეცნობიერში. გვინდა თუ არ გვინდა, ეს მოცემულობა დიდ ზემოქმედებას ახდენს ცნობიერების, დამოკიდებულებების, ლირებულებების გაფორმებაზე. ამ დიდ აურზაურში გასარკვევად და ამ „თავსმოხვეული“ ცნებების გასაშიფრად კი დიდი „გამოძიებაა“ ჩასატარებელი. ამას ემსახურება, ალბათ, ის პროცესი, რომელიც ინტუიციურად, სუბიექტურად მაგროვებინებს მასალას, რომელიც ყოველდღიური

ფრაზების, სლოგანების, იმიჯების, ისტორიულ/ლიტერატურული, პოპ-კულტურული რეფერენსების სახით ფორმდება, ხშირად განმეორებითი ხასიათი აქვს და სხვადასხვა მიღომით და საშუალებით მუშავდება. ამ ფრაგმენტების ერთობა კი თანდათან ერთიან მხატვრულ ტექსტსა და სხეულს ქმნის. რასაკვირველია, ამ პროცესის შედეგად ყველა შეკითხვა პასუხაუცემელი რჩება, მაგრამ თავისთავად სტაბილური მოცემულობების (თვითონ ხატვის ენისაც კი) კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება უზარმაზარი გათავისუფლების პერსპექტივის ოპტიმიზმს მიჩინს.

**ჯერ გია ეძგვერაძის კლასში იყავი და მისივე დაარსებული ხელოვანთა ჯგუფის, Everything is All Right-ის წევრი. რა ადგილი უჭირავს ამ გამოცდილებას შენს მსოფლალქმასა და შემოქმედებაში?**

გიამ ძალიან დიდი გავლენა მოახდინა, პირველ რიგში, აზროვნების სისტემის ფორმირებაზე. არასდროს დამავიწყდება ჩვემი პირველი შეცდუნება ჩვიდმეტი წლის ასაკში. გიას კლასში მოხვედრილს, ნელ-ნელა როგორ გამიცნობიერდა, რომ სამყარო ბევრად უფრო გახსნილი, მასშტაბური და თავისუფალია, ვიდრე წარმომედგინა და მისი ინტერპრეტაციისა და გაანალიზების ულიმიტო შესაძლებლობები არსებობს! გიას სტუდიაში იდგა სრულიად არატიპური, ალტერნატიული, ნამდვილი შემოქმედებითი სული, „სამოციანებივით“ ლამაზი, მსუბუქი, დაუძაბავი გარემოთი და ღირებულებებით. ეს იყო თბილისურ საბჭოთა რეალობაში უპრეცედენტოდ ინფორმირებული და თავისუფალი სააზროვნო სივრცე; ოაზისი, სადაც გია მისთვის დამახასიათებელი უნიკალური ენთუზიაზმით და უშურველობით გვიზიარებდა თავის სულიერ, მხატვრულ თუ ინტელექტუალურ ცოდნას და ინდივიდუალიზმს გვიღვიძებდა. ძალიან ბევრს მუშაობდა ყველა და ამ მხრივ ძალიან მეცნიერება დისციპლინა გვქონდა. მოწევა, ჭამა-სმა, უაზროდ დროის გაყვანა არც შეიძლებოდა ადეკვატური ყოფილიყო იმ გარემოში, სადაც ასეთი ცოცხალი, გამჭვირვალე და იდეალისტური ატმოსფერო იყო. უპრალოდ, არავის არც უნდებოდა ამ ყველაფრის „გაბანძება“. შემდეგ, უკვე აკადემიის დამთავრებისთანავე, ინგლისში აღმოჩნდი, გია კი იმ დროისთვის გერმანიაში აგრძელებდა ცხოვრებას და შემოქმედებას. ევროპაში კომუნიკაცია და მეგობრობა გავაგრძელეთ და დროთა გახმავლობაში, გიას სხვადასხვა კურატორულ პროექტში კოლაბორაციაც დავიწყეთ. მაგალითად, ჯგუფი Everything is All Right გიას იდეა-პროექტი იყო, სადაც სამუზეუმი სივრცეებში, მაგ., Ostwald Museum (Dortmund), Museum Kunst Palast (Dusseldorf), Neuer Berliner Kunstverein (Berlin) შემოქმედებითი მუსტის უშუალოდ გადმოცემა (სხვადასხვა მხატვრული ფორმით, პერფორმანსის ჩათვლით), კულტურის დესტაბილიზაცია და ამით ახალი დისკურსის განვითარების მცდელობა მთავარი ლირებულება იყო. ჯგუფში პერიოდულად შემოდიოდნენ და გადიოდნენ მხატვრები, რომლებიც ამა თუ იმ დროს თავიანთი სუბიექტური შემოქმედებით ენობრივადაც და ხასიათითაც მრავალფეროვანს ხდიდნენ ამ პროექტს და დინამიკაც



გიორგი გვაზერიანი, And the winner is..., 2012  
მერავი ფანტასიური კალავები, 150 x 114 cm



მაია ნავერიანი, უსათავო, 2005  
ფეხალი ფანერიში ექლადება, 46 x 64 cm

განუწყვეტლად გადახალისდებოდა ხოლმე. რასაკვირველია, ასეთი დიდი მასშტაბის და დიდი გახსნილობის გამოფენებში მონანილეობამ უფრო გაამდიდრა მხატვრული ენა და ახალი, უცნობი ტერიტორიების გამოკვლევის დიდი შინაგანი საჭიროება წარმოშვა.

**შენი ცხოვრების უმეტესი ნაწილი დიდ ბრიტანეთში გაატარე. როგორ ფიქრობ, ლონდონის ხელოვნების სცენამ გვალენა იქონია შენს შემოქმედებაზე? რით გავს და რით გამოიჩინევა იგი მისგან?**

ლონდონში ოცდახუთ წელზე მეტია, რაც ვცხოვრობ - პრაქტიკულად, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება. ალბათ, გავლენა ყველაფერმა იქონია: პირველმა კულტურულმა შოკმა და ამით გამოწვეულმა დეზორინტაციამ, ცნობიერების და ლირებულებების მსხვრევამ და შეძლევ თავიდან აწყობის მცდელობამ, იმ დისტანციის განცდამ, რაც საბჭოთა კავშირის რეალობიდან წასულს დასავლურ კაპიტალისტურ სისტემაში ჩავარდნისას გამიჩნდა, ორივე პოლიტიკურ/კულტურულ/სოციალური სისტემის მიმართ და ბევრი რამის გაცნობიერების შანსი მომცა. რაც შეეხება ლონდონის მრავალშრიან სუბიექტურ, ინგლისისთვის დამახასიათებელი ირონიით გაჟღენთილ თანამედროვე მხატვრე-



ბის დისკურსს (განსაუთორებით ოთხმოცდაათიანებში YBA\*-ის სცენაზე გამოსვლის პერიოდში), რომელიც ფორმითაც და შინაარსითაც თითქოს მომავალ ცნობიერებაზე იყო ორიენტირებული, თავისი კვალი ჩემს ცნობიერებაშიც დატოვა. მგონია, რომ ჩემი მხატვრული ენის გაფორმებაზეც იმოქმედა, პირველ რიგში, თავისთავადაც და გარემოსთანაც სკეპტიციზმით და იუმორით დისტანციების სურვილი გამიჩინა. იმედია, ეს მხოლოდ სურვილის დონეზე არ დარჩენილა... ალბათ, ეს იუმორი და ირონია ის, რაც ინგლისიდან „წამოვიდე“, ხოლო საქართველოდან კი, ალბათ, მეგა-სუბიექტური, უშუალო, ემოციური რეაგირებაა, სადაც „COOL“ სკეპტიციურობა, თვითირონია და განყენებულობა საერთოდ ჰორიზონტზეც არ ჩანს... ალბათ, ამ ორი წაკადის „ეგზოტიკური“ წაზავია ჩემი ენაც...

\*YBA - Young British Artists - „ახალგაზრდა ბრიტანელი არტისტები“ - ხელოვანთა კოლექტივი, რომელიც 1980-იანი წლების ბოლოს დაამარცხა ლონდონში და გოლდსმიტის კოლეჯის რამდენიმე კურს-დამატვებულის სხველს უკავშირდება. მათ შორის არიან: დემიენ ჰირსტი, თრეის ემინი, რეიჩელ უაითორდ და სხვ.

HAPPY  
HOURS  
-15% OFF

მიირთვით უგემრიელესი კერძები  
და დატკბით ულამაზესი ხედით  
ტერასა და ლაუნჯ ბარ Sky 7 - ზე

მიიღეთ - 15% - იანი ფასდაკლება  
კერძებსა და სასმელზე მხიარული  
საათების განმავლობაში ყოველთვე  
12:00 - დან 18:00 საათამდე!



SKY 7  
terrace &  
lounge  
bar



9 VAKHTANG GORGASALI STREET, 0105 TBILISI, GEORGIA

T + 995 32 200 60 60 | F + 995 32 2006161 | E-mail: H9417@accorcom | mercure.com | accorhotels.com

# NEW WAVE

პროექტის ავტორი: ნინეა ხაინძელავა

ფოტო: მიოჩემი გაერანი



მიორჩი მაისურაძე, 21 ხლის,  
ჩემისობი, ჩემისობი.

### 1. რატომ უნდა იყოს პრიორიტეტი ახალგაზრდებისთვის თანასწორებისთვის ბრძოლა?

**გიორგი:** დღეს, საქართველოში, ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრობლემად განათლების დაბალი ხარისხი მიმართინა. ვფიქროს, ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორებიცაა ეკონომიკური სიდუხჭირე, რელიგიური ფანატიზმი, უმცირესობების ჩაგვრა, ძალადობრივი ნარკოპოლიტიკა, გარემოს დაბინძურება, არქიტექტურული და ურბანული კოლაფსი და ა.შ. სათავეს ზემოთხსენებული ფაქტორებიდან იღებს. სამოქალაქოა ქტივობის გაზრდა აღნიშნული პრობლემების მოგვარების ერთ-ერთი წინაპირობაა, თუმცა იმისთვის, რომ საზოგადოების ჩართულობა გაიზარდოს, ცნობიერების ამაღლებაა საჭირო.

### 2. რას ფიქრობ რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების შესახებ განათლების შეტანაზე სკოლებში? რა უნდა ისწავლებოდეს ამ საგნის ფარგლებში?

**გიორგი:** ვფიქრობ, საგანი, რომელიც ამ თემას შეეხება, ბევრ მნიშვნელოვან საკითხს უნდა მოიცავდეს, იქნება ეს უსაფრთხო სექსი, ნაადრევი ქორწინება, გენდერული თანასწორობა, სექსუალური ორიენტაცია და ა.შ. მიმართია, რომ ახალგაზრდა თაობებში ამ თემების დამუშავება და გააზრება ჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელს.

### 3. მედია სივრცეში თუ არის პროგრესი ქალთა საკითხების გაშუქების მხრივ? რა ტენდენციებს ხედავ?

**გიორგი:** ვფიქრობ, წლების განმავლობაში ამ თემამ აქტუალობა შეიძინა. მედიის როლი აღნიშნული საკითხის წინაპლატებაზე წამონევაში დიდია, თუმცა არაერთგვაროვანი. ინტერნეტ გამოცემებში, ტელევიზიუმშა და უურნალ-გაზეთებში ხშირად შეხვდებით ქალთა საკითხებზე მომზადებულ სხვადასხვა სახის მასალას, რომლებიც გაფერებულია სექსიზმითა და სიძულვილის ენით. თუმცა, არსებობს გამონაკლისი მედია საშუალებებიც, რომლებიც პროფესიონალურად აშუქებენ ამ თემებს.



ანდრი ეჩაძე, 23 წლის, ფოტომხაყი.

1. რატომ უნდა იყოს შენი თაობისთვის პრიორიტეტული თანას-ნორობისთვის პრძოლა?

**ანდრო:** სამოქალაქო აქტივობა თუ არ გაიზარდა ნებისმიერი პოლიტიკური თუ სოციალური ან სხვა მოვლენების მიმართ, მგონია, რომ შედეგი შეუძლებელი მისაღწევია -იქნება ეს

არაპუმანური ნარკოპოლიტიკის წინააღმდევე ბრძოლა, გამ-წვანების და ქალაქის დაგეგმარების პრობლემა (ვაულისხმობ სამაგალითო ნიმუშს, როგორიცაა პანორამა თბილისი), ასევე ბრძოლა ქალთა უფლებებისთვის, რომელიც რომ ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია ჩვენს საზოგადოებაში. მთავარი დეტალი აյ არის საკუთარი სივრცის პრობლემა, სადაც



ადამიანები სხვების მიმართ სოლიდარობას არ გრძნობენ მანამ, სანამ თვითონ არ ექმნებათ იგივე პრობლემა. მთავარია იმატოს სოლიდარობის და სამოქალაქო მოვალეობის შეგრძნების სარისხმა და როდენობის სარისხმა და როდენობის შეგრძნების მიზანით როგორ გააგრძელეს ცხოვრება შენმა კლასელმა გოგოებმა სკოლის დამთავრების შემდეგ და, შენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი?

განათლებული და სოლიდარული იყოს მის მიმართ.

### 2. როგორ გააგრძელეს ცხოვრება შენმა კლასელმა გოგოებმა სკოლის დამთავრების შემდეგ და, შენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი?

**ანდრი:** ჩემი თანაკლასელი გოგოების უმეტესობა ჩემი ახლო მეგობრები არიან. ზუსტად არ ვიცი, ვის როგორი პირადი ცხოვრება აქვს, მაგრამ არცერთი არ გათხოვილა (როგორც ვიცი). მაგრამ უნივერსიტეტში რომ ჩავაბარე, იქ ცველა გოგო ბავშვიანი იყო, რაც ძალიან უცნაური და რაღაც მომენტში სევდიანია. ზუსტად ვერ ვიტყვი, რა არის ამის მიზეზი, იმიტომ, რომ ხანდახან ეს სოციალური მომენტიცაა, როდესაც ქალს საკუთრი შესაძლებლობების არ სვერა და კარიერასაც დიდი ენთუზიაზმით არ ეკიდება. ამიტომ, ხანდახან მათთვის გამოსავალი მყარი მეწყვილის ნახვაა, რომელთანაც შვილი გააჩენენ და ნაწილობრივ, ამ შვილის გაზრდას მიუძლვიან ცხოვრებას. მგონია, რომ ქალებს დღეს საკუთარი შესაძლებლობების მიმართ რწმენა აკლიათ და ჩვენი საზოგადოება ვალდებულია, ამ თვითშეფასების ამაღლებაზე იმუშაოს. ხშირ შემთხვევაში, მიზანმიმართულ და პროფესიონალ ქალებსაც უჭირთ სამსახურის პოვნა და საკუთარი თავის რეალიზაცია, იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოება სავსეა სტერეოტიპებით, რომელის დასანგრევადაც განათლებაა საჭირო. თამამად შემიძლია ისიც ვთქვა, რომ დღეს სახელოვნებო თუ სხვა სივრცეში მომუშავე ქალები ბევრად უფრო აქტიურები, პროდუქტიულები და შემოქმედებითები არიან. ჩემი გამოცდილებით და დაკვირვებით, თანამედროვე ქართული კინო სავსეა უნიჭიერესი ქალი რეჟისორებით, რომელიც ბევრად უფრო თამამად, გულწრფელად და ხმამაღლა ამბობენ თავიანთ სათქმელს და ეს ძალიან მიხარია.

### 3. როდესაც შენს გარემოცვაში სექსიზმის შემთხვევას აწყდები, როგორია შენი რეაქცია და საიდან მოდის ეს დამოკიდებულება ქალებისადმი?

**ანდრი:** რაღაც მომენტში, მგონია, რომ სექსიზმიც გაუნათლებლობის ბრალია. ასეთი ფაქტები და მიმართებები თითქმის ყოველდღიურად ხდება ჩვენს და ჩემს გარშემო, სადაც, მაგალითად, თუ მძლოლი ქალია, ის ყოველთვის დამრღვევია; ან თუ ისევ კინოს დაუუბრუნდებით: ჩემს უნივერსიტეტში ლექტორობა ამბობდა, რომ ქალი არ შეიძლება იყოს რეჟისორი/ოპერატორი, თან მიზეზად იმას ასახელებდა, რომ ქალის ძუძუები აქვს, რაც ალოგიკურია. წინა თაობისთვის, ხშირ შემთხვევაში, ქალი მხოლოდ სამომხმარებლო საგანია, რასაც ახალ თაობაში, ჩემს ირგვლივ, იშვიათად ვაწყდები. ჩემს თაობაში ერთმანეთს გენდერული, ეთნიკური, სოციალურითუ სხვა ნიშნით კი არ განვსაზღვრავთ, არამედ პიროვნულად და ხასათით, პროფესიონალიზმით. თუმცა, რა თქმა უნდა, სექსიზმი არსად გამქრალა. უბრალოდ, ისეთი ლია და პირდაპირი ფორმით ალარ გამოიხატება და ამიტომაც, ჩვენ მას ხანდახან ვერც ვამჩნევთ.



1. შენი თაობის გოგოებში რა არის ყველაზე დიდი დამაპრკოლებელი ფაქტორი, რაც მათ განათლების მიღებაში და, ზოგადად, სოციალურ მობილობაში უშლის ხელს?

**გვანცა:** ჩემი თაობის გოგოებში მძლავრადაა როგორც ფინანსური და, ზოგადად, ეკონომიკური დამოუკიდებლობის დეფიციტი, ასევე ოჯახებისა და საზოგადოების მიერ მათი სხეულისა და ცხოვრების დეტალების კონტროლი. განათლების მიღება საქართველოში პრივილეგიაა, რადგან სწავლის საფასური ძალიან დიდია საშუალო ხელფასთან შედარებით, რაც ოჯახს მძიმე ტვირთად აწვება. შესაბამისად, გოგოებში ინვესტიციის ჩადება, ყველაზე დაბალ

ფენებში, რომელიც საქართველოში უხვადაა, სხვა კუთხით ხდება. მათ, უბრალოდ, იმორებენ და ათხოვებენ. სოციალური მობილობის მარტივი და პოპულარული მეთოდი გათხოვება ან ლამაზი სხეულის მეშვეობით მაღალ საზოგადოებაში ყურადღების მიქცევაა.

2. რას ურჩევდი შენი თაობის გოგოებს სოლიდარობის გამოხატვის თვალსაზრისით, როგორ უნდა გამოიჩინონ მათ სოლიდარობა ერთმანეთის მიმართ?

**გვანცა:** სოლიდარობის განცდის გაჩენა საკუთარ ყოფაზე დაფიქრებით და ანალიზით მიიღწევა. თუ ფემინიზმის




გვანცხა ხონელიძე, 22 წლის, სთუდენტი, აქტივისტი.

რევოლუციური და წინააღმდეგობრივი იდეა გავრცელდება გოგოებში, ამას, საწყის ეტაპზე, კერ დაფიქრება მოყვება, ხოლო შემდეგ აქტიურ ფაზაში გადატანით დაგვირგვინდება. სოლიდარობის განცდით უნდა ჩანაცვლდეს მთავარი და მა-ცალკევებელი კონკურენციის პრინციპი, რომელიც სოციალ-ური ურთიერთობების ყველა შრეში, ეკონომიკურ ყოფაში და განსაკუთრებით ქალებს შორის ერთმანეთთან მიმრთებაში ყველაზე გაპიარებული და ფესვგამდგარი ცნებაა. მთავარია, ყველა სივრცეში საჯაროდ გაკრიტიკდეს კონკურენციის პრინციპის ლიბერალური პოზიტიური პერსპექტივები.

### 3. შენი აზრით, საჭიროა თუ არა რეპროდუქციული ჯანმრთე-

ლობის საკითხების შესახებ განათლების შეტანა სკოლებში? და რა უნდა ისწავლებოდეს ამ საგნის ფარგლებში?

**გვანცა:** რა თქმა უნდა და ეს უნდა იყოს ფემინისტური მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრალური მოთხოვნა. სკოლებში ასეთი ტიპის განათლება ადამიანებს თავიანთ სექსუალობაზე კონტროლის საბაზისო მექანიზმებს დაუბრუნებს. ტაბუებთან და სხეულთან გაუცხოების მთავარი პრინციპი თანაბრძოლა უნდა იყოს.



თბილისი, 20 წლის, სოფელი  
Fest i nova-ს პორჩეინაფორი.



**1. როგორია თანამედროვე ქართული ხელოვნება დღეს და იგრძნობა თუ არა ფემინისტური და, ზოგადად, სოციალური მესივჯების ნაკლებობა?**

**თინა:** თანამედროვე ქართული პოსტმოდერნისტული ხელოვნება ძალიან პატარა, ალბათ, ის ჩემი ასაკის ან შეიძლება ცოტა დიდია. საერთაშორისო სახელოვნებო რეკაზე გამოჩენას ჩვენ ახლა ვიწყებთ და, ბუნებრივია, ამ პროცესებს გარკვეული სირთულეები ახლავს თან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სირთულე არის ენა, რომელსაც ხშირად არტისტები არასწორად ირჩევენ. ზოგადად, ქართულ სახელოვნებო სივრცეში იგრძნობა სოციალური მესივჯების ნაკლებობა, არტისტები იშვიათად ინტერესდებიან ამ მიმართულებით. თუმცა, მახსენდება ჯგუფი „ბულონი“, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს და ცდილობს, წაშალოს ზღვარი პრივატულსა და საზოგადოებრივს შორის, ხელოვნება სოციალური და ჩართული გახადოს, გავდეს საგამოფენო სივრცეებიდან ქუჩაში; თამუნა ჭაბაშვილი, რომელიც გენდერულ თემაზე მუშაობს და მისი ნამუშევრები კვლევას ეფუძნება. ბოლო დროს შეიმჩნევა სხვადასხვა სოციალური არტ პროექტის ინიციატივები, რაც სასიმოვნოა და, ჩემი აზრით, სერიოზულ რეფლექსიას მოითხოვს.

**2. შენი ბავშვობის პერიოდიდან დღემდე, შეიცვალა თუ არა ქალების მიერ საჯარო/მედიასივრცეების დაკავების ინტენსივობა?**

**თინა:** ჩემი ბავშვობის პერიოდიდან დღემდე ბევრი რამე შეიცვალა. ჩემი აზრით, ეს ზუსტად ის წლებია, როცა საზოგადოება მეტად ინფორმირებული გახდა. ქალები უფრო გააქტიურდნენ ჩემ გარშემო, უფრო ხშირად ჩნდებიან მედიაში და ხშირად ზუსტად ქალები არიან ახალი და საინტერესო პროექტების ინიციატორები, რომლებსაც სასარგებლო შედეგები მოყვება ხოლმე. ასევე, ბევრი ჯგუფი გაჩნდა, რომელიც ცდილობს, ანალიზი გაუკეთოს მოვლენებს, ეს-აუპროს ქალებს და სივრცეები შეუქმნას მათ, სადაც ისინი იმუშავებენ. თუმცა ჯერ კიდევ არასაკმარისად არიან ქალები ემანსიპირებული და ხშირად შეცდომა ზუსტად იქიდან იწყება, რომ ჩვენი სოციუმის მიხედვით განვსაზღვრავთ, რა ხდება ქვეყანაში. რეგიონებში ბევრი პრობლემაა გენდერული კუთხით და, ალბათ, მთავარი და პრიორიტეტულია, ქალებს ერთმანეთის მიმართ მეტი ემპათია გაუჩინდეთ.

**3. რა დაბრკოლებას აწყდებიან ქალები სახელოვნებო სივრცეებში და გიგრძვნია/შეგიმჩნევია თუ არა გამყარებული ორმაგი სტანდარტების არსებობა ამ სივრცეში?**

++ + + + + + + ..

, > + + . < < + + + + +

+ + + + + + + . > .



**თინა:** ყველაზე მტკიცნეული, ალბათ, ის არის, რომ ხშირ-ად ჩინდება კითხვა, რატომ არარსებობდნენ რაფაელისა ან მიქელანჯელოს დონის ქალი არტისტები, იპოსტება სტატიები „6 წარმატებული ქალი არტისტი“ და ქალისა და მამაკაცის შემოქმედების ძალიან რადიკალური დაყოფა ხდება. ხშირად ქალებს ოჯახები არ აძლევენ უფლებას, ჩვენს რეალობაში ხელოვნებით დაკავდნენ. საუკუნეების მანძილზე, ქალები მხოლოდ საყვარელი მამაკაცების მუზები იყვნენ. მე-

20 საუკუნეში ევროპასა და ამერიკაში გაჩნდა ფემინისტური არტის მიმართულება. მაშინ იქნება გულწრფელი გენდერული ბალანსი, როცა გაქრება ტერმინი „ქალი არტისტი“ ან „მამაკაცი არტისტი“, რადგან ვფიქრობ, რომ ხელოვანი ადამიანები არ უნდა იყოფოდნენ გენდერული ნიშნით. (ზოგადად, ადამიანები არ უნდა იყოფოდნენ გენდერული ნიშნით).

ანო ბულიშვილი, 20 წლის,  
სტუდენტი, ფერითის სტილის აკადემიუმის მიზნები.

**1. რამდენად კომფორტულად გრძნობ საკუთარ თავს შენს სხულში, გქონია თუ არა სურვილი, რაიმე ცვლილებს შეგეტანა შენს გარეგნობაში და რა იყო ამის გამომწვევი მიზეზი?**

**ანო:** გარდატეხის ასაკში, წონაში საგრძნობლად მოვიმატე და თუ სხვა გოგოებს კომპლიმენტები არ აყლდა, ჩემი წონის მატება თანატოლებისგან დამოკიდებულებაში აშკარად უარყოფითად აისახა. ამის გამო, ისეთი დიეტა დავიწყე, რომელმაც ჩემს ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენა იქონია. ვწონიდი საკვების თითოეულ გრამს და ხშირად დღე ისე გავიდოდა, არც ყიკვებებოდი. წონაში ისე დავიკელი, აშკარად არ გამოვიყურებოდი ჯანმრთელად. თუმცა, ამ პერიოდში მომატა კომპლიმენტებმა, ყველა სიხარულით აღნიშნავდა, როგორ გავხდი და ა.შ. საბოლოოდ, დღემდე ვერ შევძელი, კომფორტულად ვიგრძნო თავი ჩემს სხეულში. დაწესებული სტანდარტები, რომლითაც ხალხი გარეგნობას განსჯის, გარკვეული პრობლემების გადალახვის და საკუთარი თავის სრულფასოვნად აღქმის საშუალებას არ მაძლევს, მიუხედავად იმისა, 90/60/ 90 ვარ თუ არა.

**2. რატომ არსებობს „სხეულის იდეალები“, არის თუ არა ეს სექსისტური პრაქტიკა?**

**ანო:** სხეულის იდეალები ქალებისთვის ცალსახად სექსისტური პრაქტიკია. მოდის ინდუსტრია, რეკლამები, კოსმეტიკური ფირმები ქალებს ყოველთვის გვისახავენ ისეთ იდეალებს, რომლის მიღწევაც ან ძალიან რთული და ძვირადლირებულია ჩვეულებრივი ქალისთვის, ან საერთოდ მიუღწეველი. ჩვენ უამრავ ენერგიას და თანხას ვხარჯავთ სხვადასხვა პროდუქტში თუ პლასტიკურ ოპერაციებში და შედევით არასდროს არ ვართ კმაყოფილი. სამაგიეროდ, მდიდრდება ისედაც ყველაზე მდიდარი ინდუსტრია. მართალია, მეინსტრიმ-მედია თამამად აცხადებს, რომ 90-იანების „ჩონჩხი“ აღნავობა ჯანსაღი აღარაა და მეტიც, პლიუს საიზ-მოდელებიც გამოდიან პიდიუმზე. თუმცა, ეს გოგონებიც სტანდარტებს შეესაბამებიან. მათ აუცილებლად აქვთ ლამაზი სახე და წერილი წელი. იმის თქმა მინდა, რომ „იდეალური სხეულის“ პრაქტიკას ნერება არ ხდება, ერთი შეორეს ანაცვლებს ყოველთვის. ჩვეულებრივი ქალისთვის ადგილი პოდიუმზე ვერ გამოინახა.

**3. საზოგადოებისგან ქალები განიცდიან ზენოლას, რომ ამ ნორმებს მიუახლოვდნენ, იმის მიუხედავად, აქვთ თუ არა ამის მატერიალური შესაძლებლობა. რა თანხებთან არის დაკავშირებული „მოვლილი ქალის“ იმიჯი?**

**ანო:** ჩემ გარშემო ხშირად დაცინოდნენ ისეთ გოგონებს,



რომლებსაც 15 წლის ასაკში არ ჰქონდათ საშუალება ან სურვილი, გაეკეთებინათ ეპილაცია, რომელიც დაახლოებით 150 ლარი ჯდება და რომელიც საკმაოდ მტკიცნეული პროცედურაა. ქალისთვის ზენოლა მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება. ჩვენ მეტ-ნაკლებად ყოველთვის განგვსჯიან და გვაკვირდებიან საზოგადოებრივ სივრცეში. მესამე მსოფლიოს ქვეყნებში საშუალო სტატისტიკური შემსავლის მქონე ქალმა დაახლოებით ხელფასის მეოთხედი უნდა დათმოს მხოლოდ იმისთვის, რომ რეგულარულად იაროს სპორტდარბაზში. სალონში სტუმრობა თვეში ერთხელაც



პრობლემაა. არადა, „მოვლილი ქალის“ იმიჯი გვჭირდება როგორც სამსახურში, ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში, რათა სრულფასოვნად აღგვიქვან.

**4. შენი აზრით, რა ნაბიჯები უნდა გადადგან ქალებმა იმის დასაძლევად, რომ თავი დამნაშავედ და არასრულფასოვნად არ იგრძნონ იმის გამო, რომ „იდეალური“ უთმო კანის მატარებლები არ არიან?**

**ანო:** ბიზნესს, მედიას, ზოგადად, საზოგადოებას არ უნდა

მივცეთ საშუალება, განკარგოს ჩვენი საკუთარი გარეგნობა. უნდა მოხდეს ქალების ორგანიზება და ერთიანი პროტესტი იმ პრაქტიკასთან, რასაც დღემდე ახორციელებენ ჩვენზე. უნდა შეიქმნას ალტერნატივები, რომელიც საზოგადოებას რეალურ ქალს უჩვენებს, თუნდაც უურნალ-გაზითები, რომლებიც ყურადღებას არა სტანდარტულ პარამეტრებზე გაამახვილებენ, არამედ ჯანმრთელ სხეულზე. აუცილებლად უნდა გავიაზროთ, რომ მოდის ინდუსტრიის მიერ ნაკარანა-ევ პარამეტრებს ყველა სხეული ვერ მოერგება და არცაა საჭირო.



ეს მეცნიერება, 20 წლის, აჩვისში.

1.რამდენად რეალისტურია სხეულის ის იდეალები, რომლებიც დამკვიდრებულია საზოგადოებაში და მედია მუდმივად ახდენს ასეთი იმიჯების პროპაგანდას? მოქმედებს თუ არა ეს შენზე?

**ქაუ:** ყველა ეპოქას აქვს სილამაზის ეტალონი. რენესანსის ხანაში ჯოკონდა იყო. გარკვეული დროის შემდეგ, უბრალოდ, თვალი იღლება ერთნაირი იმიჯებით. თუ ადრე მხატვრები ტილოს საშუალებით ახდენდნენ პროპაგანდას, ახლა მას სხვადასხვა მედია საშუალება ჩაენაცვლა. ჩვენს ეპოქაში ეს-თეტიური აღქმა ბევრად სწრაფად იცვლება, ვიდრე წინათ. აქედან გამომდინარე, გარკვეულწილად, ჩემზეც მოქმედებს ეს სტანდარტები.

2. როგორ გააგრძელეს ცხოვრება შენმა კლასელმა გოგოებმა სკოლის დამთავრების შემდეგ და, შენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი?

**ქაუ:** ჩემი ასაკის გოგოების დიდი ნაწილი უკვე გათხოვილია.

ეს შეიძლება მშობლების და ახლო წრის ზენოლის და არას-რულფასოვნების კომპლექსის შედეგი იყოს. აქ მნიშვნელოვანია ის სტერეოტიპი, რომ მდედრობითმა სქესმა აუცილებელი არ არის, მიიღოს განათლება, რადგან შეუძლია გათხოვდეს. ისინი ხშირად კარიერულ წინსვლაზე ან თვითგანვითარებაზე უარს ამბობენ.

3.აკლია თუ არა თანამედროვე ქართულ ხელოვნებას ფემინისტური აქცენტები? არის თუ არა ქართულ სახელოვნები სივრცეში ორმაგი სტანდარტები?

**ქაუ:** დღეს თანამედროვე ხელოვნების სფეროში ბევრად მეტი ადამიანი მუშაობს და მათი რაოდენობა დღითიდლე იზრდება. კაცების დაფასებას რაც შეეხება, ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრად მეტი კაცი ხელოვანია და, თავისთავად, უფრო დაფასებულიც არიან. ამას გარდა, ის ფაქტორიც მნიშვნელოვანია, რომ კურატორების და გალერისტების უმეტესობა ქალები არიან და მათი მხრიდან ქალური სოლიდარობა არასდროს შეინიშნება.



## მიორჩილი შესახუჭვილი 24 წლის, მენეჯერი

**1. რატომ უნდა იყოს თანასწორი უფლებებისთვის პრძოლა პრიორიტეტული შენი თაობის წარმომადგენლებისთვის?**

**გიორგი:** განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემი თაობის წარმომადგენლების მიერ თანასწორი უფლებებისთვის პრძოლა, რადგან ჩემი თაობის ადამიანები არც თუ ისე შორეულ მომავალში, როდესაც საშუალო ასაკს მიაღწევენ, იქნებიან წარმატებული ბიზნესმენები, ქვეყნის მმართველები, სასულიერო პირები, ექიმები და მრავალი სხვა პროფესიის წარმომადგენლები. ჩემი თაობა იქნება ქვეყნის მომავლის განმსაზღვრელი, ქვეყნის უკეთეს მომავალს კი განსაზღვრავს ადამიანთა უფლებების და თავისუფლებების დაცულობის ხარისხი ქვეყანაში. ამიტომ, პრინციპულად მნიშვნელოვანია, ჩემმა თაობამ გაითავისოს ის, რომ ჩენ ყველა თავისუფლალი და თანასწორი დაფიბადეთ, განურჩევლად სქესის, კანის ფერის, წარმომავლობის, სქესობრივი იდენტობის თუ სხვა განმასხვავებელი ნიშნისა.

**2. რა ხერხებით გაზრდიდი ქალთა რეპრეზენტაციას საჯარო სივრცეში?**

**გიორგი:** მეტად მნიშვნელოვანია ქალთა წარმოჩენა საჯარო სივრცეში, იმისთვის, რომ ქალებმა სხვადასხვა საზოგადოე-

ბრივ საქმიანობაში მიიღონ მონაწილეობა და იყვნენ უფრო პროდუქტიულები. საჭიროა, ისინი ყოველთვის სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებით როგორც ოჯახში, ისე სოციუმში. ქალებმა უნდა მიიღონ ხარისხიანი განათლება, აირჩიონ სასურველი პროფესია და თავიანთ საქმეში მიაღწიონ წარმატებას. დღესდღეობით, თანამედროვე მსოფლიოში ქალი საზოგადოებრივი კეთილდღეობის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამიტომ, ყველაზე მნიშვნელოვანი, რისი გაკეთებაც შეიძლება, არის ის, რომ თავად საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას ქალთა უფლებების შელახვა ნებისმიერ სფეროში და ყველამ, განსაკუთრებით ჩემმა თაობამ, რომელიც ქვეყნის მომავლის განმსაზღვრელია, უნდა გაითავისოს ქალისა და მამაკაცის თანაბარუფლებიანობა.

**3. რა არის ის, რაც ბიჭებმა შეიძლება გააკეთონ, რათა გენდერულ თანასწორობას შეუწყონ ხელი?**

**გიორგი:** ჩემი აზრით, ბიჭებმა, უბრალოდ, უნდა გაითავისონ ის ფაქტი, რომ ქალს აქვს იგივე უფლებები, რაც მამაკაცს. მას შეუძლია აირჩიოს, ისევე როგორც მამაკაცს; მას შეუძლია აკეთოს ის, რისი კეთების უფლებაც აქვს მამაკაცს. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც კანონით დაშვებულია.

მარიამ სიხარულიძე, 25 წლის, საზოგადო მოღვაწეობასთან ურთიერთობის ხელშევალები  
- კავკასიის კვეთოთი ჩესურსების ხელშევალები (CRRC-საქართველო), საქართველოს  
ახალგაზრდობის ფარმაცევტიკური განვითარები 2015-2016 წლებში.

## 1. როდის გაიგე პირველად სიტყვა „ფემინიზმი“ და რა იყო შენი შთაბეჭდილება, როდესაც დეფინიციას გაეცანი?

**მარიამი:** როგორია გავიხსენო, ზუსტად როდის ან რა ვითარებაში შევიტყვე ამ ტერმინის შესახებ, მაგრამ ის შეგრძნება მასხველს, რომ სანამ კარგად გავიაზრებდი, რას ნიშნავდა ფემინიზმი, ბევრი ადამიანის მსგავსად, თავდაპირველად მეც ერთგვარი საფუძველს მოკლებული პროტესტის გრძნობა მქონდა და მეგონა, რომ ფემინიზმი კაცებისადმი აგრესია-სა და მათ მზაგვრულად გამოყვანას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე ისეთ ჰუმანურ იდეებს, როგორიც თანასწორობა და სამართლიანობაა. მაგრამ ეს დიდი ხნის წინიყო, და როდე-საც გავიზარდე და მეტი ვისწავლე ფემინიზმის შესახებ, სასიამოვნო იყო იმის აღმოჩენა, რომ ამ ტერმინს სიყვარულთან ბევრად მეტი საერთო აქცეს, ვიდრე აგრესიასთან და სინამდვილეში, სოციალური სამართლიანობისა და ადამიანის უფლებებისთვის იბრძვის. მოკლედ, აღმოჩნდა, რომ ფემინისტი ვიყავი, ისევე როგორც ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ ქალი იმსახურებს ისეთივე შესაძლებლობებს, როგორც კაცი, და პირიქით - იქნება ეს განათლების სფერო, დასაქმება, ოჯახი თუ ბავშვის აღზრდა. ასეთი საზოგადოება ბევრად ლალი და ჯანსალია და სწორი მიმართულებით ვითარდება კიდეც.

## 2. როგორ აწვდის დღევანდელი ქართული მედია-სივრცე ადა-მიანებს „ფემინიზმს“? ხედავ თუ არა პროგრესს ბოლო 10 წლის განმავლობაში?

**მარიამი:** მასმედია ფემინიზმისადმი დიდი მეგობრულობით, ჩემი აზრით, არ გამოირჩევა. ერთი მხრივ, ყოველთვის თვალში გვხვდებოდნენ მედიის მიერ სტერეოტიპულად წარმოდგენილი „იდეალური“ ქალები, ნვრილი წელით, მაღალი ფეხებით და გულუბრყვილო გამოხედვით. მეორე მხარეს კი იდგა რეალობა და ფემინისტური მოძრაობის აქტივისტები, რომლებიც მათ ფონზე, აგრესიულები და ცოტა საშიშებიც კი ჩანან; ანუ მედიის სივრცეში ფემინიზმი მოღაში დიდად არასოდეს ყოფილა და, ამ მხრივ, არც საქართველოა გამონა-აკლისი. ჩვენს პოლიტიკურად პოლარიზებულ და დაძაბულ გარემოში მედიის ყურადღება, ძირითადად, პოლიტიკურმოვლენებს ეთმობა, სადაც ქალთა საკითხები ნაკლებად ჩანს, ხოლო რაც შეეხება პოლიტიკას, ის დღემდე რჩება საზოგადოებრივი აქტივობის საკმაოდ მასკულინურ სფეროზე. მაგრამ პროგრესი, ცხადია, შესამჩნევია. ბევრი რამ შეიცვალა 10 წლის განმავლობაში. ამის ნათელი მაგალითი თუნდაც ეს უურნალია, რომელმაც მთელი ნომერი მიუძღვნა გენდერულ

თანასწორობას და ცდილობს, გაზარდოს ცნობიერება ამ თემის შესახებ, ან რადიო თავისუფლების გადაცემა „გენ-დერული ამბები“. ამგვარ ინიციატივებს ძალიან მიევსალმები. რაც მეტს ვისაუბრებთ ამ თემაზე, მეტი ადამიანი გაიგებს, რომ დროა დაევემშვიდობოთ პირველყოფილ შეხედულებებს ქალების „დანიშნულების“ შესახებ და გავთავისოთ, რომ ფემინიზმი არ ინშავს ქალების დომინირებას ვინმეს დაკინების ხარჯზე.

## 3. როგორ უნდა შეუწყოს ხელი სახელმწიფო ან თუნდაც არასამთავრობო სექტორში ქალების პოლიტიკაში ჩართვას?

**მარიამი:** ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები იდგმება, თუნდაც გენდერულ კვოტაზე საუბრები რომ ვახსენოთ. შეუძლებელია ცალსახად ითქვას, რომ კვოტები კარგია ან ცუდი და, ცხადია, მხოლოდ კვოტირება არ იქნება საქმარისი ქალების პოლიტიკაში ჩასართველად. მაგრამ ფაქტია, რომ კვოტა, რომელიც დაწესებულია ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდისთვის, ისტორიული უსამართლობის გამოსწორების ერთგვარი მცდელობაა, რომელიც ქალების გაძლიერებისკენა მიმართულ.

აქ ორი კითხვა ჩნდება: ეს მცდელობა ამართლებს თუ არა; ანუ მართლა მონაწილეობენ თუ არა ქალები „პოლიტიკაში“, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და იღებენ თუ არა ისინი ქალებისთვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებებს; თუ აგრძელებენ პატრიარქალურ ლოგიკას და კაცი პოლიტიკოსების სისტემაში უბრალო დავალებების შემსრულებლები ხდებან.


და მეორე: თუ მონაწილეობენ და იღებენ კიდეც ქალები-სთვის „სასარგებლო“ გადაწყვეტილებებს პარლამენტში, როგორიც არის დეკრეტული შევებულების, აბორტის, ქორწინების, ქორწინების განკარვების და ქალებისთვის მნიშვნელოვანი სხვა საკითხები, რამდენად მიუთითებს ამ პოლიტიკის ელიტისტი ქალების შემთხვევა სრულ სურათზე. აქ განსაკუთრებით მოყვლად და დაუცველ სეგმენტს ეგულისხმობ, მათ შორის ეთნიკურ უმცირესობებს, სოციალურად დაუცველებს და ა.შ.

ქალების გაძლიერების საკითხი გაცილებით ფართომასშტაბიანია. ვფიქრობ, კვოტები, ქალთა საჯარო სფეროში მონაწილეობის კუთხით, კარგი დროებითი საშუალებაა ისტორიული უთანასწორობის ნაწილობრივ გამოსასწორებლად. კვოტირებას დროზე უნდა მივაშველოთ სხვა ინსტრუმენტები, რომ რეალური ცვლილება მოხდეს. გენდერულ უთანასწორობას უფრო კომპლექსური და მრავალმხრივი მიდგომა სჭირდება და მხოლოდ კვოტები სურათს არ შეცვლის.



მასკოვს, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ახალგაზრ-დული კამპანიის ფარგლებში, რეგიონებში ახალგაზრდებთან შეხვედრებს ვატარებდით, სადაც ადრეული ქორნინების შესახებ ვსაუბრობდით. ზოგიერთ რეგიონში გვხვდებოდნენ ისეთი 15-16 წლის ბიჭები, რომლებიც 15 წლის გოგონას 30 წლის კაცზე გათხოვებას პრობლემად არ აღიქვამდნენ. მართალია, ადრეული ქორნინება უკვე კანონით ისჯება, მაგრამ აქ მენტალიტეტზეა საუბარი, რომლის შეცვლას მხოლოდ

კანონი ვერ უზრუნველყოფს. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება, ზოგადად, უფრო მგრძნობიარე გახდეს ქალების პრობლემების მიმართ, სადაც საზოგადოების განათლება ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს, იქნება ეს განათლების ფორმალური თუ არაფორმალური მეთოდები და, ამ შერივ, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს და არასამთავრობო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობა.



## აღმასრული პორტფელის სივრცა

ავტორი: თამარ კაჩალიძე

- რა საყვარლები არიან, შენებია? - ვეკითხები დიდი ხნის უნახავ კლასელს, რომელიც ქუჩაში შემხვდა.

- მოგწონს? გათხოვილიყავი შენც ადრე და გეყოლებოდა, - მპასუხობს და საკუთარ ხუმრობაზე იღიმის. მე კი მის ხმაში ჩემდამი აგრესიას და სიბრაზესაც ვგრძნობ. თვალები სევდიანი აქვს. სევდიანი და გადალლილი.

მეთერთმეტე კლასში ვიყავით, როცა ქეთი გათხოვდა. ასე, ადგა და გათხოვდა. მშობლებს უნდოდათ, უნივერსიტეტში ჩაებრებინა, საუკეთესო მასწავლებლებთან ატარებდნენ და სოლიდურ თანხასაც

ხარჯავდნენ რეპეტიტორებთან, ეს კი ადგა და გათხოვდა. გათხოვილ ქალს სწავლა-განათლება არ სჭირდება, ქმარს უნდა მიხედოს და ოჯახს მოუაროსო, გამოგვიცხადა მასწავლებელმა, რომელიც საუკეთესო მოსწავლის გადაწყვეტილებით ძალან იყო გულდაწყვეტილი. როგორც ჩანს, ქეთის ახალ ოჯახშიც ასე ფიქრობდნენ. მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ, ბოლო ზარზე ვნახე. ორი თვის ორსულს თეთრი წინსაფარი ეკეთა და თვალები უბრნებინავდა. მასწავლებლების ლაპარაკს მოვეარი ყური, როგორ არ სრუხევნია, თეთრი წინსაფარი რომ ჩაიცვა, სხვებთან ერთად რა ნამუსით დგას ახლაო. გავბრაზდი. თუმცა, არაფერი მითქვამს.

ეს გოგო, ათი წლით უფროს ქალს რომ დამსგავსებოდა, თავისი სამი შვილით, ახლა ჩემ წინ იდგა და სახლში მეპატიურებოდა. ცოტა ხანს ვილაპარაკეთ. თითქოს, აზროვნებით, 17 წლის ასაკში იყო დარჩენილი, თითქოს, არ განვითარდა, თითქოს, მისთვის დრო ათი წლის წინანდელ ნიშნულზე გაიყინა. ღირებულებებიც იგივე დარჩენილია. ადამიანები ვითარდებიან, სწავლობენ, შესედულებებს იცვლიან, ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე კამათობენ, თუმცა როცა ადრეულ ასაკში ბავშვს აჩენენ, თითქოს, ყველას ერთად ეცვლება პრიორიტეტი..

თინეიჯერების უმეტესობა ქორწინებას რომანტიზებულად ხედავს. ფიქრობენ, რომ მათი პირველი სიყვარული ერთადერთია და სიკვდილამდე ტკბილად და ბედნიერად იცხოვრებენ. განსაკუთრებით მომხიბვლელი სტუდენტობაში შვილის ყოლა ეჩვენებათ. გააჩენენ და იძულებულები არიან, ერთ დროს საუკეთესო სტუდენტები, მინიმალურ ქულას დასჯერდნენ. ლექტორიც უნერს, რადგან იცის, რომ დამე აქვს გათენებული, ხედავს, რომ ფეხზე ვერ დგას და ლექციაზეც ყველაფერი აინტერესებს, იმ ღირებულებების გარდა, რომლებზეც ჯგუფს ესაუბრება.

- გათხოვილყავი შენც და გეყოლებოდა ასეთი, - სიცილით, თუმცა დამნაშავის თვალებით მეუბნება გაგა, რომელიც ლამის კლუბის გარეთ, დღის სინათლეზე პირველად შემხვდა. პატარა ბიჭს ასეირნებდა. მითხრა, ჩემი შვილიაო.

ვიცოდი, რომ ცოლიანი იყო, თუმცა დეტალებით არა-სოდეს დავინტერესებულვარ. ალმოჩნდა, რომ ჩემზე ერთი წლით პატარას უკვე ხუთი წლის შვილი ჰყავდა. კლუბში ხმირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ისეთ დიდ სამეგობროში, როგორიც კლუბშია ხოლმე, არაფერი განსაკუთრებული. უბრალოდ, ხან კლუბის ცენტრში მოცეკვავების ყურებისას გაშტერდებოდა, ხან ჩვენი მონონების ობიექტების ამბებისა თუ სასიყვარულო თავგადასავლების მოსმენისას. თვალები ისეთი სევდით ევსებოდა, თითქოს, მთელი მსოფლიოს პრობლემა მის კისერზე იყო. როცა ვეკითხებოდით, რა სჭირდა, გვპასუხობდა, რომ არაფერი. ამ “არაფერს” კი ჭიქა ტეკილას სულმოუთქმელად აყოლებდა და უაზროდ გვილიმოდა.

თინეიჯერობაში დაქორწინების გადაწყვეტილების მიღება 17 წლის ასაკში პროფესიის არჩევას ჰგავს. მაშინ, როდესც ყველაფერი მომხიბვლელად გვეჩვენება, თუმცა მალევე ვხვდებით, რომ შეგვემალა, რომ უურ-

ნალისტობა, ექიმობა თუ იურისპუდენცია ჩვენი საქმე არ იყო და ამიტომ, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, პროფესიისაგან რადიკალურად განსხვავებულ სფეროებში ვაგრძელებთ მუშაობას. ადრეულ ასაკ-ში ქორწინება, ალბათ, გოგოებისთვის უფრო რთულია. ბავშვი მათ განათლებას რამდენადმე აფერხებს, პრიორიტეტებსა და ცხოვრების მიზნებს უცვლით. ეს მაშინ, როდესაც ქორწინება მათი ქმრებისათვის იმავე ბარიერებს არ ქმნის. მაშინ, როდესაც ცოლების მთავარი ამოსავალი წერტილი ბავშვია, ქმრები სწავლობენ, სამსახურში წინაურდებიან, თვალსაწიერს იფართოვებენ, მათ შორის საპირისპირო სქესთანაც, რადგან ქმრებს ალარ მოსწონთ მუდმივად დალლილი, სახეჩამომტირალი და მოწყენილი ცოლები. ცოლები, რომელთა ერთადერთი საზრუნავი პამპერსები და სადილია, ცოლები, რომლებიც მუშაობის, სოციალ-იზაციის, მეგობრებთან კონტაქტის მიუხედავად, მანც 17-18 წლის ასაკში რჩებიან და ახალ ლირებულებებზე წარმოუდგენელი ხდება მათთან ლაპარაკი, ცოლები, რომლებიც მათ ალარ მოსწონთ და ხვდებიან, რომ მუცელში პირველი პეპლების გამოჩენისთანავე მიღებული სერიოზული გადაწყვეტილება შეცდომა იყო. საბოლოოდ კი ვიღებთ რამდენიმე წელიწადში დანგრეულ ოჯახებს ან ცოლებს, რომლებიც გამუდმებით ხუჭავენ თვალს ქმრების ღალატზე და ქმრებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ასე ნორმალურია.

ჩვენს საზოგადოებაში ქალიც იჩაგრება და კაციც. შეყვარებული გოგო, განსაკუთრებით, პატარა დასახლებებშია ცოდო, იქ, სადაც ყველამ ყველაზე ყველაფერი იცის. ამიტომ, მეზობლებისა და ნათესავების გამოა იძულებული, ცოლად გაჰყვეს პირველ შეყვარებულს, იმიტომ, რომ მათ სალაპარაკო არ მისცეს. მერე თვალებში სევდა უდგებათ.

ბიჭიც ცოდოა. ბიჭი, რომელსაც გვარის გამგრძელებლად მიიჩნევენ და გაიგებენ თუ არა, რომ შეყვარებული ჰყავს, მთელი ოჯახი აიძულებს ცოლის მოყვანას - აქაოდა, რას ელოდები, დროა, ოჯახს მოეკიდოო. ჩვენ მოგხებმარებითო. არაფერს მოგაკლებთო. ბიჭებსაც მოჰყავთ. მოჰყავთ და მერე თვალებში სევდა უდგებათ.

საზოგადოება სასტიკია. ის ივიწყებს წყვილს და მის პირად ცხოვრებას იმ წუთიდანვე, რაც დაკანონდება. ივიწყებს და ახალ საქალოს, საჭორაო მასალას ექებს. მერე კი მხოლოდ ერთეულები ხდებიან, რომ ხანდახან არაფერია იმაზე გულისმომკვლელი, ვიდრე ადრეული ქორწინებისა და უდროოდ დაკარგული თავისუფლების გამო, ადამიანების სევდაჩამდგარი თვალები.

# FAILURE IS IMPOSSIBLE

ავტორი: ერთი საჩთანია, სოციოლოგი

იყო არჩეული და გქონდეს არჩევის უფლება - ყველაზე ზუსტად ასახავს ქალთა ბრძოლის მიზანს პოლიტიკური უფლებებისთვის. დღევანდელი გადმოსახედიდან, ქალებისთვის ხმის მიცემის უფლების მოპოვება მეოცე საუკუნის ისტორიის კუთვნილებაა, თუმცა ამ მოვლენის შუქზე გამოჩნდა, რომ თავისუფლებისა და თანასწორობისთვის მხოლოდ პოლიტიკური უფლებები საკმარისი არ არის. ქალთა ემანსიპაციისთვის ბრძოლაში ეკონომიკური საკითხის წინ წამოწევა ააშეარავებს იმ მოცემულობას, რომელშიც ქალებისა და მამაკაცების თანასწორობა სრულიად ახალ მნიშვნელობას იძენს.

დავიწყოთ თავიდან.

საჯარო სივრცეში მონაწილეობა ორივე სქესისთვის ოდითგანვე დაკავშირებული იყო სხვადასხვა ცენტრან, მათ შორის, ქონებრივ, საგანმანათლებლო თუ სოციალურ სტატუსებთან. ეს ბარიერები მამაკაცებისთვის უფრო ადრე გადაილახა, ქალებმა კი მოგვიანებით, მე-20 საუკუნეში შეძლეს ამ უფლების მოპოვება. მაშინ, როცა ქალთა პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, ინდუსტრიული და სამრეწველო რევოლუციების აღმასვლამ საჯარო ურთიერთობების ახალი ეთიკა წარმოშვა და კიდევ

უფრო დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა ქალები. თითქოს, პოლიტიკური უფლებების მოპოვებას თავისთავად უნდა მოეტანა სხვა სფეროებში ქალთა თანასწორობა და მათი პრაქტიკული განხორციელების საშუალებები, თუმცა ეს ასე არ მოხდა. ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსივობის ზრდამ შრომა და ანაზღაურება ადამიანის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შეფასებისას მნიშვნელოვანი ინდიკატორი გახადა. შესაბამისად, მე-20 საუკუნეში პოლიტიკურ უფლებებში გამოხატული ქალთა ემანსიპაცია 21-ე საუკუნეში ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და თანასწორობის საკითხით იცვლება.

ეკონომიკურ ურთიერთობათა ყველაზე გავრცელებული ფორმა - შრომა მკაცრად უკავშირდება განათლებას. ამ აზრით, მნიშვნელოვანია მოსახლეობაში განათლების მიმღებთა გენდერული განაწილების მაჩვენებლები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, 2011-2013 წლებში სასკოლო ასაკის მოსწავლეებში ბიჭების რაოდენობა მცირდედ, თუმცა მაინც აღემატება გოგონებისას, ხოლო მამაკაცების რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებში მცირდედ, თუმცა მაინც ჩამორჩება ქალების რაოდენობას.

**მოსარავლეთა და სტუდენტთა ჩაობენობას სასწავლო წლის  
დასაწყისისთვის ერთეული**

მოსარავლეთა რიცხვის ნომერი	2011 / 2012		2012 / 2013	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
სახელმწიფო ზოგადსამართლებრივი დაწესებულებებში	246 598	270 140	242 126	264 633
პრეძენტ ზოგადსამართლებრივი დაწესებულებებში	22 822	28 866	23 465	29 291
სახელმწიფო და საზოგადოებრივ კოლეჯებში	199	299	2 282	3 526
სტუდენტთა რიცხვის ნომერი	2011 / 2012		2012 / 2013	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
სახელმწიფო უაღლეს სამართლებრივი დაწესებულებებში	40 345	30 577	45 225	34 784
პრეძენტ საბანრანათლებრივი დაწესებულებებში	12 734	11 454	16 031	13 493

იმ ფონზე, რომ უმაღლესი განათლების მიმღებთა შორის ქალები ჭარბობენ, საინტერესო იქნებოდა დასაქმებული ქალების სამუშაო პოზიციები და მათი ანაზღაურების ანალიზი, თუმცა, ეს მონაცემები არ მოიპოვება ამ ეტაპზე, რაც საფუძვლიანი დასკვნის გაკეთების საშუალებას ართულებს.

ხელმისაწვდომი მონაცემები არსებობს მაღალ პოზიციებზე დასაქმებულ საჯარო სტრუქტურებში. კერძოდ, მინისტრებისა და მათ მოადგილეთა გენ-დერულ განანილებაში ნათლად ჩანს, რომ მინისტრების მხოლოდ 2%, ხოლო მათი მოადგილეების მხოლოდ 25% არის ქალი.

მინისტრი	19	მოადგილი	59
	2	ქალი	15
	17	კაცი	44

არსებობს მოსაზრება, რომ დასაქმებული ქალებისა და მამაკაცებისთვის ანაზღაურების სხვადასხვა წესი მუშაობს. საქართველოს მაგალითზე რთულია მხოლოდ სახელფასო მონაცემით მსჯელობა, რადგან ფორმალურ სექტორში დასაქმებულთა რიცხვი არც თუ ისე კარგად ასახავს მთლიან სურათს, ხოლო ქვეყნის მთლიან მეურნეობაში აღურიცხავი ანუ ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი უცნობია. ეს უხილავი მონაცემები ბუნდოვან წარმოდგენას გვიქმნის იმ ხელფასებისა თუ

გამომუშავებული გასამრჯელოს შესახებ, რომელთა დაფიქსირება არ ხდება. ამიტომ, წებისმიერი მსჯელობა გენდერული სახელფასო სხვაობის შესახებ ძირითადად ფორმალურ დასაქმების სფეროს მიემართება და არა მთლიანად დასაქმებულ ადამიანებს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 52.3 % ქალია, ხოლო 46.2 % - მამაკაცი.

ორივე სემსი		
3 729.5	1. 951.0	1.778.5
ეპონომიკურად ავთიური (ორივე სემსი)	ქალი	კაცი
1991.1	919.7	1071.5
სულ დასაქმებული	ქალი	კაცი
1745.2	823.6	921.6

საქართველოს სტატისტიკის ოფიციალური მონაცემების თანახმად, ეკონომიკური საქმიანობის 13 ძირითად საწარმოს ტიპში მამაკაცის საშუალო ხელფასი 1,5-2-ჯერ მეტია ქალის საშუალო ხელფასზე. პიზნეს სექტორში არსებული საჯარო მონაცემების თანახმად, ქალის საშუალო თვიური ხელფასი 588.9 ლარია, კაცის კი - 940.0, ხოლო ერთადერთი სფერო, სადაც ქალის ხელფასი მნიშვნელოვნად მაღალია მამაკაცის საშუალო

ხელფასზე, 2014 წლის მონაცემით, არის „თევზჭერა, მეთევზეობა“, სადაც დასაქმებულ ქალთა რაოდენობა 1 ადამიანია.

ამ ზოგად მიდგომაში განირჩევა ქალებისა და მამაკაცების დემოგრაფიული მახასიათებელი (ეკონომიკური აქტივობა, განათლების დონე), რომელთა მიხედვით ქალებსა და მამაკაცებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ შეიმჩნევა. ეს მონაცემები ცხადად ახსნის



ქალების ხელფასების სიმცირეს მამაკაცებთან შედარებით, თუმცა ამ სხვაობის ასახსნელად, მხიშვნელოვანია მასზე გავლენის მომზდენი კულტურული ნორმების გათვალისწინება. კერძოდ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კვლევის („საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“; 2013) თანახმად, გამოკითხულთა უმეტესობა პროფესიის არჩევის, პირადი ცხოვრების დაგეგმვისა და მომავლის განსაზღვრის თვალსაზრისით, მამაკაცს უფრო თავისუფალ ადამიანად მიიჩნევს, ხოლო 57% -ის აზრით მამაკაცს უფრო დიდი შანსი აქვს დასაქმდეს მაღალ თანამდებობაზე, ვიდრე ქალს. გარდა ამისა, მამაკაცების 49% მამაკაცი უფროსის პირობებში უფრო თავს კომფორტულად გრძნობენ. იმ ფონზე, რომ რაოდენობრივი მონაცემები არასაკმარისია, განსაკუთრებით დასაქმების პოზიციების შესახებ, საფუძვლიანი დასკვნების გაკეთება შეუძლებელია. ვარაუდით კი შესაძლებელია ითქვას, რომ მამაკაცის დაწინაურებული მდგომარეობა საზოგადოებაში მას დაბალანსზღაურებად სამუშაოზე დათანხმების საშუალებას არ აძლევს. გარდა ამისა, მოლოდინი

მამაკაცის მიმართ ხელმძღვანელ პოზიციაზე უფრო არის, ვიდრე დაბალ საფეხურებზე. ამას თან ერთვის კულტურული ფაქტორებით განპირობებული გენდერული სტერეოტიპები, რომელშიც მამაკაცი მუდმივად პრივილეგირებულად წარმოჩნდება, სქესის და მასთან დაკავშირებული გამოცდილების გამო, ხოლო ქალი, ამავე წარმოდგენის მიხედვით, სწორედ მამაკაცის ანტიპოდს წარმოადგენს.

თითქმის ერთი საუკუნე გავიდა, რაც ქალებმა საქართველოში ხმის მიცემის უფლება მოიპოვეს, მათი საჯარო სივრცეში მონაწილეობის საკითხი კი ისევ მწვავედ დგას. პოლიტიკური უფლებები დიდწილად განაპირობებს ეკონომიკურ და კულტურულ ემანსიპაციას, თუმცა შესაძლოა ასე მარტივად სულაც არ იყოს. გარდა ამისა, კულტურული წარმოდგენების წინააღმდეგ სამართლებრივი ხასიათის სანქციები გადაულახავ წინააღმდეგობას ქმნის. ერთი შეხედვით, თითქოს, არასად არის პრობლემა. განურჩევლად სქესისა, ჩვენ ყველას თანაბარი უფლებები გვაქვს, თუმცა რიგ ადგილებში „უცხოს“ შესვლა მაინც სასტიკად აკრძალულია.

## 3063 მოითხოვს, ის ყოველთვის ვერ მოიგებს

ავტორი: გოგა აფშინური

ფოთო: მზია საბანეციძე - ჩახორ თავისუფლება



ახალგაზრდა ქალი ოთახში შემოდის. წელში ოდნავ მოხრილია, სკამზე ჯდება, მარცხენა ხელის მტევანს მარჯვენა ხელის მუჭში იქცევს და თითებს გამუდმებით სრესს. თვალები გაფართობული აქვს. კითხვას ელოდება, მაგრამ უკვე იცის, რაზეც უნდა ვისუბროთ. კითხვა ბანალურია: - აქ როგორ მოხვდით მეთქი? - ვეკითხები. ნიკაპი შესამჩნევად უკანკალებს, როგორც ბავშვებს, ტირილის დაწყების წინ, ამ ტირილს შეეავებას რომ ცდილობენ ხოლმე. 28 წლის ნინო (სახელი შეცვლილია) საკუთარ ამბავს ათასჯერ მოყოლილივით მიამბობს. ალბათ, აქ ბევრს უამბო უკვე. სწრაფად ლაპარაკობს, თითქოს უნდა, რომ ამბის თხრობა, რაც შეიძლება მალე დასასულოს.

„მშობლებთან ვცხოვრობდი, ჩემი ქმარიც იქ ცხოვრობდა. 7 წელი ერთად ვიყავით. ამ წნის განმავლობაში, სულ ძალადობდა, სულ მცემდა. ხანდახან ყოველდღიური იყო ფიზიკური შეურაცხყოფა. ჩემი მშობლებიც ვერაფერს აკეთებდნენ, მხოლოდ იმას ამბობდნენ, სირცვილია, რას

იტყვის ხალხით. ბევრჯერ მინდოდა 112-ზე დარეკვა, მაგრამ სულ თავს ვიკავებდი. ხომ იცით ქართველები, რას აღარ იქორავებდნენ. ბოლოს უკვე აღარ შემძლო. ნათესავებიც ჩავრიე, გაუსაძლისი იყო ცხოვრება. დაელაპარაკნენ, ქმარს და მომაშორეს თავიდან. კი წავიდა სახლიდან, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ, გამთენისას შემოიპარა სახლში. სანოლში ვიყავი, დანა ჰქონდა, ყელში დამჭრა, თვალებს მთხრიდა, მაგრამ გადავრჩი. ჭრილობა არტერიას მილიმეტრებით ასცდა. დაიჭირეს და გირაოთი გამოუშვეს, შემდეგ იგივე განმეორდა - ისევ შემოვარდა. ამჯერად მაკრატელი ეჭირა, მაშინ უკვე ჩემი მშობლები მომეხმარნენ. ისინი უფრო დაზარალდნენ, რადგან დედაჩემს და მამაჩემს ცულით გაუჩეხა თავი. მეორედაც გადავრჩი. ფსიქოლოგიური ტრავმა მაქვს, სახლში ვედარ ვჩერდები. ახლა ციხეშია, მაგრამ შეიძლება შეწყალება შეეხოს. სახლს რომ ვხედავ, მგონია, რომ ჩემი ქმარი ისევ უნდა შემოვარდეს. იქ არც მეძინა ხოლმე. მერე გავიგე, რომ არსებობს თავშესაფარი. რაც აქ მოვედი, დავწყნარდი.

აქ რომ მოვედი, ფეხზეც ვერ დავდიოდი, ისე მძიმედ ვიყავი. აქ მიმკურნალეს, წამლებს მაძლევენ, ბევრი გამოკვლევა ჩამოტარება.“

- წინო გორის თავშესაფარში შვილთან ერთად, 3 თვის წინ მივიდა. ამ დროის განმავლობაში, ეზოშიც კი არ გასულა. ეზოში ბავშვები თამაშობენ. თუმცა, ალბათ, არც თამაშობენ. სხედან ხის ძირში, ერთ ბიჭს კენჭები უჭირავს, მეორე მას უყურებს. არ გვანან ეს ბავშვები სხვა ბავშვებს, მუდამ რომ დარბინან, ხან დამალობანას და ხანაც დაჭრობან-ას რომ თამაშობენ; სულ რომ დახტოან და ხმაურობენ. ეს ბავშვები არავის აწუხებენ, თავისთვის, მოწყენილები სხედან. თავშესაფარში შესულ უცხო კაცს ქვეშიდან დაკვირვებით მიყურებენ. მათ თვალებში სევდა ჩანს, დიდი სევდა. არადა, ბურთებიც აქვთ და სათამაშოებიც, მაგრამ ხატვა უნდებათ ხოლმე ხანდახან. ქალებთან ერთად, ისინიც მსხვერპლები არიან. მათ თვალწინ ხდება ჩხუბი, ფიზიკური შეურაცხყოფა და ამ დროს, ისინი ყველაზე სუსტები და დაუცველები არიან. თავშესაფრის ხელმძღვანელი, ლამარა შაყულაშვილი, აქ ნამყოფი ბავშვების ნახატებს მაჩვენებს. მეუბნება, რომ თავიდან ეს ბავშვები ყველაფერს მუქ ფერებში ხატვენ, კედელზე კი ის ნახატები გამოიუფენიათ, რომლებიც პატარებმა აქედან გასვლის წინ დახატეს. ერთ ნახატზე ორ ფეხზე შემდგარი სპილოა. ვერ ვხვდები, ეს სპილო აგრძესულია და სხვის გასაჭყლებად ემზადება თუ არა? სპილო ფერადია. რახან ფერადია, ალბათ, თამაშობს და მასში აგრძესია ალარ არის. - ვფიქრობ ამ ბავშვებზე და სხვა ნახატებსაც ვათვალიერებ. თავშესაფარში მყოფ ბავშვებთან ფსიქოლოგები ცალკე მუშაობენ. გორის თავშესაფარი მოზრდილ შენობაშია განთავსებული. სასადილო, სამყოფი ოთახები, სამრეცხაო და აბაზანები, სატრეინინგო სივრცე, ექმის ითახი, საწყობი, სადაც ყველაფერია, რომ აქ მყოფი ქალებისთვის და მათი შვილებისთვის ნორმალური პირობები შეიქმნას.

„ჩევნი მიზანია, 6 თვის განმავლობაში, მსხვერპლს დავეხმაროთ ფსიქოლოგიურად, ჯანდაცის მიმართულებით, იურიდიულად, რათა მოიწესრიგოს ქონებრივი დავა. გვინდა ავტმალოთ თვითრწმენა და თვითშეფასება. მან, პირველ რიგში, უნდა ირჩმუნოს, რომ ბევრი შეუძლია. თავიდან მსხვერპლის ჩევულებრივი მდგომარეობა ისაა, რომ მოწყვეტილა გარე სამყაროს. შეიძლება მთელი დღე ეძინოს. ხშირად ფსიქიური აშლილობით შემოდიან და დროთა განმავლობაში წყნარდებიან. ფსიქოლოგთან მუშაობენ და მომავლის რწმენა უჩნდებათ. სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით ვუტარებთ ტრეინინგებს სხვადასხვა პროფესიის დაუფლებისთვის. წარმატებული შემთხვევები არაერთი გვაქვს, როცა აქედან გასული ქალები ინყებენ მუშაობას და იღებენ ანაზღაურებას. ისინი ცხოვრებას თავიდან იწყებენ.“ - ამბობს გორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების/თავშესაფრის უფროსი ლამარა შაყულაშვილი და კედელზე ჩამოკიდებულ მძივებს და სხვა ნაკეთობებს მარენებს, რომლებიც აქ მყოფმა ქალებმა გააქეთეს.

ფსიქოლოგების აზრით, ძალადობის მხოლოდ სოციალურ ჭრილში განხილვა სტერეოტიპია. ფსიქოლოგი ელზა პანკ-რატოვა ამბობს, რომ ძალადობას ბევრი ფაქტორი განაპირობებს. თვითონ მსხვერპლი კი ხშირად ვერ აცნობიერებს საკუთარ მდგომარეობას.

„მოძალადე თავის ქმედებას გამართლებულად თვლის; მსხვერპლი კი, ხშირ შემთხვევაში, საკუთარ მდგომარეობას ვერ აცნობიერებს. ძალადობის მსხვერპლს თავის თავთანაც

უჭირს იმის აღიარება, რომ მოძალადის ბადეში აღმოჩნდა. შემდეგ უკვე, როცა გაიაზრებს, პრობლემის დაძლევა შედარებით ადგილია. მნიშვნელოვანია მოტივაციის გაზრდა, რომ გამოიხსნას თავი და დაძლიოს ეს ძალადობა. არის სტერეოტიპებიც, რომლებიც ძალადობას ახალისებს, ბანალური სტერეოტიპია - მსუბუქი ყოფაქცევის ქალია და იარლიყ-მიკერებული უკვე დისკრიმინირებულია. აქედან გამომდინარე, ქალი უკვე შეიძლება გახდეს მსხვერპლი.“

გორის თავშესაფარს ერთდღოულად 21 ბენეფიციარის მიღება შეუძლია. სტატისტიკა წლიდან წლამდე იზრდება. მაგალითად, 2102 წელს იქ 10 ქალი და 15 ბავშვი შევიდა, შარმან - 18 ქალი და 28 ბავშვი, წელს კი, 6 თვის მონაცემებით - 18 ქალი და 37 ბავშვია უკვე დაფიქსირებული. ლამარა შაყულაშვილის თქმით, ეს არ ნიშნავს, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევები იზრდება. მისი აზრით, საქართველოში ოჯახში ძალადობაზე ხმამალია სულ უფრო მეტი ქალი საუბრობს, ამ პრობლემასთან გამელავებასა და გამოსავლის მოძებნას ცდილობს. ამავდროულად, საზოგადოების ინფორმირებულიბის ამაღლების და მიდგომების ცვლილებების შედეგად, იზრდება იმ ადამიანების რაოდენობაც, ვინც თავშესაფრით სარგებლობს.

საქართველოში ამჟამად ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის 4 თავშესაფარი მოქმედებს: თბილისში, გორში (მიდაქართლის რეგიონი, აღმოსავლეთ საქართველო), ქუთაისში (იმერეთის რეგიონი, დასავლეთ საქართველო) და სიღნაურში (კახეთის რეგიონი, აღმოსავლეთ საქართველო), რომელიც აპრილის დასაწყისში გაიხსნა. ოთხივე მათგანი გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ, ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისთვის განეული დახმარების შედეგად, შვედეთის მთავრობისგან მიღებული დაფინანსებით, გაეროს ერთობლივი პროექტის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის“ ფარგლებში დაარსდა. დღეს ისინი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. თავშესაფრებისა და მათი სერვისების ადმინისტრირებას სახელმწიფო ფონდი ახორციელებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო მომსახურება ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზია, რომელიც მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის, ასევე ზოგადად მოსახლეობისთვის, მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს. ცხელი ხაზი 116 006 გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით მოქმედებს (შვედეთის მთავრობისგან მიღებული დაფინანსებით). იგი წარმოადგენს საკონსულტაციო სერვისს შესაბამისი სამსახურებისა და დახმარების, ოჯახში ძალადობის საკონსულტაციო შემთხვევების დარღვევისათვის და კრიზისული შემთხვევების დროს ინტერვენციის შესახებ. იურისტები, ტელეფონის მეშვეობით, აბონენტებს ინფორმაციას ანვდიან მსხვერპლთა/დაზარალებულთათვის არსებულ თავშესაფრებასა და სხვადასხვა მოშსახურებაზე; ასევე ოჯახში ძალადობისგან დაცვის სამართლებრივ მექანიზმებზე: დამცავ და შემაკავებელ ორდერებზე, სამართალის პროცედურებზე, ჯანდაციების სამსახურებსა და სერვისებზე, ფსიქოლოგიურ მომსახურებაზე, იმ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ.

სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის „ქალთა



მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში“ (2014) მიხედვით, ყველაზე ხშირად ძალადობის ფაქტის შეტყობინების მიზნით ცხელ ხაზზე თავად მსხვერპლები/დაზარალებულები რეკავენ, შემდეგ მეზობლები ან ნათესავები, ხოლო კაცები და ბავშვები ამ მომსახურებას ძალიან იშვიათად მიმართავენ. თითოეული ზარის ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის.

„ყოფილმა ქმარმა ბათუმში 27 წლის ქალი სასტიკად სცემა და დაჭრა. დაზარალებულს თავის არეში ბასრი საგნით მრავლობითი დაზიანებები აქვს მიყენებული. ქალს მოტებილობა აღნიშნება ხელის არეში, მთელ სხეულზე კი ცემის შედეგად მრავლობითი დაუუსილობები აქვს.

შემთხვევა 10 ივნისს, სალამოს, ბათუმთან ახლოს, ჩაისუბანში მოხდა, როცა ნინა ტ. მის ყოფილ ქმარს არკადი ტ.-ს გარდაცვლილი მეზობლის ოჯახში სამძიმარზე გაჰყვა. - ეს ინფორმაცია ქართული მედიით ცოტა ხნის წინ გავრცელდა. ეს სტატუსი კი სოცალურ ქსელ ფეისბუქში პარლამენტის დეპუტატმა თამარ კორძაიმ გამოიქვეყნა: „მეგობრებო, დღეს პარლამენტში ჩავარდა ჩემი და თამარ ხიდაშელის ინიცირებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელის გამკაცრებას გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალის მკვლელობის მაკვალიფიცირებელ გარემოებად მიჩნევას. მიუხედავად იმისა, რომ ვითანამშრომლეთ და გავიზიარეთ შენიშვნები, აღმოჩნდა, რომ ქალებთან დაკავშირებული თემები კატეგორიულად მიუღებელია. გასაგებია, როცა კვოტირებას ითხოვენ, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის დაგმობას ეხებოდა. ეს ხომ

იყო ბრძოლა სიცოცხლისთვის! ქალების სადღეგრძელოები არ დაგავიწყდეთ!!“

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში იცვლება მიდგომა ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, სახელმწიფოც თითქოს უფრო მეტს ზრუნავს ამ პრობლემის მოსაგარებლად, ფემიციდისა და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები მაინც ხშირად ფიქსირდება ხოლმე. ამის მიზეზი ისევ არანფორმირებულობა, სტერეოტიპებით სავსე საზოგადოება, ფსიქოლოგიური პრობლემები, ეკონომიურად დაუცველი ქალი და კიდევ სხვა მრავალი ფაქტორია.

საუბრის ბოლოს, გორის თავშესაფარში მყოფი ნინო მშვიდება. მას გადაწყვეტილი აქვს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას.

„მალე განქორწინებას გავაკეთებ, ყელში დამჭრა და მკვლელობის მცდელობის ნაცვლად, ოჯახური კონფლიქტის რაღაცა მსუბუქი მუხლი შეუფარდეს. მალე გამოვა და იქნებ გააცნობიეროს, რომ მე დამოუკიდებელი ცხოვრება მექნება, იქნებ ვეღარ გაბედოს მოკარება. დიდხანს ვითმენდი, მაგრამ ასეთ დროს არ უნდა მოითმინო არასოდეს. ნათევამი რომ არის, ვინც მოითმენს, ის მოიგებსო, აქ არ გამოდგება. ჩემს ქმართან ვერაფერს მოვიგებდი. ამიტომ, ვინც მოითმენს, ის ყოველთვის ვერ მოიგებს“ - ამბობს ნინო და ახალი ცხოვრების დასაწყებად ემზადება. ჯერ ყველაფერი ბუნდოვნად ეჩვენება, მაგრამ პირველი ნაბიჯის გადადგმა უკვე დაწყო. თავშესაფრიდან გამოსვლისას, ისევ ბავშვების ნახატებს მივაჩირდი. ეს ბავშვები და მათი დედები აქ გადარჩნენ. ბევრი ფერია მათ ნახატებში. იქნებ აქ მყოფი ადამიანების ცხოვრებაც მალე ისევ გაფერადდეს.



პაპილონი

ავეჯი და დეკორი

სამუშაო ფასდაცლებები



თბილისი, ბაქრაძის ქ. N6 (+995 32) 262 03 03 ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N109  
[www.papillon.ge](http://www.papillon.ge)

## ზოგი ჩამ მამარემის შესახებ

ავტორი: გიორგი კეკელიძე



პირველად ვიძინებ ოზურგეთის სახლში მარტო; იმ სახლში, სადაც გავიზარდე და ჩვიდმეტ წლამდე კუთხოვორობდი. ისეთი სიჩუმეა, სიზმრებში ქარიშხალს ველოდები.

დედაჩემი სხვაგან არის. მამაჩემი - აღარ; ან შეიძლება მამაჩემიც სხვაგან არის. არ ვიცი. მასსოვს, ადრე ხელებს ცამდე ვაწვდენდი. ადრე - მამაჩემის კისერზე შემომჯდარი, ბალიდან სახლისკენ მომავალი. მას მერე, გავიზარდე და ხელები დამიმოკლდა და ცაც ამაღლდა.

დილით უნდა ავდგე და მამაჩემი გავიმეორო. როცა დედაჩემი შინ არ იყო - ან სოფლად, ან რამე საქმეზე, მამა იოლად აკეთებდა ე.წ. ქალის საქმეს. მგონი, ყველაფერი გამოსდიოდა.

ქათმებისთვის სიმინდის დაყრის სცენა იცით? უნდა იცოდეთ. საჭიროა ექვსზეადგე, ქათმებს უკვე ღვიძავთ და წრიალებენ. საქათმეს გააღებ და თუ დგომის ტექნიკა არ გაქვთ შესწავლილი, სახეში შემოგაფრინდებიან. ისიც ოსტატობის საკითხია, სად უნდა დაყარო, ერთად რომ შეგროვდნენ და დათვალო. „ხომ არ მეიპარა რომელმე ღამე რაცხა მოსასპობელმა“. ეს „რაცხა მოსასპობელი“ ან სინდიოფალა, ან ვირთხა,

ან მეზობლის ძალლი ან შეიძლება თვითონ რომელიმე მეზობელი.

ძროხის მოწველის სცენა იცით? უნდა იცოდეთ. ლამით ძროხა რომ დაბრუნდება და თუ არ დაბრუნდა, მოძებნით და დააბრუნებთ, ბებიაჩემი ან მამაჩემი იღებს რძეის ვედრას და მივყვები საძროხისკენ, რომელსაც სხვაგვარად ეწოდება ახორი. იქ ოსტატობა არ კმარა, საქმე დიდოსტატობას ითხოვს. ჯერ ერთი, საძროხეში ბნელა და თუ ანათებს, მხოლოდ რძე. მეორეც ცურებს ისე უნდა მოუნაცვლო, ძროხა არ შეწუხდეს და წიხლით არ გამოხატოს ეგ წუხილი. ამიტომაც, მე გარეთ ვდგავარ. მხოლოდ ჩხრიალის ხმა მესმის. და თუ მთვარეა, მთვარეს ვუყურებ და ასე მგონია, მთვარე იწველება. დიდი, სავსე მთვარე. გაუგებარი სიხარულით სავსე მთვარე.

მამაჩემი ორივე საკითხში გაწაფული გახლდათ. და მეტიც: არც ჭურჭლის რეცხვას თაკილობდა, არც რძისგან კარაქის შედედებას - აი, ქილას რომ აგორავებ და რაღაც კარაქისმაგვარი გამოდის. იატაკიც დაუგვია და მოუნმენდია. და არავისზე ნაკლები კაცი არ იყო მამაჩემი. საერთოდაც, მგონია, რომ ამ თვისებების გამო, ბევრზე მეტი იყო.

ჩუბ ვაშავებით ღირაძონაზე  
უკამინეს ჩუჩხელს!



### ბადაგის ფილიალები

#### თბილისი:

- მიმინოშვილის ქ. №2
- ად.მიცვევიჩის ქ. №18
- მარიკანის ქ. №16
- აღმაშენებლის ხეივანი 16 კმ.  
(დიღმის კარფური)
- თბილისის საერთაშორისო  
აეროპორტი
- სიონის ქუჩა (ვონკა)
- ა. თვალჭრელიძის ქ.№2 (ისთ  
ფოინთის კარფური)

#### მცხეთა:

- არსუკიძის ქ. №36

#### ბათუმი:

- ბარათაშვილის ქ. №16
- ბათუმის ბულვარი
- გორგილაძის ქ. №88  
("გუდვილი")

#### ქუთაისი:

- ბუხაიძის ქ. №23

FB: Badagi

e-mail: info@badagi.ge

## შუშის ბუნებრივ ეაშტას სფიჩება 1 მილიონი წელი

ავტორი: ეთო საჩთანია



შუშის წარმოშობას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ფინიკიელების უძველეს ერს უკავშირებენ. ეს ხალხი განთქმული იყო ვაჭრობა-ხელოსნობით და ნაკლებად მისდევდნენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. მოგვიანებით, შუშის კულტურულ ევროპაში და განსაკუთრებით, ვენეციაში გავრცელდა. რადგან შუშის დამზადება იშვიათ ხელობას მოითხოვდა და არც თუ ისე იაფი იყო, დაბალი ფენის მოსახლეობას ნაკლებად მიუწვდებოდა მასზე ხელი. შუშის ხელისნებს ვენეციაში პრივილეგიები ქრინდათ - მათ ქალიშვილებს დიდგვაროვნებზე გათხოვების წებას რთავდნენ. შუშის წარმოშობისა და განვითარების ისტორია დასაწყისიდანვე კავშირშია იმ სოციალურ ნორმებთან, რომლებიც წინასწარ განსაზღვრავს ადამიანის ძედს - ანიჭებს ან ართმევს მას გარკვეულ საშუალებასა და უფლებას, იყოს საკუთარ არჩევანში თავისუფალი. შუშის ჭერი (Glass Ceiling) ენოდება იმ უხილავი ბარი-ერების, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების, ნორმების, რწმენა-წარმოდგენებისა და შეხედულებების ერთობლიობას, რომელიც ხელს უშლის ქალებს, ესწრაფოდნენ ან იკავებდნენ მაღალ საფეხურებს.

სამსახურსა და კარიერაში. ტერმინი მე-20 საუკუნის 80-იან წლებში გაჩნდა და მას შემდეგ, აქტიურად გამოიყენება დასაქმების ადგილზე, ზედა რგოლში, ქალების სომეტირის ასახსნელად. თუმცა, შუშის ჭერის თეორია მხოლოდ მაღალ საფეხურზე როდი ვრცელდება, მას შრომითი ურთიერთობების ნებისმიერ ეტაპზე ვხვდებით. ეს სოციალური ფაქტი საზოგადოებაში არსებული რწმენა-წარმოდგენებით საზრდოობს ქალისა და კაცის როლის, ფუნქციისა და თვისებების შესახებ. მაგალითად, გენდერული სტერეოტიპების შესახებ 2013 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად („საზოგადოებრივი დამოკიდებულებები და გენდერული თანასწორობა პოლიტიკასა და ბიზნესში“), გამოკითხულების 88%-ს მიაჩნია, რომ ოჯახის მარჩენალი კაცი უნდა იყოს. ეს მოლლიდინ გავლენას ახდენს როგორც დასაქმების საწყის, ასევე კარიერული წინსვლის შემდეგ საფეხურებზე და უკან დახვეს ქალის კანდიდატურას. ნებისმიერი კულტურა შედგება დასწავლილი წესებისა და პრაქტიკების ერთობლიობისგან, რომელიც თაობებს გადაეცემა, როგორც კონკრეტული ჯგუ-

ფისთვის მახასიათებელი ლირებულება. ტრადიციულ საზოგადოებებში მკვეთრად განარჩევენ ძველ და ახალ ნორმებს. შესაძლოა, ისინი სხვადასხვა მნიშვნელობას ატარებენ, თუმცა, საპოლოოდ ერთნაირად ფუნქციონირებენ სიმბოლოებისა და ენობრივი კონსტრუქციების მეშვეობით. ძველი წესები საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებას ემსახურება, ხოლო ახალი - ცვლილებებს ისახავს მიზნად.

საქართველო ხშირად იწოდება ტრადიციულ საზოგადოებად, რომელშიც კულტურის ან ეროვნული იდენტობის ნაწილს წარმოადგენს ზოგიერთი შეხედულება. მაგალითად, ყველაზე გავრცელებული სტერეოტიპი ქალის შესახებ მისივე ბუნებას მიეწერება, რომლის მიხედვითაც, ქალი არის სუსტი, ნაზი და მგრძნობიარე არსება. ეს თვისებები, თავისთავად, ნეგატიური ვერ იქნება, თუმცა შორს არის იმ წარმოდგენიდან, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილების მიმღებ პირს ახასიათებენ, როგორც პრინციპებს, მკაცრს და ძლიერს. საზოგადოების მოღლოდინი, რომ უფროსები, მენეჯერები ან პოლიტიკოსები ასეთები უნდა იყენენ, ხოლო ქალი ასეთი არ არის და ვერ იქნება, წინსაწარ უზღუდავს ქალს, ისარგებლოს შრომით იერარქიაში არსებული წესებით. ამგვარი აღქმა უფრო ნორმას მიეწერება.

მეორე გავრცელებული მოსაზრება ეხება საჯარო სივრცის ბუნებას - „პოლიტიკა ბინძურია“. ამის საპირისპიროდ, ქალი სისუფთავესა და საოჯახო საქმეებით, აღზრდით დაკავებულ ადამიანს განასახიერებს; ხოლო ის, ვინც პოლიტიკაში მიიღებს მონაწილეობას, თავისთავად კარგავს იმ თვისებებს, რაც გავრცელებული და ალიარებული შეხედულებისამებრ ქალს ახასიათებს.

მესამე სტერეოტიპი, თანამედროვეობის არგუმენტით, ქალისა და კაცის თანასწორობაა, როცა წარსულს მიაწერენ გენდერული უთანასწორობის საკითხს. ეს შეხედულება გულისხმობს ახალი თაობის გენდერულ გამოცდილებებს, რომელსაც ტვირთად არ აწევს მკაცრი აღზრდისა და ტრადიციული კულტურის გავლენები. თუმცა, შრომითი ურთიერთობები და განსაკუთრებით კარიერული წინსვლის ეტაპები საპირისპიროზე მიუთითებს. დასაქმების საწყის ეტაპზე, ქალებსა და კაცებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობების მოღლოდინი, თუმცა, საინტერესოა, ახლად დასაქმებულ და 15-წლიანი სამუშაო გამოცდილების მქონე ქალებისა და კაცების შეხედულებების შედარება. თუმცა, სანამ ეს მონაცემი იარსებებს, შესაძლოა სიმბოლოებით გაიზომოს ძალაუფლება - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შინამეურნეობების ინტეგრორებული გამოკითხვის (2015) თანახმად, დასაქმებული ქალების საშუალო თვიური შემოსავალი 618 ლარს შეადგენს, დასაქმებული კაცების კი - 980 ლარს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური კრიზისის დროს, ქალის როლი აქტიურდება საზოგადოებაში (როცა ოჯახს უჭირს, ქალი გამოდის შრომით ასპარეზზე), ხოლო სტაბილურ ეკონომიკურ გარემოში კაცი წარმართავს საქმიან ურთიერთობებს (88%-ს მიაჩნია, რომ კაცი უნდა იყოს ოჯახის მარჩენალი). ეს მოცემულობა, გარდამავალ, დროებით მდგომარეობად მიიჩნევა. ასეთ პირობებში, როულია უწყვეტ კარიერულ განვითარებაზე ფიქრი და შრომითი იერარქიის არათუ მაღალ, არამედ ნებისმერ საფეხურზე მოხვედრა. მიზეზი მარტივია: თავს ზემოთ შუშის ჭერია, თუმცა მისი მთავარი ღირსშესანიშნავი თვისება მსხვრევადობაა.

რის თანაბრად გაანაწილოს ყურადღება. ტრადიციული პერსპექტივიდან, ასეთ შემთხვევაში, ქალი არჩევანს აკეთებს ოჯახზე, ვინაიდან მის ნამდვილ მოვალეობად „ოჯახისთვის თავდადება“ ითვლება, ხოლო მისი ბუნებრივი მახასიათებელი ზრუნვაა.

2013 წელს ჩატარებული კვლევა გენდერული სტერეოტიპების შესახებ („საზოგადოებრივი დამოკიდებულებები და გენდერული თანასწორობა პოლიტიკასა და ბიზნესში“) გამოკვეთს ქალისთვის დამახასიათებელ სანიმუშო თვისებებს: „მორჩილი“, „კარგი დიასახლისი“, „მომთმენი“. ამავე კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 54% მიიჩნევს, რომ პოლიტიკოსი ქალი სუსტია და უჭირს პასუხიმგებლობების აღება. ეს შეხედულებები გვხვდება როგორც კაცებში, ასევე ქალებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული სტერეოტიპი გვევლინება, როგორც რეალობა.

მიუხედავად ამისა, მანიც არიან ქალები, რომლებიც აღწევენ კარიერის მაღალ საფეხურებს, რაც ხშირად გამოიყენება არგუმენტად შუშის ჭერის არარსებობის ან მისი მითოლოგიზაციისთვის. თუმცა, ის ქალები, რომლებიც კარიერულ იერარქიაში მაღალ პოზიციებს იკავებენ, ხშირად ორმაგ შრომას გასწევენ ამისთვის ან იწოდებიან „კაცივით ჭკვიან“ ქალებად. ეს კიდევ უფრო ამყარებს გენდერულ სტერეოტიპებს და უფრო მეტიც, ქმნის სოციალიზაციის მოდელებს და იწვევს როლების შეთვისებას უმცროსი თაობისთვის. სწორედ ასე ყალბდება კულტურა.

საქართველოს უახლეს ისტორიაში, გენდერულმა როლებმა სწრაფი და რადიკალური ცვლილება განიცადა. რელიგიური გავლენებისა და ეკონომიკური ცვლილებების ფონზე, პარადოქსული მოღლოდინი გაჩინდა ქალისა და კაცის როლის მიმართ. რელიგიური შეხედულებები ქალს წარმოაჩენს, როგორც ოჯახისა და კაცის მორჩილ, მზრუნველ ადმიანად, ხოლო ეკონომიკა შრომით ურთიერთობები ჩართვისკენ მოუწოდებს ქალს. ყველაზე გავრცელებული მოღლოდინი კი ქალის მიმართ როივე კომპონენტის გაერთიანებაა - „თავგადადებული“ მეუღლე, დედა, დიასახლისი და წარმატებული მენეჯერი ქალი. რელიგიური და ეკონომიკური ლირებულებების მატარებელი საზოგადოების მხრიდან კი, სწორედ ამგვარ შემთხვევები ხდება ქალის შრომის ღირსშესანიშნავი აღიარება.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური კრიზისის დროს, ქალის როლი აქტიურდება საზოგადოებაში (როცა ოჯახს უჭირს, ქალი გამოდის შრომით ასპარეზზე), ხოლო სტაბილურ ეკონომიკურ გარემოში კაცი წარმართავს საქმიან ურთიერთობებს (88%-ს მიაჩნია, რომ კაცი უნდა იყოს ოჯახის მარჩენალი). ეს მოცემულობა, გარდამავალ, დროებით მდგომარეობად მიიჩნევა. ასეთ პირობებში, როულია უწყვეტ კარიერულ განვითარებაზე ფიქრი და შრომითი იერარქიის არათუ მაღალ, არამედ ნებისმერ საფეხურზე მოხვედრა. მიზეზი მარტივია: თავს ზემოთ შუშის ჭერია, თუმცა მისი მთავარი ღირსშესანიშნავი თვისება მსხვრევადობაა.



## sexism in creative communications

ავტორი: გეგულა გეგულა

გასულ წელს, ერთ-ერთ ქართულ სატელევიზიო გადაცემაში, მაყურებელმა იხილა სცენა, სადაც წამყვანს შეეძლა ტექსტი. ეთერში გაისმა გაპრაზებული პროდიუსერის სმა, რომელმაც ქალთა მიმართ დისკრიმინაციული და გენდერული ნიშნით მჩაგვრელი პათოსით (მაგ.: „ყველა ქალი ერთნაირად შეტრები როგორ ხართ...“) გამოლანდა წამყვანი. თანანამყვანი ქალები მსსვერპლი ქალის ნუგეშსა და ვითარების განმუხტვას უშედებოდ ცდილობდნენ. შეურაცხყოფილმა წამყვანმა უხმოდ დატოვა სტუდია. მას შემდეგ, რაც პირდაპირი ეთერის სკანდალურმა კადრებმა მთელი ქვეყანა მოიარა, ყველაფერს ფარდა ახხადა და აღმოჩნდა, რომ სცენა გათამაშებული იყო. გადაცემის აუდიტორია, ძირითადად, დიასახლისი ქალებისგან შედგებოდა, ძალადობის მსსვერპლი ქალების უმეტსობაც სწორედ აღნიშნულ სეგმენტზე ემოდის. აალაპარაკეს, დააფიქრეს, მოუწოდეს. GOOD

მალევე, ასევე ერთ-ერთ ქართულ სატელევიზიო გადაცემაში, მაყურებელმა იხილა სცენა, სადაც გადაცემას სტუმრად ტყევნიკის მაღაზიის წარმომადგენლობა. სტუმრებს ფასდაკლებებისა და აქციების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ჰქონდათ გამიზნული. ამისთვის, წამყვანებს უთოვები მოამარჯვებინეს და ქმრებზე ზრუნვის სპორტში ერთმანეთთან შეაჯიბრეს. ერთადერთი წამყვანი კაცი მოვლენებს გვერდიდან აკვირდებოდა. BAD

ტელეკომპანია - იგივე, გადაცემა - იგივე, პროდიუსერი - იგივე, წამყვანები - იგივე... UGLY

თინეიჯერობისას, ათასი სისულელის და, ალბათ, სამწუხაროდ, ბოროტების კბილებით დაცაში დამიხარჯავს დრო და ენერგია. ძალადობას ეფუძნებოდა სოციუმი, სადაც ვასაკრებიბით და ძალადობით გაგვქონდა თავი, ძალადობით ვინარჩუნებდით „სახეს“ და ძალადობით ვარსებობდით. ყველაზე მეტად კი, ქალებზე (გოგოებზე) ვძალადობდით.

არადა, თითქოს ასეთი მანიკაის არაფერი მეტყობოდა, საერთოდ არაფერი... ერთი თავაზიანი, კეთილი და ხუთოსანი ბავშვი ვიყავი. მერე ხუთიანები „მომბეზრდა“, მაგრამ თავაზიანი დავრჩი. მერე თავაზიანობაც მომბეზრდა და კეთილიც ზოგ შემთხვევაში ვიყავი. საბოლოოდ, ზუსტად ისეთი გაეხდი, მოძალადე სოციუმის მოლოდინს როგორიც დააკმაყოფილებდა. დავცინოდი, რომ ჩემთვის არ დაეცინათ. ვურტყმდი, რომ ჩემთვის არ დაერტყათ. ვიბლვირებოდი, რომ აქეთ არ ებლივირათ. ვიღლაც კრეტინების შეთიხნილ წესებში ვსპეციალიზდებოდი.

„სადაო ვითარებებში“, სიმართლის ძიება/დადგენა/მტკიცებისას, ვინმეს მოწმედ გოგო (როგორც გენდერულ იერარქიაში ქვედა საფეხურზე მდგომი ჯაგუფის წარმომადგენლი) ან მისი სიტყვა (ჩვენება, რომელსაც გარდა იმისა, რომ ძალა არ აქვს, ზიანის მომტანია წარმდგენის რეპუტაციისთვის) რომ მოყვანა, კმაყიფილების ღიმილს ვერ დაგმალავდი და ქიშპში გამარჯვების ნააღრე ვზეომს დავიწყებდი.

გოგოს თუ „პატრონი“ ჰყავდა „ლირსეული“ ძმის, ბიძაშვილის, დეიდაშვილის, მამიდაშვილის, ჯანდაბაშვილის სახით - გაცხადებული სექსუალური ურთიერთობების შანსი არ ჰქონდა; ხოლო კონსპირაციული ურთიერთობები ბი, უმეტესად, სისხლით, ბიჭის სისხლით მთავრდებოდა. ეს იმიტომ, რომ სექსუალური აქტი ბიჭის დომინაციისა და გოგოს შეურაცხყოფის ფორმად იყო მიჩნეული, ხოლო

„შინაური“ გოგოს სათანადოდ „პატრონობა“ - ბიჭის ლირსების ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად. თითქოს ქალები ჩაგვრისთვის იყვნენ შექმნილი და თუკაცი რომელიმე მათგანს გულშემატეივრობდა, უსაფრთხოების განსაუთრებული ზომებისთვის უნდა მიემართა. ხმამაღლა გავითქვამდით სახელს, როგორც ჩვენი შინაური გოგოების ტრაკებთან არსებულ ვაჟთა და კაცთა მორალურ-ინსტრუმენტული ძალა....

და რატომ? ვინმე რომ ჩაგვძიებოდა, რა პასუხს გავცემდით?

ცნობილი ექსპერიმენტია:

გალიაში ხუთი მამუნი შესვეს და დაუდგეს კიბე, რომლის თავზეც ბანანი ეკიდა. რამდენჯერაც მამუნი ბანანის ასალებად დაიძრებოდა, ყველა მათგანს ცივი წყლის ძლიერი ჭავლით წუნავდნენ. მამუნებმა დაიმახსოვრეს და ბანანისკენ აღარ იხედებოდნენ. თუ რომელიმეს ფეხი/ხელი წაუცდებოდა, თავად უსწორდებოდნენ. შემდეგ შეცვალეს ერთი მაიმუნი. ახლი მკვიდრი უმაღლ ბანანისკენ დაიძრა, ძველი სკოლის ოთხეული ფიზიკურად გაუსწორდა. ერთი და იგივე ფაქტი რომ რამდენჯერმე განმეორდა, ახალ მამამუნმაც დაივიწყა ბანანის არსებობა. შემდეგ კიდევ ერთი ძველი მაიმუნი შეცვალეს ახლით. ბანანზე გალამქერების მცდელობა ისევ ინციდენტით აღიცვეთა. და თავმდამსხმელ მაიმუნებში ის ერთიც ერთა, რომელსაც არასდროს ენახ წყლის ჭავლი. ეტაპობრივად გამოცვალეს დანარჩენი მაიმუნებიც. და როცა ბოლო, მეზეოთ ძველი მაიმუნი შეცვალეს ახლით, აღმოჩნდა, რომ გალიაში არავინ იცოდა, რა შავდებოდა კიბეზე ასვლით, არცერთს ენახა წყლის ჭავლი. მაგრამ, როგორც კი ახალი მაიმუნი კიბისკენ დაძრა, დაიჭირეს და სცემეს. ამ მაიმუნებს რომ საუბარი შეძლებოდათ და მათთვის გვეკითხა, რატომ იქცეოდნენ ასე, აღბათ გვიპასუხებდნენ: „რავი ეგრეა“, „ნესია ეგეთი“, „ტრადიციაა“, „ყველა ეგრე იქცევა“, „ყოველოთვის ეგრე იყო“... Just like us...

მაშ, როგორ მოხდა, რომ ტიპი, რომელსაც ბავშვობაში ასე შეი ჰქონდა, ახლა კრეატიულ კომუნიკაციებში სექსიზმის პრობლემაზე მორალს კითხულობს?

კომუნიკაციით მოხდა.

და მორალს არ ვკითხულობ, ხმამაღლა გმისჯელობა :)

(წავისუტიფრებ შესაძლოა, მაგრამ ისევ უტიფრობა მირჩევინა...)

ნამდვილად კომუნიკაციით მოხდა, კომუნიკაციით: სხვა ადამიანებთან, სხვანაირ ადამიანებთან, სხვადასხვანაირ ადამიანებთან, საკუთარ თავთან, რეჟისორებთან, მწერლებთან, მკითხველებთან, გამვლელებთან, მსოფლიოსთან, ბრენდებთან...

ჩვენს დროში, კომუნიკაციის სტიქიურ აბლაბუდაში გახვეულ ადამიანზე გავლენის მოხდენა, ნებისმიერ წამს და ნებისმიერი მხრიდან არის შესაძლებელი. ყოველ წამს ვდგავართ ნაცნობი თემის ახალი რაკურსით და ნაცნობი რაკურსიდან უცნობი თემის დანახვის შანსის წინაშე. და ჩვენს დროში, ერთ-ერთ ყველაზე დიდი დოზით კომუნიკაციას სწორედ ბიზნესი ეწევა.



არსებობენ ადამიანები, რომელთაც მრავალფეროვნები-სა და ინდივიდისთვის უფლებისადმი მიმღებლობა არ გააჩნიათ. თავადაც სხივის რეცეპტებით ცხოვრობენ და სხვისგანაც იმავეს მოითხოვენ, თანაც (ძირითადად) აგრესიულად.

მათი იარაღი სტერეოტიპებია, მაგალითად: თითქოს კაცს მეტი შეუძლია, ვიდრე ქალს და ამიტომ, ნორმალურია გენდერის მიხედვით გადანაწილებული როლები და შესა-ძლებლობები.

ცხადია, ორი-სამი კითხვის დასმა საქმარისი იქნება, რომ პასუხად: „რავი ეგრეა“, „ნესია ეგეთა“, „ტრადიციაა“, „ყველა ეგრე იქცევა“, „ყოველოვის ეგრე იყო“ - მივიღოთ.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც სოციუმის ეგოისტური მოლოდინის მსხვერპლი არიან და არსებობენ ადამიანები, რომელთაც ეს ყოველივე ადარდებს. აი, მათ ხელში კი იარაღად ყოფნა ბრენდებს შეუძლიათ.

ბრენდი არ არის მხოლოდ სიტყვა, რომლითაც ვაჭრობის საგანი იდენტიფიცირდება. ბრენდი არის პროდუქტი, მისი შემქმნელები, მომხმარებლები, ღირებულებათა სისტემა, სოციალური ერთეული, რაღაცებისა და ვიღაცების ერთობა.

სტერეოტიპებისა და სტიგმების ერთობაში ფესვებგადგ-მული მონსტრი ყველა ფანჯრიდან და ექრანიდან გვაწვე-ბა, წინააღმდეგობაც შესაბამისი წნონითი კატეგორიის ფალაგნით უნდა გავუნიოთ, ყველგანმწვდომელ კომუნიკაციების სამყაროს მუდამ ჯანსაღი ენერგია უნდა მიეწო-დოს ხოლმე, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, არავინ იცის - სად რა პენალტი დაინიშნება. თორემ მონსტრის მასშტაბურობის უკეთ გასააზრებლად, რამდენიმე აბზაც-ით უკან დავბრუნდეთ და გავარჩიოთ, რას ვგულისხმობ, როცა არაჯანსაღი კონდიციის გამოსახატად, ვამბობ, რომ შიგ მაქვს. რა? სად? რა შუაშია? შიგ რაიმეს ქონა

სხეულში შემოსულ სხვის სხეულს გულისხმობს და ვიღაც მორიგი ანტიკვარის მოფიქრებულია, რომ სექსუალურ კა-ვშირებში დამამცირებელი როლები გამოკვეთოს. მაშინაც კი, როცა ვერ ვამჩნევთ, თან დაგვყვება უამრავი ფრაზა და ქცევა, რომელიც ჩვევად გამჯდარა და კაცომოძულე შინაარსების განმამტკიცებელია, მეტი არაფერი. „კაცთ-მოძულე“? კაცია დამიანის სინონიმია?! ლექსიკონიც კი ოკუპირებული გვაქვს...

მონსტრი წარმოუდგენლად მასშტაბურია... ამიტომ, უკეთესი გარემოსთვის, დიდი ძალების კონცენტრაცია გვჭირდება...

ბოროტებას, რომელიც თავისი მოლოდინით ადამი-ანებს აყინროვებს, შემდეგი სტრუქტურა აქვს: ზოგიერთ ადამიანს ჰქონია, რომ ცხოვრების ერთი სწორი წესი არსებობს და ყველა და ყველაფერი განსხვავებულისგან იქმნება მტრის ხატი. მაგალითად, თუ სექსის დროს კაცის სასქესო ორგანო ქალის სასქესო ორგანოში არ შედის, იმ მხრიდან, იმ მიზეზით, იმ ტიპის ნაცნობობისას, იმ ჩაცმუ-ლობით, იმ გახდილობით, იმ მორალით, იმ წესებით, იმ რაციონით, იმ კანის ფერით, იმ რწმენით და იმ ხასიათ-ით, როგორი მოლოდინიც არსებობს, ესე იგი აქაურობა რიგზე ვერ არის და ძალისმიერი „გაკეთილშობილება“ ყველას მოვალეობა. ამადამიანებს ჰქონიათ, რომ ყველა „ლირსეული“ თანამიერადაქე ყველა საკითხზე მათსავით ფიქრობს, რადგან ყველაფერში არსებობს ობიექტური ჭეშმარიტება, რომლის მიღმაც მხოლოდ უკუღმართი ადამიანები არიან. როცა ერთმანეთს შორის განსხვავე-ბულ შესედულებებს აღმოაჩენენ (და ცხადია, ბევრი აქვთ, ისინი ხომ საკუთარი ნაჭუჭები არიან), იბნევიან. პრეცედენტი ექმნებათ, რომ არც ასეთი აშკარა ყოფილა „სწორი“-ს რაობა.

მათი ბოროტი ერთობის მამოძრავებლად კი ის თემები რჩება, რაზეც თანხმდებიან. და სწორედ ამ თემებს სჭირდება ეჭვევეშ დაყენება, გაბათილება, ეს საფუძველი

უნდა გამოეცალოს აბსურდულ და მოძალადე ინსტიტუტებს.

თუ არ გავულრმავებთ წარმოდგენას, რომ თითქოს მათ უკეთ იციან, სხვები როგორ უნდა მოიქცნენ, თუ არ მოვუნერთ ხელს, რომ დიახ, ეს ნორმაა და მას დაცვა სჭირდება, თუ არ მივცემთ პირდაპირ ან ირიბ ლეგიტი-მაციას, ერთი ერთეულით მაინც გაიზრდება ადამიანების თავისუფლებისა და სამართლიანი გარემოს მიღების შანსი ან ერთი ერთეულით მაინც არ შემცირდება...

მეორე მხრივ, ადამიანები იცნობენ ხოლმე ლიტერა-ტურულ პერსონაჟებს, ფილმის პერსონაჟებს, ისტორიულ გმირებს, ისტორიულ სირებს, რეალურ პერსონებს, რომელიც ქალის, როგორც სასტარტო პირობებივე სუსტი არსების მითს, წესით, უნდა ანგრევდეს... მაგრამ არ ჰყოფნით, წიგნში და სადლეგრძელოში ესმით, საკუ-თარ ცხოვრებაში - არა. მეტად ხელშესახები მაგალითები სჭირდებათ, უფრო ნაცნობ გარემოში. შესაძლოა, ჯაჭვში ბოლო რგოლის აცმა და ფიქრებში ბოლო ხიდის გადებას ჭირდება, მაგრამ ვერაფრით ხვდება იქ.

წარმოიდგინეთ, სოფელში, შუადღეზე, კაცი ისვენებს და სადილობს. ცოლი მაგიდას დატრიალებს. ტელევიზორში გადაცემა გადის, სადაც ქალი წამყვანები უთოს ქევა-ში ეჯიბრებიან ერთმანეთს. კაცი თანანამყვნი იქვეა, სხვა როლით. კაცი ეკრანზეც ნაცნობ სცენას უყურებს. სახლში ცოლი დიასახლისობს, ტელევიზორში - ყველა ქალი, ვინც კი ეკრანზეა. და ფიქრდება, ალბათ, ნეტავ მისი შვილი ხომ კარგი დიასახლისი გამოვა, ხომ შექლებს რიგიანად გათხოვდეს... ხიდთან მიყვანილი კაცი უკან გავაბრუნეთ, ნაცვლად იმისა, ეკრანზე ნანახი გადაცე-მით წარმატებული ქალების მაგალითზე დაფიქრებულიყო (და წამყვანები სწორედაც რო მასეთები არიან), ეფიქრა, ამდენი ქალი თუ რაღაცას საქმიანობს, შესაძლებელია ბავშვმაც რაღაცა ისწავლოს, ძლიერი და დამოუკიდებე-ლი გამოვიდესო. პრინციპში, ოჯახსაც უკეთესს შექმნის ასე; რასაც უნდა, იმას იზამს... არა! ამ წვალებ-წვალებით ხიდთან მიყვანილ კაცს ტელევიზორიდან მოაწენენ და მოაწენენ უკან... ცხადია, უტრიორებას ვახდენ და დაზუსტებით ვერ ვიტყვიოთ, რომ აღნიშნულმა გადაცემამ ასეთი გადამწყვეტი როლი ითამაშა. მაგრამ, აქვს კი ამას რაიმე მნიშვნელობა? ფაქტია, რომ ჩევნის საზოგადოებას ძალიან კონკრეტული და ძალიან ძლიერი პრობლემე-ბი აქვს და ზოგი მათ გადაჩევას ცდილობს, ზოგი კი პრობლემებს ზურგის ქარიგით უდგება. ან იქით ხარ, ან - აქეთ...

როდესაც ბრენდები კრეატიულ საკომუნიკაციო გზებს მიმართავენ, ისინი ხელს შემოქმედებას აწერენ. დაახ, ამ დროს ყველაფერი რიცხვებით გამართლებული და რელ-ევანტური უნდა იყოს და სწორედ ღირებულების შექმნას ემსახურება ყოველივე ეს. განა პროდუქტის ფასი ის არ არის, რასაც ჩვენ მის მწარმოებლებს ჩვენი ნებით უზ-დით? და განა ყოველთვის, როდესაც „რებდულს“ ვყიდ-ულობთ უფრო იაფი ალტერნატივის ნაცვლად, სრატოს-ფეროდან ადამიანის ნახტომს არ ვაფინანსებთ? ყველას, ვისაც ფეხიდის სამოსი აცვია, შეუძლა ტრევის შადრევნის რესტავრაციაში შეტანილი წვლილით იამაყოს. ფეხბურთის და გაი რიჩის მოყვარულებმა შეუდარებე-ლი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „გადავიდეთ“. ცოტ-ცო-ტა ფული დავდეთ და ნაიკის სამოსის გარდა, TAKE IT TO THE NEXT LEVEL-იც მივიღეთ. ფული შევკრიბეთ

და ნაიკის გემოვნებას მივანდეთ, ნაიკიც გამუდმებით იკვლევს ჩევნის გემოვნებას და ცდილობს, არ დავკარგოთ ერთმანეთი. ყველას ასე აწყობს. ასე ყველა ხერობს.

არც ისე დიდი ხნის წინ, ვიღაც-ვიღაცები მიხვდნენ, რომ ერთობას, რასაც ბრენდები და კრეატივი ენოდება, გაც-ილებით დიდი, ხელშესახებ და მნიშვნელოვნი სიეკითის მოტანა შეუძლია. მასობრივ და მასიურ კომუნიკაციას აუდიტორიაც მასობრივი და მასიური ჰყავს. ბრენდებს, ამოდენა ბერკეტით, დიდ და მძიმე პრობლემებთან შე-ჭიდება შეუძლიათ. შესაბამისად, ჩვენც, მათი მომხმარე-ბლებიც, აუდიტორიაც, მეგობრებიც, თანამშრომლებიც და გულშემატკიცვრებიც, ერთი დიდი ლაშქარი ვართ. სხვა-დასხვა ტიპის რესურსს გავიღებთ, რათა აკუმულირდეს და დიდ პრობლემებს შეასცდეს, დიდი პროგრესი მოიტა-ნოს, დიდი ნაბიჯები გადავდგათ, დიდი უსამართლობები დავამარცხოთ, დიდი ადამიანობა გავიტანოთ... რა თქმა უნდა, არ არის მარტივად, მაგრამ ხომ არის! ვის რა საკითხი გვაფიქრებს, ვის რა მოგვნონს... მსოფლიო ჭრელია და ვებერთელა, but it's also dark and full of terror. და რაც უფრო დიდი, ძლიერი და ზღაპარივით აშკარაა სიეკითის მხარე, მით მეტია კონსოლიდაცია, მაგრამ კონ-სოლიდაცია მოპირდაპირე პოლუსზეც შესაბამისია. ასეთ დროს, პრობლემასთან შექიდება მის ყველა შრეზეა საჭ-ირო, უკიდურესი ბოროტებიდან, უნებლივ ფოლოუერის ჩათვლით, უკიდურესი სიეკითის ნებიერი ფოლოუინგით, გინდა დამერთის ხათრით, გინდა - ბიძაშვილის, გინდა ხო-შის გამო და გინდაც - დაბოლილობის... დიდ პრობლემას საცეცები ყველგან აქვს შეყოფილი და დიდიც ამიტომაა... მასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური მექანიზმი კი ყოველდღე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვედრილი საცეცის მოცელვა და თან იმ ორგანიზმების მხარდაჭერაა, ვისგა-ნაც მეტოქეზე საპარი დარტყმის იმედი გაქვს. ისეთი ორგანიზმების, რომლებიც ჩემს ღირებულებებს იზიარე-ბენ და თავიანთი საქმიანობით გზას მიწმენდენ. მინდა, ვაჭრობისას არჩევანი სულ ასეთ ტიპებს შორის მქონდეს, მაგრამ მოცემულ რეალობაში, ხელის არ შემლაც საქმეა...

კომუნიკაციების ბიზნესში ხშირად გაიგებთ, რომ სტე-რეოტიპს კი არ ვამყარებთ, სტატისტიკას ვეყრდნობთ. როდესაც ამა თუ იმ პროდუქტზე გენდერული ნიშნით განსაზღვრულ ჯგუფს ვესაუბრებით. ასეც არის, მაგრამ განა სტატისტიკა საიდან მოდის. იქნებ ათასწლეულების მანძილზე, ათასობით კულტურულ-სოციალურ მარნუს რომ არ დამასინჯებინა პროგრესის კალაპოტი, სულ სხვა სტატისტიკა გვერნოდა. სარეცხი საშუალებების გაყიდვა თუ გსურს, დიასახ-ლისებს უნდა მიაწვდინო ხმა, კი ბატონო... მაგრამ წელს პრეველად, Ariel-მა კითხვა დასვა: why is laundry only a mother's job? რეცხვა მხოლოდ დედების საქმე რატომ არის? განა რა ასეთი შესაშური სიზუსტის ბოლოგიუ-რი ფორმულა დევს ქალის სხეულსა და გონებაში, რომ რეცხვას აუცილებლად კაცზე უკეთ გაართმევ სთავს? {მაიმუნები...}

განა ადამიანზე გავლენის მქონე სხვა უთვალავი ფაქტო-რი ასეთი სუსტია, რომ ყველაფერი ერთად აღებული, ერთი პენისის ფაქტორს ვერ წონის? ლეგიტიმური იქნე-ბოდა სქესის მიხედვით ადამიანებზე დასკვნების გამოტა-ნა, რომ არა წინასარი დასკვნები და მოლოდინი? თუ მიგაჩნია, რომ კაცები ფეხბურთს უკეთ კაცების გამო თამაშონ, ნახე youtube-ზე: Best Women's Freestyle and Best Women's Football skills და მოიყვანე მათი ტოლს-წორი თანამედროვე ქართველი ფეხბურთელი. დროს ნუ



## Why is laundry only a mother's job?

დავხარჯვათ, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ: მგონი არ იქნება სწორი დავასკვნათ, რომ ქართველი კაცი ვერას-დროს ითამაშებ სფეხბურთს კარგად?.. დიახ, საძიებო სიტყვად გამოიყენე: "Best" და დიახ, ისინი ცოტა, თითქმის გამონაკლისი არიან, მაგრამ განა ეს ფაქტი მეტად არ უნდა ამძაფრებდეს სურვილს, რომ ჯანსაღ გარემოში გვენახა, ვინ როგორი და რამდენი გამოვიდოდა?

ქალზე (კაცზე), როგორც ბიოლოგიურ მოვლენაზე მსჯელობა, იმ კალაპოტს თხრის, სადაც შემდეგ ქალებზე არ სებული ყველა სამარცხვინო სტერილური ჩამოძინება. ერთადერთი და ნამდვილი საზომი ერთეული: ერთი ცალი ადამიანია.

დიირსეული ბრენდების პროდუქციის მოხმარება ქველ-მოქმედებასა და უკეთესი ხვალნდელი დღის შენებაში მონანილების მიღების ტოლფასია. ადამიანები დავაფასებთ, თუ ბრენდები თავიანთ კომუნიკაციაში კონკურენტან უპირატესობას ფლორტში როლებს სქესის მიხედვით გადანანილებით არ გამოსახავენ, ქალს საგნად არ წარმოგვიდგენენ, გენდერზე დაყრდნობით არაფრის მტკიცებას არ დაგვიწყებენ... Like a girl კამპანიას გააკეთებენ, სადაც ნათლად გამოჩინდება, რომ „გოგოური“ ქცევა ხელოვნურად და იძულებით არის განსაზღვრული... შეეცდებიან, მისი ნეგატიური მნიშვნელობა თავდაყირა დააყენონ... ცოტა მეტად შორსაც გაიხედებიან... ფსონს იმაზე არ გააკეთებენ, რომ სიექთი გამორკვებამდე ჯერ შორის, ითამაშებენ როლს მის დაჩქარებაში... იმ დღე-საც მოგვიყვანენ, როცა Like a girl სიტყვათა შეთანხმება საერთოდ არაფრის აღმნიშვნელი იქნება...

და გიგანტურმა ბრენდმა თავისი უთოს მარტივად გასაყიდად, ხელი თუ შეგვიძლა - არ უნდა ვიყიდოთ. ადრე თუ გვიან, მოგება-ზარალის ანგარიშშიც გამოჩინდება, სწორი გზა რომელი იყოს.

გადაცემაში გათამაშებული ქალზე ძალადობის სცენა

Ariel-ის მიერ დასმული კითხვა რეცხვის წესებთან დაკავშირებით Always-ის მიერ გაანალიზებული და პოზიტიური მნიშვნელობით შევსებული შეფასება „გოგოსავით“

არცერთი მათგანი და სხვა რეალური სარგებლის მომტანი კამპანია კრეატივის მსოფლიოს ყველაზე პრესტიულ კონკურსს - კანის ლომებს უყურადღებოდ არ დაუტოვებია.

Because making world a better place is the best making of...

სადაც მონსტრის საცეცში გაბმულ ადამიანს ვნახავთ, უნდა დაგიხსნათ და ვაჯახოთ ჟანგბადი, დავამყაროთ მასთან კომუნიკაცია, ჩავეძიოთ, დავაფიქროთ, დავანახოთ, იმ კითხვამდე მივიყვანოთ, სადაც მაიმუნობას გვიპასუხებს, ამოვაყვინოთოთ, მივულოცოთ, დავაკვირდეთ, დავტებეთ.

არ არსებობს იმაზე დიდი კაიფი, ვიდრე საკუთარი ნებით გარემოს გაკეთილშობილება.

მე ყოველთვის მოვძებნი ბრენდს, ვისი მესვეურების გამდიდრებაც გამიხარდება, მეცოდინება, რომ რესურსებს ნათელ მხარეს ჩაუსხამს საწვავად, რაიმე ისეთ სშექმნის, რაც მომენტობა, ან სხვას მოენონება, საზიანო არ იქნება, ხელოვნებას გაამდიდრებს ან ეტლით მოსარგებლეთა პარკნგის პრობლემას ნამოწევს... მეცოდინება, რომ თუ იმ სოფელში მოხვდება, სასწავლო გრანტებზე ჩამოაგდებს საუბარს... რომ ძალადობას დაგმობს, მომდევნო ნაბიჯებით შემთხვევითობების სასიკეთოდ გადაწყვეტის ალბათობებს ნამატებს რგოლებს და ხიდებს, რაოდენ მცირეც არ უნდა იყოს ის...

No To Sexism  
Especially in creativity  
And most of all: in communications

# THE SUMMER OF SOUND.



THIS IS YOUR SUMMER.



**LUCA POLARE**

FINEST ICE CREAM & MORE

# თერპიული სტჩესი

ავტორი: თამარ კიანაველიძე

ფოტო: გაერთს ქალთა ორგანიზაცია - მაკა მობილური

ყოველი თეატრალური სეზონის დახურვის შემდეგ ხელახლა იძალება კითხვა: რამდენად ეხმაურება თანამედროვე ქართული თეატრი საკითხებს, რომელთა გარშემო დისკუსიაც აუცილებელია საზოგადოების განვითარებისთვის.

აუდიტორიასთან დიალოგი მოითხოვს, თვალი გავუსწოროთ ქართული თეატრის ახლანდელს და არა მუდმივად ნარსულს. საერთო სურათი (და არა კონკრეტული მაგალითები) მონმობს, რომ თეატრალური ნარმოდგენების უმრავლესობა არ გამოირჩევა ხარისხით და იმითაც უინტერესოა, რას და როგორ გვიყვება; არასწორად ნარმართული სარეპერტუარო პოლიტიკის ფონზე თუ რეპერტუარში ჩაკარგული ისეთი სპექტაკლების პარალელურად, სულ რამდენჯერმე რომ გათამაშდა ან ერთი სეზონიც ვერ გაძლო, კიდევ უფრო თვალშისაცემია „ლისისტრატე“, რომელიც 2015 წლის დეკემბერში რეჟისორმა დავით საყვარელიძემ რუსთაველის თეატრში დადგა. პიესის ავტორი ლაშა ბულაძე მისთვის დამახასიათებელი იუმორით ყვება ამბავს, რომელიც არისტოფანეს (ძველი ბერძენი კომედიოგრაფი) „ლისისტრატეში“ განვითარებული მოვლენებიდან 25 წლის შემდეგ ხდება. ლისისტრატე, რომელიც, ერთ დროს, ათენელებსა და სპარტელებს შორის გაჩაღებულ დაუსრულებელ ომს ქალთა ამბობით - მამაკაცისგან იზოლირებითა და მასთან კავშირის განყვეტით - დაუპირისპირდა, უკვე წელშია მოხრილი. ის მართავს ქალაქ-სახელმწიფოს, სადაც ადგვეთოლი ძალადობა ქალზე. და მაინც არსებობენ ოპოზიციური ძალები - „დედები“, რომლებიც „ქალების“ წევრების საპირისპიროდ, მათი ჩაგრის ნინააღმდეგ გატარებულ რეფორმებს არ მიესალმებიან. დაპირისპირებულთა ისტორიები და შეხედულებები (პირადი ცხოვრების, სექსუალური უმცირესობების, თანასწორუფლები-ანობის, ოჯახის, მომავალი თაობის, განათლების, აღზრდის, რელიგიის და ა.შ. შესახებ) სხვადასხვა მხარეს მებრძოლი და უმამოდ დარჩენილი ორი ოჯახის შვილების (ქალი და ვაჟი) სასიყვარულო ურთიერთობის ფონზე ვლინდება.

გადაჯვარედინებული ფეხების თეატრალური აქტი უნდა ნახოთ. „ლისისტრატე“ რჩეულია არაერთი ნიშნით. პიესა დადგმაში თითქმის უცვლელი სახით არის გამოყენებული (თუ არ ჩავთვლით პირველი თავის უგულებელყოფას და ფინალური სცენის გაძლიერებას, მაგალითად პათოსით „შეუცვლელი არავინაა!“). ამით გამოკვეთილია კიდეც რეჟისორის დამოკიდებულება - დაანინაუროს სიტყვა, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში იმდენად ბასრი და მსუყეა, რომ (თითქოს და) აღარაფერს საჭიროებს. არადა, გრძლად ჩამოყალიბებული სათქმელის მაყურებლისთვის ერთი ამოსუნთქვით და სწორად გადანანილებული აქცენ-

ტებით გაზიარება იოლი არ უნდა ყოფილიყო; მათვის დასახული ამოცანები მსახიობებმა დამაჯერებლად გადააჭრეს. დადგმის პირველად ნახვის შემდეგ, როცა ბულაძის პიესას კიდევ ერთხელ მივუბრუნდი, აღმოვაჩინე, რომ ნანახი რაიმეს დამოუკიდებლად ნარმოსახვის საშუალებას აღარ მაძლევდა. თითოეული პერსონაჟი უმაღ კონკრეტულ მსახიობს მაგონებდა ხმით, დიკუით, მიმიკით, მოძრაობით, კოსტიუმით (მხატვარი პოლინა რუდიკი), ვარცხნილობით; ამიტომ მგონია, რომ ნანა ლორთქითანიძის, ქეთი ხიტირის, მანანა გამცემლიძის, ეკა მოლოდინაშვილის, მანანა აბრამიშვილის, რუსუდან მაყაშვილისა თუ ლაშა ჯუბარაშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან ქართული თეატრის ერთგული მაყურებელი ყოველთვის გაიხსენებს პერსონაჟებს, რომლებიც მათ „ლისისტრატეში“ განასახიერებს.

დავით საყვარელიძის მხრიდან დრამატურგიული ტექსტის ერთგულება არავის გაუკვირდება. შემოქმედებითი ამოცანების ზუსტად დასმითა და გადაჭრით კი, „ლისისტრატე“, ვფიქრობ, მისი დადგმებიდან გამორჩეულია. დაუკინებარია ია სუხიტაშვილის ლი-სისტრატე. მისი პირველული სიძლიერე და ხასიათში შეპარული სირბილე იმდენად ბუნებრივია, რომ „ქალების“ წევრივით უსმენ და შესაძლოა თავიც ისეთივე მოკრძალებით დაუქნიო, როგორც ამას ნინო კასრაძის პერსონაჟი აკეთებს. ნინო კასრაძის თამაშის ყურება ერთი სიამოვნება; ჯერ კიდევ როდის დავრწმუნდით, რომ მისთვის დაუძლეული არაფერია, მით უფრო დედის დაუსრულებელი მონოლოგი (სათქმელის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი); აქ ყველაფერი თავის ადილზე, სცენოგრაფიით (მხატვარი ირაკლი ავალიანი) დაწყებული, ისევ და ისევ, დრამატურგიის არჩევანით დამთავრებული. ლაშა ბულაძის პიესა „გაეროს ქალთა ორგანიზაციის“ ინიციატივით დაინერა და მაყურებლისთვისაც მათივე მხარდაჭერით განხორციელდა. „ლისისტრატე“, როგორც საზოგადოების განვითარების შემაფერხებელ ტენდენციებსა და დამოკიდებულებებზე მიმანიშებელი დრამატურგიული ტექსტი, გამომცემლობა „არტანუჯის“ 2015 წლის „თანამედროვე ქართული დრამატურგიის“ კრებულშია შესული. „ნუთუ ეს ბავშვიც ნაწყენი და შეურაცხყოფილი უნდა დარჩეს?“, - კითხულობს ქეთი ხიტირის გმირი. შეურაცხყოფით დაწყებული ფაქტებიდან, მაგალითად 2014 წელს 34 ქალი მოკლეს, მათ შორის 17 ოჯახში ძალადობის შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ დაიხვენა კანონმდებლობა, შემუშავდა „ძალადობის პრევენციის“ ეროვნული სტრატეგია „და ამოქმედდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები, კვლავაც თვალშისაცემია, რომ სრულყოფილად არ ხდება კანონით გათვალისწინებული მექანიზმების ამოქმედება,



მაგალითად: გასაძლიერებელია სოციალურ მუშაკთა როლი ძალადობის პრევენციისთვის და მსხვერპლთა დასახმარებლად, აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება და მისი ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა, რათა გაიზარდოს მიმართვიანობა, ერთი მხრივ, სამართალდამცავი ორგანოების და, მეორე მხრივ, მსხვერპლთათვის არსებული მომსახურებების მიმართ. უფლებათა დაცვისთვის ბრძოლაში გასათვალისწინებელია თეატრის ძალაო, აცხადებენ „გაეროს ქალთა ორგანიზაციის“ წარმომადგენლები.

**ირინა ჯაფარიძე, გაეროს ქალთა ორგანიზაციის პრო-გრამის ანალიტიკოსი - 2012 წელს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში დრამატურგებიც ჩავრთეთ.** 9 პიესა ძალადობის წინააღმდეგ სწორედ ჩვენი ორგანიზაციის მხარდაჭერით დაიწერა. კრებულში შესული პიესებიდან რამდენიმე დაიდგა კიდეც, მაგალითად დათო ტურაშვილის „დოდოს მოლოდიში“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (რეჟისორი გიორგი გომურაშვილი), მესხეთის (რეჟისორი ვახტანგ ბერიძე) და რუსთავის (რეჟისორი გორჩა კაპანაძე) თეატრებში გათამაშდა. ამით გვინდოდა, ერთი მხრივ, ხელი შეგვეწყო ქართველი დრამატურგებისთვის დაინტერესებულიყვნენ მწვავე სოციალური თემებით და, მეორე მხრივ, ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული თემები პიესებშიც ასახულიყო. 9 პიესიდან ერთ-ერთი, ზურაბ

პაპიაშვილის „სიზმარი“, მოგვიანებით მარჯანიშვილის თეატრის სხვენში ნინო მალლაკელიძემ დადგა. ისიც თავიდან ბოლომდე „გაეროს ქალთა ორგანიზაციის“ დაფინანსებით. „სიზმარი“ თელავის და ზუგდიდის თეატრებშიც წარმომადგინეთ.

სიმართლე გითხრათ, არ ველოდით თუ 9 პიესიდან უმრავლესობა დაიდგმებოდა. საჭირო ინიციატივა აღმოჩნდა ქართული დრამატურგისთვის. მარჯანიშვილის თეატრთან თანამშრომლობის პროცესში აქტიურად იყო ჩართული ლაშა ბულაძე. ის ღებულობდა მონაწილეობას დრამატურგების შერჩევაში, პიესების კორექტურაში და ა.შ.

„გაეროს ქალთა ორგანიზაცია“ კომუნიკაციის საკითხს სერიოზულად ეყიდება. დღეისთვის კომუნიკაციის იმდენი საშუალება არსებობს, ვცდილობთ, თითოეულით ვისარგებლოთ და იდეა შევფუთოთ ისე, რომ

ადამიანების ცნობიერების ამაღლებაზე იმოქმედოს.

ბრძოლურებსა და ბუკლეტებს წაკლებად ვტეჭდავთ.

ვფიქრობთ, უმჯობესია, იგვე თეატრის საშუალებით მივიტანოთ მაყურებლამდე ის საკითხები, რომლებზეც გვინდა, რომ დაფიქრდეს. რამდენად უცნაურიც არ უნდა იყოს, თეატრი მედიუმთა ჩამონათვალში არ შედის. არადა, ძველი საბერძნეთიდან მოყოლებული, შუა საუკუნეების გავლით, თეატრი ყოველთვის მნიშვნელოვანი მედიუმი იყო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის. ამაში „ლისისტრატეს“ მაგალითზე დავრნ-მუნდით.



**ირინა ჯაფარიძე** - წარმატებული იყო მედიის წარმომადგენლებისთვის ორგანიზებული ტრეინინგი, რომელიც საბილონოდ მარჯანიშვილის თეატრში მოწყობილი ინტერაქტიულ სანახაობაში გადაიზარდა. უურნალ-ისტებმა და ფოტოჟურნალისტებმა რეალურ ფაქტებზე იმუშავეს (მაგალითად, მახსოვს, „ლიბერალიდან“ მარნეულში წავიდნენ და სტატია ადრეულ ქორწინებაზე დაწერეს. ასევე, მომზადდა რეპორტაჟები ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მსხვერპლთა თავშესაფრიდან და ა.შ.). მათ მიერ შეგროვებულ მასალებზე დაყრდნობით მოეწყო ინტერაქტიული პერფორმანსი, რომლშიც მაყურებელი ჩაერთო და მისი ფინალიც თავად განსაზღვრა. ამოცანას მარჯანიშვილის თეატრის დასმა თავი არაჩვეულებრივად გაართვა. აღნიშნული პროექტი „გაეროს ქალთა ორგანიზაციამაც“ მსოფლიოში წლის ერთ-ერთ ყველაზე ინოვაციურ პროექტად აღიარა. საერთოდ ხელოვანები ძალიან სენსიტურები არიან. „ლისისტრატეზე“ მუშაობისას, მონაწილეებისთვის (და არა მარტო მათთვის) გავაკეთეთ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე „გაეროს ქალთა ორგანიზაციის“ მხარდაჭერით შექმნილი დოკუმენტური ფილმის „ხმა ამოიღეთ!“ (ზურაბ ინაშვილი) ჩვენება და გავმართეთ დისკუსია. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ შემოქმედებით ჯგუფს სცოდნოდა ამ პრობლემის არსის, გამომწვევი მიზეზების, ხელშემწყობი ფაქტორებისა და გავრცელების შესახებ, რომ ყოფილიყო მგრძნობიარე ისეთი თემების მიმართ, რომლებიც პირადად შესაძლოა არ შეხებია, მაგრამ

საზოგადოებისთვის პრობლემურია. -მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი ქართული კულტურის არცოუ საამაყო მახასიათებელია, ამბობს 1-ლი ქალი. პირდაპირ რომ ვისაუბროთ, სტატისტიკას მოვიშველიები: 2013 წლიდან 2015 წლამდე შემაკავებელი ორდენების რიცხვი 227-დან 2,598-მდე გაიზარდა. ამ მაჩვენებლის ზრდაში დიდი წლილი ოჯახში ძალადობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილებას მიუძლვის, მაგალითად: თუკი 2009 წელს აღნიშნული პრობლემა 78,3 %-ს მხოლოდ „ოჯახის საქმედ“ მიაჩნდა, დღეს უკვე („გაეროს ქალთა ორგანიზაციის“ 2013 წლის კვლევის „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის ალქმა თბილისში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში“ შედეგებზე დაყრდნობით), მხოლოდ 25%-ს მიაჩნია, რომ ოჯახში ძალადობა მხოლოდ ოჯახის საქმეა. ახლა 69% ფიქრობს, რომ ოჯახში ძალადობა დანაშაულია. საზოგადოების დამოკიდებულებას ძალადობისადმი განაპირობებს განათლებაც. კვლევა ადასტურებს, რომ „უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები უფრო ნაკლებად ტოლერანტულები არიან ძალადობისადმი (59%), ვიდრე საშუალო განათლების მქონე რესპონდენტები (53.8 %)“. ნინო კასრაძე (მსახიობი): საზოგადოებას რომ განათლების დეფიციტი აქვს, ყველა თვითონ აღიარებს და გრძელობს. ჩვენი ყოველი ნაბიჯი არის დაკავშირებული და გადაჭდობილი ცოდნის ნაკლებობასთან, ყველგან და ასეთ თემაში, მით უფრო;

-მომავალი თაობისადმი დამოკიდებულებას და ქართ-

ველი დედების „სისუსტეს“ - ისაუბრონ შვილზე მრავ-ლობითში და ისე, თითქოსდა მისი ყოველი ნაბიჯი და მიღწევა მხოლოდ მათი დამსახურებაა, თქვენი გმირი პირველივე სცენაში ავლენს: „რა უნდა ხდებოდეს. მოგვნონს. მოვწონვართ. ოთხი თვეა დაგვიდის. ვერ მოვითმინეთ და ამ ვაჟბატონის გამო უკან მოვიტოვეთ გენიალური მაგისტრატურა, მაგრამ ჯერჯერობით უკავაყილოები არ ვართ. ნორმალური ახალგაზრდაა. არაფერს გვიშავებს, მოდის, მიდის. სხვას ვერაფერს ვიტყვი. გუშინ სპონტანურ სუფრაზე შემოგვესწრო. ჩვენგან აპსოლუტურად არ არის უცხოობის განცდა, მაგრამ ინტერესი არ გაგვდის, სინდისი არ გვქენების მიტოვებული სამაგისტრო პროგრამის გამო“ ან კიდევ, ფრაზა - „შეეყარებულები ვართ“. ეს არის ავტორის მხრი-დან ერთგვარი სილა ქალებისადმი, რომლებსაც უჭირთ საკუთარი შვილების დამოუკიდებელ ადამიანებად აღქმა. თუმცა, ფერმიციდის შემთხვევების არასასურველი რაოდენობის ქვეყნისთვის, არანაკლებ პრობლემურია ომგამოვლილი კაცების დამოკიდებულება ქალებისადმი და პირიქით. არ მგონია, დარაბაზში იჯდეს ისეთი მაყურე-ბელი, რომელსაც პარალელის გავლება გაუჭირდება.

-იცით რა, ძალიან ხშირად მომყავს ზოლას ნათქვამი: თუ არ შეგიძლია შეცვალო სამყარო, აღწერე ის; ეს ისეთი საყვარელი თეზაა, მცნების დონეზეა ჩემთვის, როგორც ხელოვანისთვის. თუ შენ ვერ ცვლი, აღწერა ცოტა არ არის. ზუსტი აღწერა, ზოგჯერ, უკვე ცვალე-ბადობას ნიშნავს და იმასაც, რომ თუკი ვიღაცამ თავი ამოიცნო, შეიძლება, მეორე წუთში, ასე ცხოვრება აღარ მოუწდეს. ვიღაც იპოვის ანალოგს, ვიღაც - ვერა. ეს არ არის მნიშვნელოვნი. რაღაც ნაწილისთვის ის იქნება ახლობელი, რაღაც ნაწილისთვის - რადიკალუ-რად მიუღებელი. მთავარია, რომ შენ მაქსიმალურად აღწერო თუნდაც ისიც, რომ ერთი და იგივე პრობლემა ვიღაცისთვის არის პრობლემა და ვიღაცისთვის - არა. ჩვენ საზოგადოებაში ხშირად ასეა, პოლარულად გახ-ლეჩილი და დაპირისპირებული საზოგადოებაა, მაგრამ შენ მანც უნდა ეცადო აღწერო ის მთელი თავისი სის-ავსით და ყველაფერს მისცე არსებობის უფლება. უნდა აჩვენო, რომ არსებობს დიდი პრობლემა, რომელიც ვიღაცას აპსოლუტურად არ ეხება. აი, რატომ „არ ეხე-ბა“ არის სწორედ ჩვენი კვლევის მიზეზი. რატომ არის ისე, რომ ის, რაც ერთისთვის მტკიცენულია, მეორესთ-ვის ნაკლებად მტკიცენული შეიძლება იყოს და ზოგ-ჯერ არანირადაც არ არის მტკიცენული; თუმცა, თემა რომ აქტუალურია, ეს ფაქტია. როგორც პიესაშია, ისე საქართველოშიც ყოველდღე კლავენ ქალს. იგივე ხდება საზოგადოებაში, რაც სცენაზე. და საერთოდ, ძველი სამყაროდან მოყოლებული, ძალადობა ისეთი თემაა... ამიტომ რა უნდა ვთქავა?! ორიგინალური ვერ ვიქენები. ფაქტია, რომ ხო, არის ძალადობა. მაგრამ არ მგონია, რომ „ლისისტრატე“ მხოლოდ ქალზე ძალადო-ბას და გენდერულ თემებს ეხება... მგონია, რომ ის ქალებიც, რომლებიც შემდევ ძალაუფლებას ჩაიგდებენ ხელში, ისინიც თავისთავად, რაღაცნაირად, მო-დალადები ხდებიან და ძალადობა ძალადობას ბადებს. ჩემთვის ყველაზე მეტად ახლოა სპექტაკლში ერთი თემა - ახალგაზრდების აღზრდისა და მათთან დამოკ-

იდებულების. როგორ უნდა აღვზარდოთ ისეთი თაობა, ისეთი ახალგაზრდები, რომ ისინი იყვნენ მომთმენ-ნი სხვისი მინუსების მიმართ ან თუნდაც შეეძლოთ შერიგება და არ იყვნენ პოლარულად... აი, ეს არის თემა, რომელიც ჩემთვის მნიშვნელოვანია და კიდევ მეორე თემა - როგორ უნდა შეიქმნას ისეთი საზოგა-დოება, სადაც არ იქნება ყოველთვის „კბილი კბილის ნილ“... აი, ესაა უფრო პრობლემა. სად არის ის სანა-ტრელი მოწყობა ქვეყნის, სადაც ყველანაირი ადამიანი თავს კარგად იგრძნობს... ამ სპექტაკლშიც ჩანს, რომ ყველას თავის სიმართლე აქვს და მინიმალურ დონეზე იმ ყველაზე მიუღებელ ჯგუფსაც უნდა ჰქონდეს არსე-ბობის საშუალება...

**-თქვენი პერსონაჟის პოზიცია და დაპირისპირებულ მხარესთან დამოკიდებულება რადიკალურია. მისი რადი-კალურობა იწვევდა დისკომფორტს?**

-არა აპსოლუტურად არა! შეიძლება მე, როგორც ნინო კასრაძე, არ ვიყო ასეთი ხისტი, მყარი და შემ-ტევი, მაგრამ იმას რა მნიშვნელობა აქვს როგორი ვარ?! მთავარია ცხოვრება როგორ სქემებს გვთავა-ზობს. ცხოვრებაში არსებობენ ასეთი, ძალიან მყარი და მეტროლი ადამიანების ტიპები, რომლებიც საკუ-თარ პოზიციებს ბოლომდე და ნებისმიერ სიტუაციაში იცავენ. შეიძლება შეკითხვებიც გაუჩნდეთ, მაგრამ შეკითხვების დათრგუნვით და დაძლევით ყოველთვის უბრუნდებიან პირველ საწყის... ჩემი პერსონაჟიც ასეთია...

**-როგორ ვიყავო. პირველად და მეორედ ნანახის მაყურე-ბელთა რეაქციები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვა-ვდებოდა;**

-არ იგრძნო მათი რეაქცია, შეუძლებელია. ამას გა-მოხატავენ ტაშით, სიცილით, გამოძახილით; მოდიან რადიკალი „დედების“ მომხრეებიცა და „ქალების“ პარტიის მომხრეებიც... ე.ი. სწორედ გაგვიშლია თემა, სწორად გვიფიქრია... თანაც, მსიამოვნებს, რომ ყვე-ლას გულშემატკიცირობს ვიღაც და ყველასთვის არის რაღაც, რაც მასში თანაგრძნობას იწვევს... ჩემთვის, როგორც მსახიობისთვის, სასიამოვნოა ის, რომ საზო-გადოების ყველა ნაწილისთვის არის გათვალისწინებუ-ლი ნავსაყუდელი... და მაყურებელთა რეაქციაზე ხშირად მახსენდება ერთი მაგალითი: „პამლეტს“ რომ ვთამაშობდით, მთელი სპექტაკლი მაყურებელი გა-მეხებული იჯდა, არაფერი არ იყო სასაცილო. მაგრამ ერთ ადგილას, როცა ზაზა პაპუაშვილი სპეციფიკური ინტიმაციით იძახდა: „დედა მიხმობს, უნდა წავიდე“, აი, ამაზე იყო ლამის პამერული სიცილი და ვაცდიდით მაყურებელს რომ გაეცინა... რა იყო „პამლეტში“ სა-საცილო?! მერე ამასთან დაკავშირებით ჩემი აზრი შე-მექმნა: ალბათ სიცილი აუცილებელი იყო დაძაბულო-ბის, დაჭიმულობის მოხსნისთვის, განტვირთვისთვის და ყველაფერ იმისთვის, რაც სერიოზულ თემებთან ჭიდილს ახლავს. აი, ამისთვის იცინოდნენ ალბათ... იმისთვის, რომ ამოესუნთქათ... „ლისისტრატე“ კიდევ გაჯერებულია იუმორით და ძალიან სასაცილოა.. საერ



თოდ, ხალხს უჭირს, ზოგს ერიდება კიდეც რთულ თე-  
მებზე ფიქრი, ლაპარაკი და ემოციას სიცილით გამოხ-  
ატავს. აბა, ჩვენთან ერთად უნდა იტირონ? მთავარია,  
მაყურებელს ჰქონდეს რეაქცია და სულ გამეხებული  
არ იჯდეს...

**-1-ლი ქალი „იძულებითი სექსის კანონის“ მიღებასაც  
მოითხოვს და არ ესმის, როგორ შეიძლება დაიღალო  
ლიბარალიზმით. რამდენად მისაღებია შენი პერსონაჟის  
პოზიცია?**

**ქეთი ხიტირი (მსახიობი):** - სპექტაკლში დასმული  
პრობლემა ძალიან მძიმეა, როგორც ქვეყნისთვის  
(და ამ ბოლო დროს განსაკუთრებით), ისე თითოეუ-  
ლი მოქალაქისთვის. მათ შორის, ჩემთვის, როგორც  
რიგითი მოქალაქისთვის. ქალთა მიმართ ძალადობა  
ამორალურია. თანასწორობის მომხრე ვარ და არაინ-  
არად არ ვთვლი, რომ ქალი რამენაირად უნდა დააკ-  
ნინოს თუნდაც ფიზიკურად ან ინტელექტუალურად  
ძლიერმა კაცმა, ჩაგვრაზე რომ აღარაფერი ვთქვა...  
ჩემი პერსონაჟი მართლაც რადიკალურად აზროვნებს.  
ამაში არ ვეთანხმები. სხვა თვალსაზრისით კი, ძალიან  
საინტერესო იყო ამ როლზე მუშაობა. ადვილად  
დავძლიერ-მეთქი, ვერ გეტყვი. ის, თავისი პრინციპუ-  
ლობით, შეიძლება ახლოსაც იყოს ჩემს ხასიათთან.  
როცა რაღაცაზე წარმოდგენა მაქვს, ჩემი პოზიცია  
ძალიან მტკიცეა. ოღონდ, მე ძალიან მიყვარს ადამი-

ანების მოსმენა. ამ ქალს კი არავის მოსმენა არ უნდა.  
არის, ვითომდა, ზედმეტად განვითარებული და ძალიან  
თანამედროვე, თვლის, რომ წყვილები ერთმანეთთან  
აუცილებლად უნდა ცხოვრობდნენ სექსუალურად... კი,  
უნდა ცხოვრობდნენ... მაგრამ მისი მოწოდება „მოგვე-  
ცი იძულებითი სექსის კანონი“, ჩემთვის მიუღებელია.  
ლაშა ბუღაძის პიესებში მონაწილეობა, ყოველთვის  
საინტერესოა. მისი „სულიერი არსებებიც“ ძალიან თა-  
ნამედროვე და სოციალური ტექსტია. „ლისისტრატეს“  
პერსონაჟები უფრო კომიკურია. არადა, ძალიან  
ტრაგიკულია ის, რაც ხდება.

**ტექსტის თანამედროვეობა გეხმარებოდა?**

- არა, პირიქით, ხელს მიშლიდა. მერე, არ მთავრდება  
წინადადება, იწყება და აღარასოდეს აღარ მთავრდე-  
ბა, წერტილი არ არის... თავიდან ძალიან მიჭირდა და  
რეუსისორთან სულ კითხვები მქონდა (ამხელა ტექსტის  
დაწყება და ჩარიხინება ხომ არ იქნებოდა საინტერე-  
სო?!). ამიტომ ვეძებდი ტიპაჟს, რომელიც საბოლოოდ  
ვიპოვე და ამან უფრო გამიადვილა ყველაფერი.

„ლისისტრატე“ საყვარელ სპექტაკლად, 1-ლი ქალი  
კი - საყვარელ როლად იქცა. მასში ბოლომდე ვიხარ-  
ჯები. ძალიან გავითავისე. მაყურებელთა რეაქციებიც  
გასაგებია. ხალხს მოენატრა სიმსუბუქე, გართობა,  
სიცილი და არა ასეთი მძიმე თემები, რომლებიც  
მსუბუქად და იუმორით კი არის მოწოდებული, მაგრამ

რეალურად პრობლემურია. მაყურებლები თავიდან ცოტა დაბნეულები იყვნენ, ახლა უფრო თავისუფლად იცინიან და გამოხატავენ რეაქციას. როგორც არ უნდა იყოს, მთავარია, რომ კმაყოფილი ტოვებენ თეატრს და აღფრთოვანებასაც არ მაღავენ, მოსწონთ ის, რაც გავაკეთეთ და ეს უკვე რეზულტატია.

### -ასეთი პრობლემა გქონია? ძალადობას და ჩაგვრას ვგულისხმობ.

- საბედნეიროდ არა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ვხედავ რა ხდება ქვეყანაში და ეს ძალიან მოქმედებს. ჩემთვის თუ უცხოა, ძალიან ახლობელია, მაგალითად, მეგობრისთვის, მეზობლისთვის... და ეს ძალიან გადამდებია. საზოგადოება, რომელსაც სურს განვითარდეს, ქალს არ უნდა აკინძებდეს. ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობის თემა, ზოგადად, ჩემთვის უფრო მტკიცნეულია, ვიდრე ის, რასაც ჩემი პერსონაჟი თავისი რადიკალიზმით მოითხოვს.

### -ხედავ რაიმე წინსვლას?

-ამისთვის საჭიროა ინტერებოდეს პიესები, იდგმებოდეს სპექტაკლები, გადაიღონ კინო, მომზადდეს გადაცემები... მაგრამ ტელევიზიობის ამისთვის არ სცალიათ, ტელესივრცეები უაზრო თოქ-შოუებით არის გადავსებული, გამოაყრუეს ხალხი... ქალთა უფლებების დაცვაზე ფიქრს ძალიან ცოტა ადამიანი უთმობს დროს. ვიცი, რომ არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც ამაზე ზრუნავენ. თეატრსაც დიდი ძალა აქვს, მაგრამ, უნდა ვალიაროთ, რომ არ არის აქტუალური. ამ ყველაფერში ტელევიზიამ ძალიან ცუდი როლი ითამაშა. ოჯახზეც ბევრი რამეა დამოკიდებული. თავიდანვე უნდა შეაყვარო ბავშვს თეატრი, ოპერა... როგორც არ უნდა იყოს, ქართველი ხალხი მაინც თეატრალია.

-რას ალარ ამბობენ ქალები შენი პერსონაჟის მისამართით, მაგალითად: „რაღა მაინცადამაინც ეს სუროგატი მოინონა? ეს მარცხის მანქანა? ეს დაბლვერილი ფალიკური ინფუზორია?“, ან კიდევ, „რა უფრო მართებულია - მელანქოლიური ცხოვრება უკაცოდ, თუ გარდაუვალი სიკვდილი კაცის ხელში“ და ა.შ. ასეთი საშიშიც არ ჩანდი, ერთი შეხედვით;

**ლაშა ჯუხარაშვილი (მსახიობი):** მაქსიმუალურად ვეცადეთ (მე, დათო და ლაშა), რომ არ ყოფილიყო ლოზუნები. ისედაც დატვირთულია წარმოდგენა იმით, რაც რეალურად ხდება. ამისთვის ხაზის გასმა და მაყურებლისთვის აგრესიული, ტირანი ტიპის შეთავაზება ალარ იყო საჭირო. ხანდახან ისეთი ადამიანები უფრო არიან საშიშნი, რომელთაც ვერ გაიგებ, რა პოზიცია აქვთ. თვითონ თემამ ძალიან დამაინტერესა. მუშაობის პროცესში, „გაეროს ქალთა ორგანიზაციის“ ინიციატივით, შევხვდით ქალებს და ბევრი ფილმი ვნახეთ. ამით ბევრად გამიმდაფრდა პოზიცია, რომელიც მქონდა. ყველანაირი ძალადობის წინააღმდეგი ვარ, არა მხოლოდ ქალსა და კაცს შორის, ზოგადად.

-საკითხებიდან, რომელიც დადგმაში არის დასმული,



რომელი იყო შენთვის ყველაზე მტკიცნეული და პრობლემური?

-პიესა ისეა აწყობილი, რომ მართლაც არაერთ თემას ეხება. მაგრამ ყველაზე მძიმე მოსასამენი იყო მონოლოგი, რომელსაც ნინო კასრაძის პერსონაჟი ამბობს, როცა ყვება, თუ როგორ ძალადობდა მასზე მეუღლე, როგორ ჩამოარტყმევინა თავი რაფაზე, როგორ აყენებდა ცივი შხაპის ქვეშ და ა.შ. ამ ყველაფერზე დარბაზში სიცილია, ალბათ მწარე... და ლისისტრატეს მონოლოგია კიდევ ემოციური, როდესაც ის საკუთარ მოსაზრებასა და პოზიციას გრძლად აყალიბებს, რასაც ვეთანხმები და ძალიან შემეხმ.

-შენი პერსონაჟი შეყვარებულს ტოვებს, როგორც წესი, თვალშისაცემად მოულოდნელად. შენი მისვლები მოსწონთ და წასვლები აეჭვებთ. ხელოვნური დისტანციონების პრობლემა რამდენად პრობლემურია შენ გარშემო?

-არის, როგორ არ არის! ეს არის ძალიან მძიმე თემა, იმიტომ რომ ბევრად უფრო გახსნილები გახდნენ ქალები და ბევრად უფრო რისკურნები ურთიერთობებში (ამას ცუდი გაგებით არ ვამბობ!), რაც ძალიან მომწონს. ხოლო ისეთი ადამიანები, როგორიც არის კინესიასი, პერსონაჟი, რომელსაც ვთამაშობ, ფსევდო-ფანატიკურად არიან გახვეული რელიგიაში. აქ



არ არის რომელიმე ერთ რელიგიაზე ლაპარაკი. ამის მაგალითები უფრო გავრცელებული რეგიონებში რომ გვევონა, აღმოჩნდა, რომ თბილისში ბევრად უფრო „სვეტსკი“ ტაპები და გოგო-ბიჭები არიან მძიმე მდგომარეობაში.

- რელიგია ახსენება და ერთ-ერთი კვლევის დროს ჩანერი-ლი დაზარალებულის სიტყვები გამახსენდა: „რამდენჯერ ვიყავი დაშორებული, წამოსული. რამდენჯერ შემარიგეს, ეკლესიით, ხან იმით, ხან ამით. მამაოები ჩაერივნენ, ვინ არ ჩაერია“. როული იყო ასეთი „ფსევდოს“ განსახიერება?

- როული ნამდვილად არ იყო, რადგან მუდმივად გახსენდება ან მეზობელი, ან მეზობლის ნათესავი, ან თუნდაც შენი ნათესავი, ყველა ფაქტი და ა.შ. ყველაფერი ხომ მართლა გავიარეთ?! ძალადობის ფაქტების გამოვლენის სტატისტიკა რომ ვნახეთ, ყველაზე მრავლად სწორედ სამოქალაქო და აფხაზე-თის ომების შემდეგ. შერყეული საზოგადოება, ომიდან დაბრუნებული კაცები და მარტოდ დარჩენილი ქალები. „ლისისტრატეზე“ მუშაობის დროს ყველა ოჯახის ისტორია გვახსენდებოდა. არაფერი იყო უცხო, ამიტომაც არ გაგვიჭირდა მუშაობა. ერთადერთი სირთულე მდგომარეობდა იმაში, თუ როგორ დაგვეცვა ზღვარი კინესიასისთვის დამახასიათებელ აგრესიასა და უსუსურობას შორის. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ძალადობის პრობლემა ყოველთვის დაისმება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს, უპირველესად, არასრულფასოვნების კომპლე-

ქსი, რომელიც კაცს უფრო გამოხატული აქვს, ვიდრე ქალს. ქალი ოჯახში მაინც იქნება და შვილს გაზრდის. კაცმა არ იცის რა გაატეოს, იწყებს დალევას, რასაც ხშირად მოსდევს აგრესია და ა.შ. ყოველ შემთხვევაში ინფორმაციიდან, რომელსაც გავეცანით, ძალადობის შემთხვევების უმეტესობა იყო ნარკომანიით და სასმელით გამოწვეული, ასევე, ომგამოვლილთა ფსიქიკური მდგომარეობა და ა.შ. სამწუხაროა, რომ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელზეც არის საუბარი, შესაძლოა თეატრში მოსასვლელი ფული არ ჰქონდეს. ვიდრე ჩვენამდე მოაღწევს, სათქმელი უნდა გაუზიაროს იმან, ვინც დადის თეატრში. იქნებ, ოდესმე, მართლაც გავერთიანდეთ.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას აგრძელებს. ორგანიზაციაში ფიქრობენ, რომ კაცები განცენებულად არ უნდა განიხილებოდნენ, ისინიც უნდა ჩაერთონ იმ პრობლემების მოგვარებაში, რომლებიც აქტუალურია. მათ აუცილებლად უნდა შეუწყონ ხელი თავიანთი შეილების, დების, ცოლების წინ ნამონევას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ მონაწილეობასა და თვითრეალიზებას. თორემ, ფაქტია, რომ საქართველოში ხშირია ინტიმური ან ლირსების შელახვის სახელით ჩადენილი ფემიციდის მაგალითები. ასეთ დროს საზოგადოების მხრიდან თანაგრძნობას ხშირად სწორედ მოძალადე იწვევს და არა მსხვერპლი. დიახ, ქალად ყოფნა ჯერ პრობლემის გადაწყვეტა არ არის!



# სახლი, რომელიც თქვენს ცხოვრებას შეცვლის!

- გარემონტებული ბინები  
1 კვ.მ. – 1000\$-დან
- 3 წლიანი უპროცენტო შიდა განვადება  
10, 20 ან 30% პირველადი შენატანით
- ბახტრიონის და ფანასკერტელის  
ქუჩების მიმდებარედ
- სრულიად განსხვავებული,  
თანამედროვე სტანდარტების  
შესაბამისი ინფრასტრუქტურა,  
საუცხოო 360 გრადუსიანი ხედები
- მყუდრო, კომფურტული, დაცული  
ბინები 56 კვ.მ.-დან დასრულებული  
რემონტით, დახვენილი დიზაინით
- 25%-მდე ენერგოეფექტურობა,  
„პერლიტის“ ბლოკით ნაშენი  
დათბუნებული კედლები, უმაღლესი  
ხარისხის „შინდლერის“ ლიფტები
- 24 საათიანი დაცული ოთხდონიანი  
ავტოსადგომი
- ეკოლოგიურად სუფთა გარემო, 500  
კვ.მ.-მდე გამწვანებული ეზო, სკვერი  
და სათამაშო მოედანი ბავშვებისთვის



“CASCADE 360°”

ხსოვები, მოძრავი გავლენები, გამარტინი, მოძრავი განვითარება!



360°  
**CASCADE**  
CONSTRUCTION



ბახტონის და ფანასკერტელის ქუჩების მიმდებარედ | [info@cascadeconstruction.ge](mailto:info@cascadeconstruction.ge)  
**f cascade360** | ტელ.: +995 551 702 702; 2 430 360



მიერთი: იჩმა კახურაშვილი

ფოტო: გიორგი დალაძი

## 306 პარტი ჩვენ?

ჩვენ ვართ ადამიანები, რომლებიც სქესისა და სოციალური სტატუსის მიუხედავად, თანაბარი უფლებებით და შესაძლებლობებით უნდა ვსარგებლობდეთ.

ჩვენ ვართ ისინი, ვისგანაც იწყობა და იწყება საზოგადოება, სადაც ჯერ ისევ ცხელია ოჯახშიძალადობის თემა, სადაც ბევრი ქალის უნიკალური შესაძლებლობების განვითარებას მხოლოდ სქესი აბრკოლებს.

მაშასადამე, ჩვენ ვართ ისინი, ვინც თანაბარი უფლებებით და შესაძლებლობებით არ სარგებლობს.

ჩვენ ვართ ისინი, ვინც საკუთარი სახლის გარეთ, სხვის დასანხად აღიარებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, სახლის შიგნით კი ლეგიტიმურად შეურაცხყოფს და კრძალავს.

ჩვენ ვართ ისინი, ვინც ამბობს, რომ გენდერული როლები ისტორიულ ჩარჩოებშია მოქცეული და ეს ასეც უნდა იყოს - უკუნითი უკუნისამდე.

ჩვენ ვართ ისინი, ვინც მიიჩნევს, რომ ამ სამყაროში ქალის ადგილი სამზარეულოს რამდენიმე კვადრატული მეტრით შემოიფარგლება.

ჩვენ ვართ ისინი, ვინც საკუთარი შვილების ადრეულ ქორწინებას ეთანხმება.

ჩვენ ვართ ისინი, ვინც თავად ქმნის კლიშეებს ქალთა და კაცთა როლების შესახებ დამახინჯებული ტრადიციულ-კულტურული ფასეულობების პოპულარაზიციით.

ჩვენ ვართ ისინი, ვინც არ ცნობს გენდერულ დემოკრატიას; ვინც ხშირად დუმილს ამჯობინებს პროტესტს.

ჩვენ გვინდა შევცვალოთ ეს დამოკიდებულება ამ ფოტოპროექტით, რადგან არსებობენ ისინიც, ვისაც არ სურს იყოს „ჩვენ“.

## მეცნ ჩარპვის ეთალოები, პალატი, ფინანსები


ცნობიერების წამოწევის გარეშე, ადამიანი მგრძნობიარე ვერ გახდება. ასეა გენ-დერული საკითხების შემთხვევაშიც. მგრძნობიარეა ადამიანი მაშინ, როდესაც ამჩნევს რაღაცებს და ამჩნევს მაშინ, როდესაც იცის, ანუ განათლება ნიშნავს ცნობიერების წამოწევას.

60-იან წლებში, მეორე სექსუალური რევოლუციის დროს (პირველი 20-იან წლებში იყო), პირადად ვიცობდი ფემინიზმის ერთ-ერთ ლიდერს, ბეტი ფრიდანს, რომლის წიგნმაც „ქალური მისტიკა“ წამოწყო ეს რევოლუცია. ამიტომ ჩემთვის პრობლემები, რომლებიც მაშინდელ ამერიკაში იყო და დღეს ჩვენთანაც წამოიწია, ჩემთვის გასაგები და ახლობელია.

ბეტი ფრიდანის მაშინდელი სოციალური გამოკვლევით დადასტურდა, რომ ქალური ბედნიერება, თავისი იმდროინდელი კლასიკური გაგებით - გყავდეს ბევრი შვილები, მანქანა, დადიოდე სუპერმარკეტში, ეჭვის ქვეშ დადგა, რადგან აღმოჩნდა, რომ ქალებს აკლდათ თვითდამკვიდრება პროფესიაში, როგორც მოქალაქეებს. აქედან გაირკვა, რომ მათ სჭირდებათ სხვა რაღაც, ისევე, როგორც კაცებს. მეორე რევოლუცია სწორედ ქალური და მამაკაცური როლების ცვლილებებს მოითხოვდა, თუმცა ზოგჯერ ეს ძალიან გადაჭარბებით ხდებოდა. ფრიდანის ბოლო წიგნში ამ როლებზე მსჯელობა ცოტა შერბილდა კიდეც. ამაზეც უნდა ვიფიქროთ.

### **ამონარიდი გელა ჩარკვიანის ბესტსელერიდან „ნაგერალა“:**

„ქალები დასავლეთ ევროპაში მეტად სექსუალურად არიან განწყობილი იმ მამაკაცთა მიმართ, რომლებიც არ თაკილობენ სახლში საჭმლის კეთებას და მზად არიან დაეხმარონ მათ ამ ტრადიციულად ქალურ საქმიანობაში. ესეც ევოლუციური ფსიქოლოგიით იოლად აიხსნება. კაცი დიდი ხანია აღარ ნადირობს ბიზონზე იმისთვის, რომ გამოკვებოს ოჯახი. მეტიც, ის აღარ არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი - ქალების უმრავლესობა მუშაობს, მათი პროფესიული საქმიანობა დიდად არ განსხვავდება მამაკაცების საქმიანობისგან. ამიტომ დღევანდელი კაცი უსარგებლოა, თუ ქალს ოჯახურ საქმეებში არ ეხმარება. გინდა იყო შენი პარტ-ნიორისთვის სექსუალურად მიმზიდველი? კუნთების ზომაზე კი ნუ იფიქრებ, გარეცე ჭურჭელი!“.



## მაკა ჩირუა პირველი ლეხი

„პრეზიდენტმა არაერთხელ დაუჭირა მხარი ქალთა უფლებებს, მათშორის კვოტირებას, რაც კონკრეტული ქმედებითაც დაადასტურა. მან არაერთ მაღალ თანამდებობაზე წარადგინა ქალი კანდიდატები, როგორც საკუთარ ადმინისტრაციაში, ასევე ქვეყნის სხვა ინსტიტუციებში. პრეზიდენტი აქტიურად უჭერს მხარს ქალთა უფლებების ადვოკატირებაში არასამთავრობო სექტორს და ქალთა უფლებების დამცველებს. 2015 წელი მან ქალთა წლად გამოაცხადა, რასაც არაერთი პროექტის ფინანსური მხარდაჭერა მოჰყვა.

თავისი წვლილი შეაქვს საერთაშორისო საზოგადოებასაც. ერთი წლის განმავლობაში, საელჩოების ინციდატივით, რამდენიმე პერფორმანსი და აქტივობა განხორციელდა. კარგი მაგალითი იყო იტალის საელჩოს მიერ ორგანიზებული სპექტაკლი „სასიკვდილოდ დაჭრილი ქალები“. პიესა აგებულია მამაკაცების მიერ მოკლული ქალების მონოლოგებზე. ერთ-ერთი მონოლოგი მეც წავიკითხე. რა თქმა უნდა, ეს არ არის საქმარისი პრობლემის ბოლომდე მოგვარებისთვის. საჭიროა, რომ საზოგადოებისა და ხელისუფლების ყველა შტო გააქტიურდეს. განსაკუთრებით მით მნიშვნელოვნად მიმაჩნია ეკლესიის როლი, რადგან ეს ინსტიტუცია დიდი გავლენით სარგებლობს.

თანაბარი უფლებებით ნებისმიერი მოქალაქის უზრუნველყოფა, ერთი მხრივ, დემოკრატიის საფუძველია, მეორე მხრივ კი, თუ ყოველ ჩვენგანს არ ექნა განვითარებისა და წინსვლის თანაბარი შესაძლებლობა, ამით საბოლოოდ სახელმწიფო კარგავს ინტელექტუალური რესურსის მნიშვნელოვან წილს და ქვეყნის განვითარება ფერხდება.

რადგან ოჯახი სახელმწიფოს პატარა მოდელია, ვფიქრობ, უნდა ეფუძნებოდეს თანასწორობას, ნდობას და არ შეიცავდეს ძალადობის უმცირეს ელემენტსაც კი. ოჯახის საფუძველი სიყვარულია. სიყვარული კი წარმოუდგენელია განვიხილოთ, როგორც რაიმეს მოდელი. შესაბამისად, არ ვფიქრობ, რომ ოჯახურ ცხოვრებაში არსებობს მზა კონცეფცია, რომელსაც შეიძლება წყვილი მოერგოს. უბრალოდ, მნიშვნელოვანია, თითოეული ოჯახი შეთანხმდეს თამაშის საკუთარ წესებზე.

ქალებს აქვთ რესურსი იმისა, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ნებისმიერი დარგის განვითარებაში. ერთადერთი თემა, სადაც მისი როლი განსაკუთრებული და შეუცვლელია, ბავშვთა საკითხებია. ამას განაპირობებს ბიოლოგიური, სოციალური, საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი ცნობიერი თუ არაცნობიერი გამოცდილება. თუმცა, ვისურვებდი, რომ მამაკაცები სწორედ ბავშვთა საკითხებში გააქტიურდნენ. ვიცი, რომ ჩვენს, ისევე როგორც ბევრი სხვა ქვეყნის კანონმდებლობაში, გათვალისწინებულია დეკრეტული შვებულება ახალშობილის მამისთვის. თუმცა, არასდროს გამიგია, რომ საქართველოში რომელიმე მამაკაცს ამ უფლებით ესარგებლოს. კარგი იქნება, თუ მამაკაცები დროთა განმავლობაში ამ გამოცდილებასაც შეიძენენ და შვილების აღზრდაშიც სრულფასოვან პარტნიორობას გაუწევენ ქალებს. ეს თანასწორობის კიდევ ერთი მაგალითი იქნება.”



## ნიკა მარაშვილი

„მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში დამხმარე ადამიანი გვყავს, დედ-მამის ტრადიციული როლები მე და ჩემს მეუღლეს თანაბრად გვაქვს განაწილებული, მაგალითად, უმცროსი შვილის მოვლაში - დაძინება, ჰიგიენა, დილით ადრე ადგომა - ამ ყველაფერს რიგ-რიგობით ვაკეთებთ. შესაძლოა, არსებობს ისეთი საოჯახო საქმე, რომელსაც მე არ ვასრულებ, მაგრამ ამაზე არასოდეს მიფიქრია და არც მეუღლეს უთქვამს რამე, ალბათ იმიტომ, რომ ეს პრობლემა არც ყოფილა.

ჩვენს ოჯახში გენდერული ბალანსი მეტ-ზაკლებად დაცულია, მაგრამ იმის განცდა, რომ დღეს თანაბარუფლებიან საზოგადოებაში ვცხოვრობ, არ მაქვს. საქართველო სექსისტური ქვეყანაა და ეს არ მხოლოდ მისი, არამედ სამხრეთის პრობლემაა - ბევრ სამხრეთული მენტალიტეტის ქვეყანაშია იგივე გამოწვევები.

შემიძლია იაპონიის მაგალითი მოვიყვანო, სადაც ტექნოლოგიების განვითარების საკმაოდ მაღალი დონეა, მაგრამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ტრადიციებს და მკაცრად იცავენ მათ - მეტროში კაცები სხედან, ქალები კი დგანან, ტაქსიში ჯერ კაცი ჯდება, შემდეგ - ქალი. ერთხელ გაევროპელებულ იაპონელ მეგობარ გოგოს-თან ერთად კიოტოში მომიწია ჩასვლა. სადგურიდან გამოსულმა ტაქსი გავაჩერება და ჩასხდომის დროს, როგორც წესია, გოგოს დავუთმე გზა. ამის გამო, ტაქსის მძლოლმა ჩხები აუტეხა, რადგან ის ქალი იყო და მხოლოდ ჩემს მერე უნდა დამჯ-დარიყო.

გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას დიდი დრო უნდა. შესაძლოა, კანონია გასამკაცრებელი არა მარტო მოძალადების, არამედ მათ მიმართ, ვინც მის დამცველად გვევლინება - ხშირად ის თვითონაც სექსისტია. ძალადობის ფაქტზე გამოძახებული პატრული თვალს ხუჭავს ძალადობაზე და არაფრად თვლის იმ ფაქტს მხოლოდ იმიტომ, რომ ქალი ცოცხალია და ცემით არ მოკლეს. უნდა არსებობდეს მექანიზმი, რომელიც გააკონტროლებს, რამდენად სწორედ რეაგირებს პოლიცია ძალადობის ფაქტებზე.”



## ეათო ტურნაშვილი

### მწერალი

„გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით ყველაზე მტკიცნეული და საგანგაშო ძალადობაა, რომელიც მსხვერპლით მთავრდება. სამწუხაროა, რომ 21-ე საუკუნეში ისევ ამ ტრაგედიაზე გვიწევს საუბარი. რასაკვირველია, ჩვენ ქვეყანაში კაცების უფლებებიც ირღვევა, მაგრამ ძალიან ხშირად ქალებს მხოლოდ იმიტომ კლავენ, რომ ისინი ქალები არიან.“

მართალია, სიტყვა „გენდერს“ და ზუსტად იმ ტერმინოლოგიას, რომელსაც დღეს ვიყენებთ ამ თემატიკასთან მიმართებაში, შოთა რუსთაველი არ ხმარობდა, მაგრამ გენდერულად თანასწორი საზოგადოების სასარგებლოდ, ჩვენი გენიალური პოეტი ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნის საქართველოში საუბრობდა. ეს საამაყოა, მაგრამ სამწუხაროა, რომ ჩვენ ცუდად ვიცნობთ საკუთარ წარსულს და, მაგალითად, თითქმის არ ვიცით, რა საოცარ გენდერულ თანასწორობას ეფუძნებოდა სვანური სამართალი საუკუნეების მანძილზე.“

თუმცა, მხოლოდ წარსულის მაგალითები არასაკმარისია სიტუაციის პოზიტიურად შესაცვლელად. მიმაჩნია, რომ მთავარი გამოსავალი მაინც კარგი განათლება და სწორი აღზრდაა. ბავშვის აღზრდაში ორივე მშობელი უნდა მონაწილეობდეს.

ეს ბევრი მიზეზის გამო არის მნიშვნელოვანი, მაგრამ ამ აუცილებლობის ახსნა მარტივადაც შეიძლება -ნებისმიერმა ადამიანმა, ძალიან პატარა ასაკიდანვე, უნდა იცოდეს, რომ სამყარო ძალიან მრავალფეროვანია და ეს არის კიდეც ამ სამყაროს ერთ-ერთი მთავარი ხიბლი და უპირატესობაც.“



## ნესტან პვინიკაძე

შურალისტი, მწერალი

„...გენდერული სფერო ძალიან რთულია, თუმცა, მჯერა, რომ ყველა პრობლემა მას მერე გვარდება, რაც მას გავიაზრებთ ხოლმე. და ალბათ, ბევრ რამეს სოციალურ პრობლემებამდე მიყვავართ. უნდა გვახსოვდეს, რომჩვენ შეიძლება ვინმეს მოვთხოვოთ, იყოს კარგ განწყობაზე იმის გამო, რომ სამყარო წინ მიდის და ვითარდება, მაგრამ ამ „ვინმემ“ ეს ვერ შეძლოს, რადგან სულ სხვა სოციალურ გარემოში უწევს ცხოვრება.

...მნიშვნელოვნია, რომ გენდერული პრობლემები არა მხოლოდ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებზე ვრცელდება, არამედ ე.წ. პრესტიულ უბნებზეც, სადაც ადამიანებს სტაბილური სამსახურები აქვთ და არც ოჯახიშვილობა აკლიათ. ხარვეზი ყველგანაა. ერთხელ, მეგობრებთან ერთად კაფეში ვიჯექი, ვსაუბრობდით და უცბად აღმოვაჩინე, რომ მათი წარმატებულობის მიუხედავად, ისინიც ამ პრობლემების წინაშე იდგნენ.

გენდერული დაღი სათავეს კომუნისტურ სარტყელში მოცემული ცნობიერებიდან იღებს, როდესაც ოჯახების უმეტესობა მარტივი პრინციპით - „დედა დიასახლისი, მამა - შემომტანი“ ცხოვრობდა.

თუმცა, ყველაზე მძიმე, 90-იანიანი წლებმა პოზიტიური გარდატეხაც მოახდინეს - მაშინ ნათლად დავინახეთ, რომ ქალებმა იპოვეს გადარჩენის გზა, საკუთარ თავზე ყველაზე დიდი ტვირთი აიღეს, გადაკვეთეს საზღვრები, მოწყდნენ ყველაზე ძვირფასს - ოჯახს, რათა მეუღლეები ერჩინათ და შვილებისთვის სწავლის ფული ეშოვათ. ამან ქართველი კაცის, როგორც „შემომტანის“ სტერეოტიპი საგრძნობლად შეარყია. ქალებმა აჩვენეს გაუგონარი ძალა, ენერგია და გამძლეობა. სამწუხაროა, რომ ემიგრანტ ქალებს ხშირად ვივინყებთ... ამიტომაა საჭიროა ისტერიული საუბარი ამაზე, რომ სხვის ისტორიებში ჩვენი თავი ამოვიცნოთ.

...თუ ჩვენ წამალდამოკიდებულ ადამიანებს ნარკომანებს ვუწოდებთ და საზოგადოებიდან გავრიყავთ, თუ უმცირესობებს განზე გავწევთ, თუ განაჩენს გამოვუტანთ ქალებს, რომ მათ მხოლოდ ბავშვებს მოუარონ და სხვა რესურსი გამოუყენებელი დარჩეთ, შედეგად რას მივიღებთ?..”



## მეცნიერებული ხელოვნების მასწავლებელი

„ქართულ კანონმდებლობაში უკვე შეტანილია ცვლილება, რომ მასწავლებლები უნდა დაინტერესდნენ, თუ რატომ აცდენენ ადრეულ ასაკში (12 წლიდან) გოგონები სკოლას. მე მარნეულში ვმუშაობ და ეს თემა - ადრეული ქორწინებების - მუდ-მივად აქტუალურია. მსგავსი შემთხვევა მართლაც ბევრია და შედეგი უცვლელი -ადრეული ქორწინება საფრთხეს უქმნის გოგონების ჯანმრთელობას, წყვეტს მათ განათლებას და შემდგომ განვითარებას, ზოგჯერ კი გამოუსწორებელი მსხვერ-პლიტ მთავრდება.

ადრეული ქორწინების მავნე პრაქტიკის მთავარი მიზეზი დაბალი ცნობიერება და განათლებაა. ამ რაიონში, მით უფრო ღრმა სოფლებში, ქართულ არხებს არ უყურებენ, უფროსმა თაობამ ქართული ენა საერთოდ არ იცის, არ იცნობენ კანონმდებლობას. ტრადიციად მიაჩინათ 12-13 წლის ასაკში გოგონების დანიშვნა. ეს იმას ნიშნავს, რომ გოგონას არ შეუძლია იმესიჯოს, ბიჭებს შეხვდეს, ეს სირცხვილად ითვლება. ამ ყველაფერში აქტიურად მონაწილეობენ გოგონების მამები. ისინი თვითონვე აიძულებენ შვილებს, გაცილებით ასაკოვან კაცებს მისთხოვდნენ. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, 2015 წელს საქართველოში 611 არას-რულწლოვანის ქორწინებაა დარეგისტრირებული. ოჯახის შექმნის მიზნით, სკოლა 408 არასრულწლოვანმა მიატოვა.

დღეს სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი მყისიერად ახდენს რეაგირებას მსგავს საზარელ ფაქტებზე. ამიტომ, მასწავლებლის აქტიურობა და მისი ხმა ძალიან მნიშვნელოვანია. მასწავლებელს შეუძლია მოზარდის გადარჩენა, მისი ცხოვრების ვექტორის შეცვლა. ამას კანონიც ავალდებულებს. მასწავლებელი ვალდებულია, მიმართოს სამართალდამცავებს, სოციალურ სააგენტოს, ჯანდაცვის სამინისტროს. პასიურობა მას სამსახურეობრივ გულგრილობად ეთვლება. მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება ძალადობად განიხილება. ასეთ დროს, მოზარდს მხარდაჭერა სჭირდება და არა იმის თქმა, რომ ეს „ოჯახის საქმეა“. ჩემი აზრით, ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეალს სწორედ პედაგოგები წარმოადგენენ.”



## მიჩინებული

„საქართველოს ბანკის“

ონლაინ კონსალტაციების სამსახურის უფროსი

„გაეროს მოსახლების ფონდის (UNFPA) 2013 წლის კვლევით აღმოჩნდა, რომ მამების მხოლოდ 18% უკითხავდა ზღაპრებს 6 წლამდე ასაკის ბავშვებს. მე ერთი წლის და 9 თვის შვილი მყავს, მაგრამ მასთან ჯერ კიდევ მაშინ დავმეგობრდი, როდე-საც მუცელში იყო. რომ დაიბადა, სადეკრეტო შვებულებაში გავედი. შვებულება მშობელს სქესის მიუხედავად ეკუთვნის, უპრალოდ, დედას და მამას მისი აღება ერთდროულად არ შეუძლიათ.

რა თქმა უნდა, ჩემი ჩართულობა ბავშვთან იდეალური როდია, მაგრამ პირველი დღიდანვე ისევე ვუვლი, რომ ჩემი ცოლი. თავისი რესურსები ორივე მშობელმა ბავშვს თანაბრად უნდა მოახმაროს. როგორ ვახერხებ ამას? საბედნიეროდ, ადამიანმა დიდი ხნის წინ გამოიგონა მტვრესასრუტი, სარეცხი მანქანა, გაზქურა. სხვისი შრომის შესამსუბუქებლად, საკმარისია ლილაკს თითო დააჭირო.

ალბათ, კოლექტიური საზოგადოების ბრალია, რომ ზედმეტად ბევრ ყურადღებას ვაქცევთ იმას, თუ რას იფიქრებს ჩვენზე ხალხი. სარეცხს თუ გავფენ, შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ ოჯახში დაკნინებული ვარ, რაც ასე არ არის.

ახლა უკვე იმ დროში ვცხოვრობთ, როდესაც არა მხოლოდ გენდერული თანასწორობის საკითხების, არამედ საზოგადო ლირებულებების გადახედვა მიმდინარეობს. მარტივია საქართველოს მოქალაქემ გააცნობიეროს, რომ ქვეყანას არ აქვს არანაირი განსაკუთრებული ბუნებრივი რესურსი. ჩვენი ერთადერთი რესურსი ადამიანია და თითოეული ადამიანი თუ არ განვითარდა, ქვეყანაც ვერ განვითარდება. სახლში ჩაკეტილი ქალების სახით კი, ჩვენ ასეთ რესურსს ვკარგავთ.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა უნდა ვმუშაობდეთ და ოჯახს ყურადღება არ მივაქციოთ. თანასწორობა ნიშნავს იმას, რომ პასუხისმგებლობაც თანაბრად გადავინანილოთ და რომ გაგვიჭირდება, ერთად გავუმკლავდებით პრობლემებს.“



## ქეთი ლევაჩინი სცენარისტი

„შეიძლება ჩემს საახლობლოში ქალებზე ძალადობა არ ხდება, მაგრამ არსებობს ინტერნეტი და ინფორმაციის სხვა წყაროები, საიდანაც ყოველდღე ვისმენთ ამბებს ძალადობის ფაქტების შესახებ. ძალადობის მასშტაბების შესამცირებლად, აუცილებელია ქალის განათლება, ეკონომიკური დამოუკიდებლობა, თავისუფლება. მხოლოდ ამ შემთხვევაში ვერავინ დაგვჩაგრავს.

ვცდილობ, ჩემი საქმით ვაჩვენო, როგორი სახე აქვს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. ქალთა მკვლელობების ძალიან ცუდი სტატისტიკა იმ ტენდენციებზე მიუთითებს, რომ საქართველოში კაცი ქალს ხშირად თავის საკუთრებად მიიჩნევს. განათლების და დამოუკიდებლობის ნაკლებობა აქცევს ქალს კაცზე დამოკიდებულად, დამოკიდებულება კი - მსხვერპლად. ამიტომაც, ჩვენ უნდა გამოვიდეთ მსხვერპლის კონდიციონან და გავხვდეთ დამოუკიდებელი, თავისუფალი ადამიანები, რომლებსაც არჩევანის საშუალება აქვთ.

ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს და საზოგადოების მხარდაჭერა, განსაკუთრებით ქალაქებს მოწყვეტილი ქალებისთვის. ქალს თუ ეცოდინება, რომ ის მარტო არ არის, მის გვერდით კანონი და სახელმწიფოა, უფრო თამამად მიიღებს გადაწყვეტილებას.

თუ ვინმე მოძალადეს გაამართლებს, ესეც ჩვენი ბრალი იქნება. ნებისმიერი საზოგადოება, რომელიც მოძალადეს ამართლებს, ძალადობის თანამონაწილე ხდება.”



## ნატალია ცომოური მთერავთა სახელის ეირეაზორი

„ჩემთვის იდეალურია ასეთი სურათი: გვყავდეს ძლიერი, განათლებული, დამოუკიდებელი ქალები, რომელებსაც აქვთ გარკვეული ფუნქციები და მოვალეობები. თუმცა, კლასიკური გაგებით, „მოვალეობები“ დღეს უკვე შეცვლილია. ქალებმა საკუთარ თავზე ბევრი რამ აიღეს და, რა თქმა უნდა, ნაკლებად განვითარებულ და განათლებულ საზოგადოებაში გაჩნდა შიში ძლიერი და დამოუკიდებელი ქალების მიმართ. ამის თვითმხილველები ყველა გავხდით, როდესაც ქალთა მკვლელობებისა და ძალადობის ფაქტები გახმაურდა.

გენდერული თანასწორობის განვითარებას არსებული სტერეოტიპები უშლის - უპირველესად ოჯახში, სადაც ქალისა და მამაკაცის როლები ნაწილდება. ბავშვი ოჯახში უნდა ხედავდეს დედ-მამის თანასწორობის მაგალითს, ის ჩვეულებრივ ყოველდღიურობაში უნდა გამოიხატებოდეს. ყველაზე დიდი იმპულსი ოჯახიდან მოდის, მაგრამ არსებობს სკოლა, საზოგადოება, სადაც ყველა ნაბიჯზე რაღაცას სწავლობს.

მე მწერლებთან მიწევს ურთიერთობა, იქაც კაცები ლიდერობენ, მაგრამ არიან გამორჩეული ქალები, რომლებიც ამ სფეროშიც თვალისმომჭრელად გაიბრჭყვიალებენ ხოლმე.

დიდი სურვილი მაქვს, ერთ მშვენიერ დღეს ქალი პრეზიდენტი ან ქალი მინისტრი გვყავდეს, რომ მაჩოური ტესტოსტერონის ბრძოლამ ერთმანეთთან სულ სხვა სახე მიიღოს და სხვა განზომილებაში გადავიდეს. ძალიან მინდა აქტიური პირველი ლედი, პირველი პირების მეუღლეები, რომლებიც სოციალური თემების განხილვებში და მოგვარებაში ჩაერთვებიან.“



## მკა ნიშანები მსახიობი

„ქალზე ფიზიკური ძალადობა საშინელებაა, მაგრამ ფსიქიკური ძალადობა - უარესი. თუკი ფიზიკურ ტკივილს უძლებ და იტან, ფსიქოლოგიურმა შეიძლება გაგაგიუოს და მოუშუმებელი ჭრილობა დაგიტოვოს. ასეთი ტკივილის მიყენება სხვა ადამიანისთვის ძალიან დიდი ბოროტებაა.

ორი აზრი არ არსებობს: ყველა ქალმა თავის საქმე უნდა აკეთოს, ჰქონდეს პროფესია, სურვილები, მიზნები. ის არ არის ვალდებული, არავითარ შემთხვევაში, ითმინოს შეურაცხყოფა, დისკომფორტი, მხოლოდ იმის ხათრით, რომ ოჯახი შენარჩუნდეს, რადგან ეს ოჯახი უკვე ისედაც განწირულია. არც ბავშვები არიან ვალდებული, უყურონ ოჯახში ძალადობას. ამით მხოლოდ ბავშვების ფსიქიკას დავაზარალებთ. თუ ოჯახში ბავშვი ბიჭია, მან შეიძლება ჩათვალოს, რომ ძალადობა ნორმაა და ისევე მოექცეს მომავალში თავის ცოლს, როგორც მამა ექცეოდა დედას.

ქალები ითმენენ იმიტომ, რომ არ აქვთ წასასვლელი, სახლი, ხშირად მათ საკუთარი მშობლები უმხედრდებიან. მშობლებისთვის უფრო მნიშვნელოვანია, რას იფიქრებს ხალხი და არა - რას განიცდის მათი შვილი. არადა, მშობლები უნდა იყვნენ პირველი ადამიანები, ვინც შვილებს არასასურველ გარემოს გაარიდებენ.

არც ისე დიდი ხნის წინ გავიგე, რომ ახალგაზრდა კაცმა შუა ქალაქში ისევ მოკლა თავისი მეუღლე, მერე თვითონაც მოიკლა თავი. დარწმუნებული ვარ, ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა. ასეთ ქცევას ბევრი რამ განაპირობებს: კომპლექსები, არარეალიზებულობა, შეუმდგარობა...



## ჩუსულან ქყონის სტანდარტისთვის

„ახლახან შვედეთში ვიყავი, სადაც შემოიღეს კვოტირების კანონი, რადგან მიიჩნიეს, რომ კინოინდუსტრიაში ქალების დისკრიმინაცია ხდება. კანონის თანახმად, დაფინანსებული კინოპროექტების 50% ქალების უნდა იყოს. ასეთ ცვლილებაზე ქართველ ქალებს უკურეაქცია გვქონდა. ყველამჩავთვალეთ, რომ დისკრიმინირებული არ ვართ. მაშინ ჩვენმა შვედმა კოლეგამ საინტერსო ექსპერიმენტი ჩაატარა. გვკითხა, განგვიცდია თუ არა დისკრიმინაცია. ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემამდე, თავს უხერხულად გრძნობ, ამიტომ ეგრევე უარყოფაზე მიდიხარ, არ გინდა მსხვერპლის როლში გამოჩნდე, ვინმეს სუსტი ეგონო. მაშინ ამ ქალმა აიღო კატალოგი და იქვე, სახელდახელოდ გადათვალა რამდენი ქალის და კაცის პროექტი იყო დაფინანსებული. გამოვიდა, რომ ქალების 30%, კაცების კი - 70% დაფინანსდა. არადა, ქალების წარმატება ფესტივალზე იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ ასეთ შედეგს ნამდვილად არ ველოდით. დიდი სიურპრიზი იყო. ხშირად ისეც ხდება, რომ რეპრესირებული ქალები თვითონაც იცავენ მოძალადეებს, თავადაც იქცევიან მოძალადეებად, ხდებიან უფრო აქტიური დამცველები პატრიარქალური წესრიგის, რაც გასაგები და ლოგიკურია. ამ ყველაფრიდან განათლება და თემაზე ბევრი ლაპარაკი მიმაჩნია. საქართველოში მცხოვრები ქალების უმრავლესობას გარკვეული ტიპის დისკრიმინაცია განუცდია, მაგრამ სირცხვილის გრძნობის გამო არ უღიარებია, თუნდაც საჟუთარ თავთან. ამ დროს უხერხულობის განცდა დაახლოებით ისეთივეა, როგორიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალებს აქვთ. ამიტომ, მთავარია, შევ-ძლოთ ამ უხერხულობისგან გათავისუფლება.”



## ბაზო ხუჩებიძე

### საქართველოს ჩამპიონი

„მორაგბე ასოცირდება ვაჟკაცობასთან, სიმამაცესთან, სამშობლოს სიყვარულ-თან, ღირსებასთან, მორალთან, პრინციპულობასთან, ადამიანთან, რომელიც არის დამცველი. ამიტომ ქალთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიებში მორაგბების ჩართულობა სწორი და წარმატებული ნაბიჯია. ამ კამპანიაში ჩვენ რამდენიმე წლის წინ ჩავერთეთ და დღემდე ვაგრძელებთ.

ჩემი აზრით, ქალებზე ძალადობის მთავარი მიზეზი განათლების ნაკლებობა და რელიგიური მრნამსის არასწორი აღქმაა. ის, რომ საზოგადოებაში მამაკაცი „პირველხარისხოვანია“, ქალი „მეორეხარისხოვანი“, ის, რომ ქალის ადგილი მხოლოდ სამზარეულოშია, ცრუ წარმოდგენაა ქალთა შესაძლებლობებსა და პოტენციალზე. საპედინიეროდ, იმ წერში, სადაც მე ვტრიალებ, ასეთი წარმოდგენა არავის აქვს, პირიქით, ქალს პატივისცემით ეპყრობიან, პატივს სცემენ მის მოსაზრებებს, მისწრაფებებს, მიესალმებიან სხვადასხვა საზოგადოებრივ აქტივობას. ჩემი პირადი ოჯახის მაგალითზეც შემიძლია გითხრათ, რომ მეულლე ყოველთვის სწავლობდა, მუშაობდა, ახლაც ლექციებს კითხულობს და ურთიერთობაშიც თანაბარი ვართ. ქალზე ძალადობა სიმხდალეა. ნებისმიერი სახის ძალადობა სისუსტის გამოვლენაა. რაგბი ძლიერი მამაკაცების სპორტია, რომელიც გმობს ასეთ საქციელს. საქართველოში ფიზიკურ ძალადობაზე მეტად ფსიქოლოგიური ძალადობაა გავრცელებული. მის დასაძლევად, მნიშვნელოვანია, თითოეულმა ადამიანმა, ყველა პროფესიული სფეროს წარმომადგენელმა, თავისი წვლილი შეიტანოს.“



## თამარ თელიშვილი მოჩის მანიფისიტოფი

„მცდარი შეხედულებაა, როდესაც ამბობენ „კაცი უკეთესი ბიზნესლიდერია“, „კაცი უკეთესი პოლიტიკოსია“, „კაცს სხვანაირი გონიერა აქვს“. ქალი პოლიტიკაში ბევრს რთულად წარმოადგენია, ანდა თუ წარმოადგენენ ხოლმე, ეს უნდა იყოს ჯან-დაცვის ან კულტურის სფეროები. ბევრი ქალი არც არის მოტივირებული, ჩაერთოს პოლიტიკაში.

გენდერული თანასწორობა გულისხმობს იმას, რომ ქალებს და მამაკაცებს, საკუ-თარი რეალიზებისთვის, ნებისმიერ ასპარეზზე, თანაბარი შესაძლებლობები ჰქონ-დეთ.

ჩემი ამომრჩევლის უმეტესობა ქალი იყო. მეტი ქალი რომ გვყავდეს გად-აწყვეტილების მიმღებ ორგანოებში, პარლამენტში, ქვეყნის პოლიტიკა უკეთესო-ბისკენ შეიცვლება, უფრო ლიბერალური გახდება.

ქალებს კაცებზე არანაკლებად შეუძლიათ, იყვნენ კომპეტენტურები, პროდუქტი-ულები და დამოუკიდებლები, თუ საკუთარ ძალებში დარწმუნდებიან და განათლე-ბას მიიღებენ. პოლიტიკურ სივრცეს ძალიან სჭირდება თავდაჯერებული ქალები, რომლებიც ნდობის მანდატს ლირსეულად ატარებენ.

პოლიტიკური მოღვაწეობა მხოლოდ მამაკაცების პრეროგატივა არ არის. მსოფ-ლიო პოლიტიკაში ქალისა და მამაკაცის როლები აღარაა გამიჯნული და ეს ჩვენმა პოლიტიკოსებმაც უნდა აღიარონ.

პოლიტიკაში მოსული ქალი განსაკუთრებით მგრძნობიარეა სოციალური საკითხ-ების მიმართ (ჩემი პრიორიტეტიც ამომრჩეველთან დევნილებისა და საბავშვო ბალების თემა იყო). დღესაც ხშირად მაქვს ურთიერთობა ქალებთან, რომლებ-საც ჩემამდე უფრო ადვილად მოაქვთ თავიანთი ოჯახებისა და საცხოვრებელი პირობების პრობლემები - ეს იქნება გზის, წყლის თუ სხვა საკითხები. მათ სჯერ-ათ, რომ მე უფრო მეტად გავიზიარებ და გულთან ახლოს მივიტან მათ გასაჭირს. რეგიონებში, სადაც საზოგადოება ქალს მხოლოდ დიასახლისად და შვილების გამზრდელად აღიქვამს, გენდერის კუთხით ბევრი სამუშაოა.”



## პენაჩა ქრისტესაშვილი

### ჩეკოლუაფოლობი

„ყველ სახის ქცევა, მათ შორის რეპროდუქციული, ყალიბდება მოზარდობის პერიოდში, მათ შორის თავშეკავება ნაადრევი სქესობრივი აქტივობიდან, უსაფრთხო სექსი, პასუხისმგებლობა პარტნიორთან და შვილთან მიმართებაში, გინეკოლოგ-თან სისტემური ვიზიტი. ჩემი პრაქტიკა აჩვენებს, რომ ბევრი დარღვევა, რომელიც შეიძლება ქალის უშვილობას ან ჯანმრთელობის სხვა პრობლემებს იწვევდეს, მოზარდობიდან იწყება. რამდენიმე ნლის ნინ, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ეგიდით, შევქმენით „ახალგაზრდების ჯანსაღი და ჰარმონიული აღზრდის კონცეფცია“, თუმცაბოლოვ დროს მასმედიაში ამ საკითხებზე მსჯელობამ სრულიად არასაქმიანი და სკანდალური ხასიათი მიიღო. ამ საკითხების შესახებ აუცილებელია ცოდნა გქონდეს. გოგონამ, ახალგაზრდამ უნდა იცოდეს, რისთვის არის და რისთვის არ არის მზად, რომ სქესობრივი აქტივობა შეიძლებადამთავრდეს არასასურველი ორსულობით, ძალადობით, რომელიც ხშირია მოზარდებში. ბევრ ქალს და მათ პარტნიორებს/ქმრებს არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არსებობს ადამიანის რეპროდუქციული უფლებები, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ: სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, ჯანმრთელობის, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ოჯახის დაგეგმვის უფლება, გადაწყვეტილების მიღების უფლება შვილების რაოდენობისა და თანმიმდევრობის შესახებ, ნებაყოფლობითი და თანასწორუფლებიანი ქორწინების უფლება, პირადი ხელშეუხებლობის უფლება, დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება, ქალებისა და გოგონების მავნე წეს-ჩვეულებებისგან დაცვის უფლება, წამების ან სასტიკი, არა-ჰუმანური, დაბამცირებელი მობილობის ან სასჯელისგან დაცვის უფლება, სქესობრივი ძალადობისგან დაცვის უფლება, მეცნიერული პროგრესით სარგებლობისა და ექსპერიმენტზე დათანხმების უფლება.“



## პახა პინწურაშვილი მსახიობი

„ქალაქში მოპედით ვმოძრაობ და კარგად ვხედავ იმ დამოკიდებულებას, რომელიც ადამიანებს შორის არსებობს. ეს არის სრული გაუცხოება, გულგრილობა. ყველა მხოლოდ საკუთარ თავსა და კომფორტზე ზრუნავს. გზასაც კი არ დაგითმობენ, აქეთ დამბაშავედ გამოგიყვანენ, ოღონდაც თვითონ არ აღიარონ, რომ არასწორად იქცევიან. ახლა წარმოიდგინეთ, რატომ უნდა იყოს მნიშვნელოვანი ამ ადამი-ანებისთვის ის ძალადობა, რომელიც მათ მეზობლად, ვიღაცის ოჯახში ან ქუჩაში ხდება?..

ქალს უნდა ჰქონდეს განათლების მიღების და განვითარების შანსი, მაგრამ ბევრ კაცს ეს, უბრალოდ, არ აწყობს. მათ აშინებს ქალის ე.წ. პირველხარისხოვნება, რაც სრული აბსურდია და ძნელად დადის ჩემამდე, ასე რატომ უნდა მსჯელობდე? რატომ არ უნდა გახარებდეს, როდესაც შენს გვერდით ძლიერი ადამიანია? მე და ჩემს მეუღლეს არასოდეს გვიფიქრია იმაზე, თუ ვინ უფრო ბევრ დროს უთმობს ბავშვს ან საოჯახო საქმეებს. ზოგჯერ სახლსაც ვალაგებ და მტკერსასრუტს ხმას სპეციალურადაც კი ვუწევ, რომ სხვებმაც იცოდნენ - მე ამის არ მრცხვენია. სხვას რომ ეხმარები, ეს სირცხვილი არ არის. საქართველოში ბევრი ახალგაზრდაა, ვინც არ აღიარებს ადამიანთა თანასწორობას სქესის გამო. ბევრისთვის ოჯახში ერთმანეთზე ძალადობა ნორმაა და ერთგვარი ტრადიცია. ალბათ, ამას, უბრალოდ, არავინ არ უნდა შევეგუოთ. ხმამაღლა უნდა ვიღლაპარაკოთ ამაზე და სადაც შევძლებთ ძალადობის შეჩერებას, უნდა ჩავერიოთ კიდეც, გამოვიდახოთ პოლიცია, რომელიც უფლებამოსილია მის აღსაკვეთად. არ ვიცი, როდის გადავიქცევით ცივილიზებულად მოაზროვნე საზოგადოებად. დიდი დრო გვჭირდება, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ეს აუცილებლად მოხდება.”



## მაინა ფელიშვილი

მაჩელაბნის ჩაირონული სამმართველოს უბნის  
ინსპექტორ-მამომიწოდებელი

„9 წელია, ოჯახში და ბავშვებზე ძალადობის კუთხით ვმუშაობ და ვიტყვი: მო-  
ძალადეებს გენდერული ნიშნით არ ასხვავებენ, მაგრამ პროცენტული მაჩვენებ-  
ლით, ქალი მსხვერპლი უფრო მეტი გვყავს.

შეს-ს ვებგვერდზე ინტერაქტიული რეკა გვაჩვენებს, რომ 2015 წელს, უპრეც-  
ედენტოდ ბევრი ოჯახური ძალადობის ფაქტი გამოვლინდა. მომართვიანობის 2500  
შემთხვევაზე გვქონდა რეაგირება. ეს კარგია იმ კუთხით, რომ ინფორმირების  
დონე იზრდება და სამართლდამცავებს ენდობიან, ანუ ქალებმა გაიაზრეს, რომ  
მათზე ძალადობენ.

მნიშვნელოვანია, რომ ბოლო წლებში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში სხვადასხ-  
ვა პროფესიის ადამიანები ერთიანდებიან. უკვე არსებობს მულტიდისციპლინური  
ჯგუფები - პოლიციის, ჯანდაცვის და განათლების სექტორის წარმომადგენლებით  
დაკომპლექტებული.

ოჯახურ ძალადობის ყველაზე ხშირი მიზეზი სოციალური მდგომარეობიდან  
მომდინარე პრობლემები და ეჭვიანობაა. თუმცა ამ ადამიანებს შორის ურთიერთ-  
შეუთანხმებლობა, როგორ წესი, კარგა ხნის მომწიფებულია ხოლმე.

მნიშვნელოვანია, მსხვერპლმა თვითონ განსაზღვროს, რომ ის მსხვერპლია. რაც  
უფრო გადის დრო ძალადობის პროცესში, მით უფრო ველარ აცნობიერებს მო-  
ძალადე, რომ ის ძალადობს.

აუცილებელია, ძალადობის ფაქტზე დარეკოთ ცხელი ხაზზე 116006.

ჩვენი საკანონმდებლო ბაზა მართლაც საუკეთესოა, მაგრამ ევროპული საზო-  
გადოებისგან ამით კი არა, სტერეოტიპებით განვსხვავდებით. თუ გვინდა, რომ  
ძალადობას ეფექტურად ვებრძოლოთ, უნდა მოვიშოროთ მთავარი სტერეოტიპები:  
შეხედულება „ეს ჩვენი საქმე არ არის“, მოძლვოს მიერ მრევლში იმის ქადაგება,  
რომ ქალი მორჩილებაში უნდა იყოს და ფიქრი იმაზე, თუ „სხვა რას იტყვის“.”



**24.9 - 8.10.2016**

# TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE

*With Elegant Touch of Reality...*

**1** ოქტომბერი  
October

**მარია ბრაუნის  
ეორნინება**

ბერლინის შაუბიუნე, გერმანია  
ადგილი: რუსთაველის თეატრი,  
დიდი სცენა

schaubühne berlin

[www.tbilisiinternational.com](http://www.tbilisiinternational.com)  
+995 32 295 35 82 | 247 57 68

24.9 - 8.10.2016

# TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE

*With Elegant Touch of Reality...*



**6** ოქტომბერი  
October

## თროელი ეალები

სუძუკის კომპანია ტოგა, იაპონია  
ადგილი: მარჯანიშვილის თეატრი,  
დიდი სცენა

**SCOT**

[www.tbilisiinternational.com](http://www.tbilisiinternational.com)  
+995 32 295 35 82 | 247 57 68

## “ფორმისა და გასტის პოლიტიკა” - ინდენტის ობიექტისთვის

ავტორი: ელენა აბაშიძე

ფოტო: იჩა კურავევა



Popiashvili Gvaberidze Window Project  
მცეფ ნიჟარები, Fire Walk With Me

## ე.ა.: რატომ დევიდ ლინჩი და „თუინ ფიქსი“?

**მ.ნ:** როცა Popiashvili Gvaberidze Window Project-ს შევთავაზე ეს პროექტი, ძალიან ჩქარა უნდა გვემუშავა, რადგან ძალიან ცოტა დრო გვქონდა. მე ონლაინ ვიყავი ჩართული მიუნჰენიდან, მათ კი თითქმის ყველაფერი უჩემოდ გააკეთეს. მე მხოლოდ გუშინ ჩამოვფრინდი თბილისში საბოლოო ინსტალაციისთვის, დღეს კი უკვე გამოფენის გახსნა იქნება. ჩვენი მიზანი იყო, რომ გამოფენის გახსნა 17 მაისს დამთხვეოდა. როცა ცოტა ხნით ადრე თბილისში ვიყავი, მაშინ გავეცანი აქაურობას და დაახლოებით უკვე ვიცოდი, რისი გაკეთება შემეცლებოდა თუნდაც ტექნიკურად - ვიცი, რომ აქ ბევრი რამ არ იყიდება. ასევე, ისიც მახსოვდა, რომ საჯარო სივრცეში მუშაობა რთულია და პრობლემებთანაა დაკავშირებული საქართველოში. ამიტომ უკვე წარმოდგენა მქონდა კონტექსტზე.

ირინა პოპიაშვილმა და თამუნა ღვაბერიძემ სავიტრინო სივრცე შემომთავაზეს ამ კონკრეტულ შენობაში, რომელიც საკმაოდ თანამედროვეა და არც თუ ისე ტიპურია საქართველოსთვის და ისეთი იზოლირებულია, რომ იგი შეიძლება სხვაგანაც იყოს. ამიტომ, მერე უფრო დამაინტერესა თვითონ იმ ადგილმა, სადაც ეს პავილიონი არის მოთავსებული. ეს არის მოედანი, რომელსაც თავისი ისტორია აქვს.

როცა აპრილში აქ წარმოსასვლელად ვემზადებოდი, ვკითხულობდი საქართველოზე. არის საკმაოდ საინტერესო წიგნი საქართველოზე, რომელიც გოეთეს ინსტიტუტის ამჟამინდელმა დირექტორმა დაწერა. ამ წიგნის ბოლოში, იგი ხაზს უსვამს თავის დაბნეულობას 2013 წლის 17 მაისს მომხდარი მსვლელობის შესახებ.

როცა გავიგე, რომ ეს მოედანი (ვარდების რევოლუციის მოედანი) ისტორიულ ფაქტს უკავშირდებოდა, ვიფიქრე - თუკი რაიმეს გაკეთებას ვაპირებდი თბილისში, თან ამ ადგილას, მაისში, ეს უნდა ყოფილები ისეთი რამ, რასაც ამ ფაქტთან ექნებოდა კავშირი. მერე უკვე შევთავაზე ჩემი იდეა და წარვადგინე მონახაზი, რომელზეც უკვე 2 ვერიაზე მეტია ვმუშაობთ. ახლაც ველოდებით ინსტალაციის ნეონის ნაწილს და იმედი მაქს, ხევალისთვის მზად იქნება.

თავიდან ვფიქრობდი, რომ ნამუშევარს მომხდართან პირდაპირი კავშირი არ ქონიდა და უფრო შეფარულად მეტქვა სათქმელი. ნამუშევარი არა მხოლოდ ის მთავარი სათქმელია, არამედ კიდევ მრავალი შრისგან შედგება და მთავარი სწორედ ამ შრების პოვნა და ერთმანეთთან დაკავშირებაა.

როცა პირველად ჩამოვედი საქართველოში, მაშინ დავაკვირდი, რომ აქაურ რეალობას მინიმუმ ორმაგი შინაარსი ჰქონდა. როგორც ტურისტი, ჯერ სასიამოვნო ზედაპირს ხედავს ადამიანი, მხოლოდ მერე აღმოაჩენს

ამ ზედაპირის შიგნით არსებულ შრეებს და წინააღმდეგობებს. ამ ყველაფერმა ერთი ფილმი მომაგონა, რომელზეც გავიზარდე - ესაა დევიდ ლინჩის „თუინ ფიქსი: ცეცხლო, მომყევი“ (Twin Peaks: Fire, Walk With Me). აქ ვერასდროს ხვდები, რა არის რეალობა და რა - გამოგონილი.

ჯერ მინდოდა, ეს ფრაზა - „ცეცხლო, მომყევი“ გამომეყენებინა, როგორც წარნერა. შემდეგ კი გა-დავწყიცელები ეს ყველაფერი 17 მაისისთვის დამეკავშირებინა. თვალინინ ეგრევე ლგბტ კულ-ტურისთვის დამახასიათებელი იმიჯები წარმომიდგა - ცისარტყელის ფერები და სხვა. ფერების გამოყენება მინდოდა, რასაც ისედაც ხმირად ვაკეთებ ჩემს შემოქმედებაში, თუმცა არ მინდოდა, ცისარტყელის, როგორც ლგბტ დროშის სიმბოლოს გამოყენება - ისევ იმიტომ, რომ პირდაპირობისთვის ამერიდებინა თავი. ამიტომ, მოვიფიქრე, რომ სულ სხვა მეთოდისთვის მიმემართა - ესაა 1960-70-იანი წლების ევროპაში იაფად ბეჭვდის მეთოდის გამოყენება. იმ წლებში, ამ მეთოდით, ძირითადად, საპროტესტო ლოზუნები თუ სხვა სოციალ-პოლიტიკური დანიშნულების იმიჯები და ტექსტები იბეჭდებოდა.

საინტერესოა, რომ დღეს, როცა საგამოფენო სივრცეში ინსტალაციაზე ვმუშაობდით, ამ მოედანზე ისევ იყო აქცია, რომელიც იმავე 17 მაისს ეძღვნებოდა. ყველაფრის გარდა, ეს ფილმი 1980-იანი წლებისთვის მნიშვნელოვანი ფილმია, ჩემთვის კი - 1980-იანი წლებია მნიშვნელოვანი. მე აღმოსავლეთ ბერლინში გავიზარდე, სადაც, ისევე როგორც თბილისში, 1980-იან წლებს გარდამტები მნიშვნელობა ქონდა.

**რამდენად განსხვავდება დლევანდელი თბილისი იმ თბილისისგან, რომელსაც 1985 წლის მოგზაურობისას გაეცანი?**

ძალიან შეცვლილია. მახსოვს ეს მოედანი - მახსოვს, იყო დიდი მონუმენტი და ერთი დიდი სასტუმრო. მეტი არაფერი მახსოვს კარგად.

მაგრამ აქაურობა განსხვავდებოდა. აქ ადამიანების პირადი სამყარო, საჯაროსგან გამიჯნული იყო. დიდი ცვლილებები მოხდა და დღეს ადამიანებს თავიანთი პირადული საჯარო სივრცეში გამოაქვთ. თუმცა ვამჩნევ, რომ აქ თბილისში დლემდე დიდი ბრძოლაა იმისთვის, რომ მათი მოთხოვნა მიიღონ და გაიგონ.

**შენი შემოქმედება, ზოგადად, ხშირად უკავშირდება პოლიტიკას.**

კი, მე მაინტერესებს პოლიტიკა, მაგრამ არა პირდაპირი გაგებით.



პოლიტიკური განცხადებების გაკეთებისგან თავს ვიკავებ. ჩემი აზრით, თუკი ადამიანს პოლიტიკა პირდაპირი მნიშვნელობით აინტერესებს, ის უნდა წავიდეს პოლიტიკაში. მაგრამ, რა თქმა უნდა, შეგიძლია აჩვენოს ისიც, თუ როგორ ერევა პოლიტიკა იმ საკითხებში, რომელიც ხელოვნებისთვისაა მნიშვნელოვანი. მაგალითად, როგორ არის შენი სენსუალობა პოლიტიკასთან დაკავშირებული; ან, მაგალითად, რა კავშირშია პოლიტიკასთან ფანტაზია, როგორ შეგიძლია წარმოიდგინო რაღაც სხვავარად.

ზუსტად ამ არჩევანზეა ლაპარაკი, როცა ვამბობს, რომ ცისარტყელის ფერების ნაცვლად, ჩემს ნამუშევარში აღტერნატიული ფერების გამოყენება მინდა. ამ დროს, პოლიტიკური განაცხადის პირდაპირ გაკეთების ნაცვლად, შემიძლია, ფერებისა და სენსუალობაზე მანიპულაციის გზით, მაყურებელს ნამუშევრის უფრო ფართო ქრილში დანახვისა და აღქმის სამუალება მივცე და ინდივიდუალური გამოცდილება მიიღოს. აქ უკვე პოლიტიკას უფრო ფართო გაგებით ვგულისხმობ. მე მაინტერესებს ესთეტიკა. ესთეტიკა ჩემთვის არის ის სფერო, სადაც ბევრი რამ ხდება ისეთი, რაც აუცილებლად შინაარსსა და საღ აზრს არ ეფუძნება, თუმცა სენსუალურია. თუ ფერის არჩევისას, ვინმემ რამე გეითხოს, თუ რატომ შეარჩიე ეს ფერი, იშვიათად შეგიძლია გაცე ამ კითხვას რაციონალური პასუხი. მაგრამ ის, რომ შენ ეს კონკრეტული ფერი შეარჩიე, რასაკვირველია, დაკავშირებულია შენთან, შენს მდგო-

მარეობასთან და დროსა და სივრცესთან ურთიერთობასთან.

### ეს ყოველივე ხომ პოლიტიკას უკავშირდება?

კი, პოლიტიკას უკავშირდება, მაგრამ ეს პოლიტიკა არ არის. მე არ ვამბობ რომ ხელოვნება არის პოლიტიკა და რომ ხელოვნებამ შეიძლება ჩაანაცვლოს პოლიტიკა. მაგრამ პოლიტიკა ვერასდროს ჩაანაცვლებს ხელოვნებას. ყოველთვის საჭიროა, ხაზი გაესვას განსხვავებებს. როცა სოციალისტურ ბერლინში ვიზრდებოდი, სკოლაში უნდა წამეკითხა ჩინგიზ აიტმატოვის ნოველა „ჯამილა“. ეს იყო სიყვარულის ისტორია. მაშინ ბავშვები ვიყავით და გვეუბნებოდნენ - ამ ისტორიას სევდიანი დასასრული იმიტომ აქვს, რომ ის კომუნიზმში არ ვითარდებოდა; შესაბამისად, კომუნიზმში სიყვარული და ბედნიერება უფრო იოლი იქნებოდა. ამ ლოგიკის მიხედვით, მოგვიანებით მივხვდი, რომ სწორედ კომუნიზმის დადგომის მერე იწყება ნამდვილი პრობლემები, სიყვარულის პრობლემა, მაგალითად. რადგან სიყვარულის დაპირება, როგორც კომუნიზმის, ასევე კაპიტალიზმის მიღმაა. მომწონს ეს ფრაზა, რომელიც, რა თქმა უნდა, შეიძლება არასწორად აღიქვან. ძალიან მოკლეა, მაგრამ მაინც ვიტყვი: „ნამდვილი პრობლემები, სწორედ ყველა სოციალური პრობლემის გადაწყვეტის შემდეგ იწყება“.

**მაშინ როგორ დაახასიათებდი შენს ნამუშევარს „ჟირო“, რომელიც ვენეციის 56-ე ბიენალეზე გერმანიას წარადგენდა?**

ჩემთვის ესნამუშევარი მკვეთრი პოლიტიკური შეტყობინების მატარებელი იყო.

შეგიძლია, ეს ნამუშევარი მრავალ ჭრილში დაინახო. პერიოდმანსას პოლიტიკური ასპექტიც ჰქონდა. თუმცა, ასევე, საუბრობდა იმაზეც, თუ როგორ შეგიძლია გამოიყენონ მთელი პავილიონის არქიტექტურული ნაგებობა პიედესტალის ფუნქციით. მაყურებელს ნამუშევარი რომ დაენახა, ზემოთ, ცაში უნდა ახედა. ასეთ შემთხვევაში, მთელი პავილიონი ქრებოდა. ვფიქრობ, „გაქრობა“ ძალიან მნიშვნელოვანი აქტია გერმანიის პავილიონისთვის, მისი უმძიმესი ისტორიის გათვალისწინებით, რადგან ვფიქრობ, რომ ხანდახან აუცილებელია შენს ცნობიერებაში რაღაც გააქრო და ახალი დაინახო.

ნაგებობის სახურავზე რამდენიმე ადამიანი ბუმერანგს უშვებდა ლია სივრცეში. ჩემთვის, მაგალითად, საინტერესო იყო, თუ როგორ აღიქვამდნენ ამ ნამუშევარს ბავშვები. ასევე, საინტერესოა ის ასპექტიც, რომ ვენეციის ბიენალე განთქმული გამოფენაა, სადაც არტისტები ცდილობენ, რაც შეიძლება გამორჩეული, ხშირად მასიური ნამუშევარი წარადგინონ. მომავალში ეს ნამუშევრები იყიდება და ა.შ. მე კი გავაკეთე ნამუშევარი, რომლის ფიზიკური მანიფესტაცია არც კი რჩება გამოფენის დახურვის შემდეგ.

ამ ნამუშევარს ყველასთვის სხვადასხვა მნიშვნელობა ქონდა და სწორედ ესაა ჩემი მიზანიც.

**საერთოდ, რთულია შენი პრაქტიკის ერთი სიტყვით დაახასიათება. ვერ იტყვი, რომ იგი ერთ კონკრეტულ მიმდინარეობას მიეკუთვნება, ან რომელიმე მეღისის გამოყენებით არის გაკეთებული. ერთადერთი, რითაც შენი შემოქმედების მრავალი საფეხურის გაერთიანება შემიძლია, არის ის, რომ ხშირად, შენი ნამუშევრები „ადგილს მორგებული“ ან „კონტექსტს დაფუძნებულია“. თავად როგორ დაახასიათებდი საკუთარ შემოქმედებას?**

არის გარკვეული სტილი ჩემს შემოქმედებაში, თუმცა ეს სტილი არაა ძალიან პირდაპირი. მე უფრო გარემო და მასთან ჩემი დამოკიდებულება მაინტერესებს. შესაბამისად, ჩემი შემოქმედება, გარემოსთან ერთად, მუდმივად იცვლება. ჩემს პრაქტიკას ასე დაგახასიათებდი: მაგალითად, ადამიანი მხოლოდ წიგნს არასდროს კითხულობს. ის წიგნის კითხვასთან ერთად, მუსიკას უსმენს და კინოთეატრში დადის, აქვს სხვადასხვა ინტერესი. ასე რომ, ვერ ვხედავ მიზეზს, თუ რატომ უნდა გამოვრიცხო ეს სფეროები ჩემი შემოქმედებიდან. ყველა პროექტი ინდივიდუალურია, ყოველთვის მჭირდება ენახო სივრცე, სადაც ვიმუშავებ; მინდა ვიცოდე მიზეზები, თუ რატომ გამოიყურება კონკრეტული სივრცე ისე, როგორც გამოიყურება. ვცდილობ, რომშექმნილი ნამუშევრით იმავე სივრცის ახალი სახე გამოვაჩინო, რაიმე შევმატო მას. მაგალითად, მჯერა, რომ ვარდების მოედანზე წარმოდგენილი

ნამუშევარი მაყურებელს მომავალში ამ მოედნის შესახებ წარმოდგენას შეუცვლის.

ყველა ობიექტი, ყველა კონსტრუქცია თუ ნიშნების ერთობლიობა ქმნის რეალობას. ასე რომ, ფიქციის, წარმოსახვის და ფანტაზიის ლოგიკა მაინტერესებს.

ხშირად ეს ძალიან პერსონალურ საფეხურზე ხდება. კი, ხელოვნება მხოლოდ პერსონალურ საფეხურს უკავშირდება. ესაა მომენტი შენსა და რაღაც სხვას შორის. როცა ინდივიდსა და ადამიანთა ჯგუფზე ვსაუბრობ, არ ვგულისხმობ მის სინგულარობას, რადგან მჯერა, რომ ყველი ინდივიდი, თავის ყველაზე რადიკალურ გამოხატულებაშიც კი, შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც სხვადასხვა სოციალური ხდომილების ნაკრძი. მაგალითად, როცა ფერებზე ვმუშაობდი, ჩავატარე პატარა კვლევა, თუ როგორ იყენებდნენ ამა თუ იმ ფერს 1970-იან წლებში. დღეს, როცა ამ ფერებს ვუყურებთ, სხვა ფერს ვხედავთ. შეიცვალა არა მარტო ფერი, არამედ ადამიანიც. დღევანდელი პოზიციით, ჩვენ გამოსახულებას და ფერსაც კი სხვანაირად აღვიქვამთ, მიტომ, რომ შეიცვალა ჩვენი რეალობა. ადამიანი არის არა მხოლოდ ინდივიდი, არამედ დროისა და სივრცის მედიუმი.

**საკუთარ შემოქმედებაში ხაზს უსვამ ფორმის პოლიტიკას. რა იგულისხმება ფორმის პოლიტიკაში და მოიცავს თუ არა ეს ჟესტისპოლიტიკას?**

კი, ჟესტის პოლიტიკა ფორმის პოლიტიკის ნაწილია. ის, რასაც მომავალში შინაარსს უწოდებ, უკვე მოცემულია ფორმაში. იგივე შემიძლია ვთქვა ჟესტზე - ჟესტიც ფორმასავათი შინაარსისა და უშინაარსოს და, ასევე, ფიზიკურისა და შეგრძნებითის, იგივე მეტაფიზიკურის ზღვაზეა. როგორც თქვი, „ჟირო“ შეიძლებოდა ყოფილიყო კომენტარი პავილიონზე ან, უბრალოდ, კომენტარი იმაზე, თუ როგორ შეიძლება თიამაში ნამუშევრის ფორმით ისე, რომ სრულიად განსხვავებული ფორმის ნამუშევარი წარადგინო; ან კი შეიძლება იყოს კომენტარი მთელ სოციალურ ცირკზე, რაც ვენეციის ბიენალზე ხდება ხოლმე. ამ ჟესტს მრავალი ახსნა შეიძლება მოეძებნოს.

2005 წელს, ვენეციის ბიენალესთვის გავაკეთე ნამუშევარი, სადაც ცაში ჩამოვარდნილ ვარსკვლავებს რეკლამას ვუწევდი. მოცემული იყო პოსტერი და ინსტრუქცია. თუკი მიყებოდი ინსტრუქციას, ცაზე ვარსკვლავის ჩამოვარდნას დაინახავდი.

ვმუშაობდი ყურადღების ცნებაზე. ვენეციის ბიენალე ხომ ნამდვილი მანქანაა, რომელიც ყურადღების მიქეცებას გამოიმუშავებს. აქ ყველა ერთმახეთს ებრძვის იმისთვის, რომ ამ ყურადღების ეკონომიაში თავისი ადგილი მოიპოვოს. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ რეკლამა საინტერესო აქტივობა იქნებოდა.

რეკლამას იმას ვუკეთებდი, რაც ჩემი ჩარევის გარეშე, ისედაც არსებობდა ბუნებაში. საინტერესოა, რომ ერთი ამერიკელი კოლექციონერი მოვიდა და მეითხა, როგორ მოახერხე, რომ ამ ნამუშევარზე შენთვის „ნასა“ მუშაობს?

საინტერესო ისაა, რომ ის მართალი იყო, რადგან



როცა ხელოვნების სამყაროში ამგვარი ხასიათის რამ ხდება, ის არ შეიძლება იყოს ბუნებრივი ხდომილება, ის აუცილებლად უნდა იყოს ადამიანის მიერ შექმნილი. სამწუახროდ მიღებულია, რომ ის აუცილებლად გასაყიდად მომზადებული ნივთი უნდა იყოს. საინტერესოა, რომ ეს ნამუშევარი გაიყიდა. ვერ გეტყვით, ზუსტად რა გაიყიდა, თუმცა ფაქტია, რომ გაიყიდა.

ეს ნამუშევარი დეივიდ ჰემონსის ცნობილ ნამუშევარს მახსენებს, როცა ის ქუჩაში თოვლის გუნდებს ყიდის.

კი, ჩემთვის ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე კარგი ნამუშევარია ხელოვნების ისტორიაში.

საინტერესოა, რომ ალბათ, სხვადასხვა დროს ადამიანისთვის სხვადასხვა ნამუშევარია მნიშვნელოვანი და შეიძლება ნამუშევრებით ადამიანის სენსუალობის ისტორიის თავისებური მარკირება. ეს ისევ იმ დებულებას უკავშირდება, რომ ინდივიდი თავადაა დროისა და სივრცის მედიუმი.



Let us cater your success!  
თქვენი ღონისძიების წარმატებისათვის!

3 Takaishvili str, 0179 Tbilisi, Georgia

Phone: +995 32 2225552 / Mob: +995 99 230023

Email: [yardcatering@gmail.com](mailto:yardcatering@gmail.com)

# NOASTUDIO

## ინტერიერის ეთანა ყრუაშვილი

ავტორი: მიორიშვილი  
ფოტო: მიორიშვილი ელენი

„Noastudio“ მულტისციპლინური კომპანიაა, რომელიც არქიტექტურულ, ურბანულ და დიზაინერულ პროექტებს 2005 წლიდან ახორციელებს. კომპანიის დამფუძნებლები, არქიტექტორები მიკა ყრუაშვილი, სეზარ რიბეირო და ქეთუნა ყრუაშვილი არიან.

თქვენი პროექტის მიხედვით, მიმდინარეობს თბილისის ერთ-ერთი მთავარი საზოგადოებრივი სივრცის - ვარდების რევოლუციის მოედნის განახლება. ამ ეტაპზე, პროექტი მოიცავს რეკრეაციულ ზონას, პაკილიონს, რომელშიც განთავსებულია კაფე „ივერია“ და ნაგებობას, სადაც მრავალფუნქციური კომპლექსის გახსნა იგეგ-მება. მოგვიყენოთ იმ კონცეფციის შესახებ, რომელიც აღნიშნულ პროექტს უდევს საფუძვლად.

ქალაქების მარებითი თვალსაზრისით, ვარდების რევოლუციის მოედანი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან იგი აბოლობებს რუსთაველის გამზირს. მოედნის ფორმირება მოხდა 80-იან წლებში და აქ იმართებოდა აღლუმები.

ჩვენი მიზანი იყო, შეგვექმნა მწვანე სასეირო სივრცე, ერთგვარი რომანტიული ბაღების თანამედროვე ხედვა. საფეხმავლო ბილიკი დახატულია სივრცის შევიწროებებით და გაფართოებებით, რაც მოედნის სიგრძეზე სხვადასხვა რიტმს ქმნის. კაფე-პავილიონი უზრუნველყოფს მოსასვენებელ ადგილს, ხედით ქალაქზე. მოედნის მოსაპირკეთებელ მასალად ავირჩიეთ დაუსანებული მეტალი - Corten steel, მისი სიმბოლურობის გამო, რადგან ეს მასალა ფართოდ გამოიყენება სამხედრო ტანკების მშენებლობაში. გამწვანება კი ერთგვარი მშვიდობის და სიმშვიდის ნიშანია.

მოპირდაპირე შენობის კონცეფცია ასევე საგსეა სიმბოლიკით. ფუნდამენტად გამოყენებული გვაქვს ყოფილი ტრიპუნის რკინა-ბეტონის კონსტრუქცია. ამგვარად, შენობა აღმართულია საბჭოთა მოწყმენტის ნაგრევებზე და წვრილი ბეტონის ხაზის მოძრაობით სივრცეში ახალ ფორმას იძენს. შენობის ჰორიზონტალურობა და გამწვანებული მოედნის გრძივი ხაზები ერთმანეთთან დიალოგშია.

ნაგებობას, რომელშიც მრავალფუნქციური კომპლექსის გახსნა იგეგმება, საინტერესო ადგილმდებარეობა აქვს. ერთი მხარით, ის არნუვოს სტილის გამორჩეულ ისტორიულ შენობას - მელიქ აზარიანცის სახლს ესაზ-

ღვრება, ხოლო მეორეთი - მოედანს გადაჰყურებს და მის ერთგვარ სახეს წარმოადგენს. აგრეთვე, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ნაგებობა საბჭოთა მოწყმენტის ადგილზე დგას. რა მნიშვნელობა აქვს შენობის დაპროექტებისას გარემოებების გათვალისწინებას?


გლობალიზაცია არქიტექტურასაც შეეხო, რაც გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი ნაგებობა შეიძლება განვლაგებული იყოს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, მიუხედავად მისი მასშტაბის, ფორმისა თუ ვიზუალური მხარის. ჩვენ ამგვარ მიდგომას ვენინააღმდეგებით. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ გარემოს და ე.ნ. ადგილის „სულს“, ანუ „Genius Loci“-ს.



მელიქ აზარიანცის სახლი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შენობაა თბილისში. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, რომ ახალი ნაგებობა არ გამხდარიყო დომინანტი, არამედ შეგვექმნა ერთგვარი ფონური შენობა, რომელიც დაასრულებდა არსებულ ბლოკს, შეკრავდა ერთგვარ შეუეცებელ სამკუთხედს, რომელსაც აზარიანცის შენობა წარმოადგენს გენეგმაზე. ორი შენობა ერთმანეთს ხოდით უკავშირდება, ამგვარად გავაჩინეთ ახალი საფეხმავლო კავშირი რუსთაველის გამზირსა და მოედანს შორის.


რეკრეაციული ზონის ვრცელი ნაწილი დეკორაციულ მცენარეებს უკავია, კაფე „ივერიის“ სახურავიც გამნვანებულია. რამდენად აქტუალურია თქვენს შემოქმედებაში და, ზოგადად, თანამედროვე არქიტექტურასა და ურბანისტიკაში ეკოლოგიის თემა?

დიას, მწვანე სახურავი ეკოლოგიურია და, ამასთან ერთად, მდგრადიც. იდეალური თბილიზოლაციაა სიცივეში და ბუნებრივი გაგრილებას სიცხეში. ვიზუალური მომხიბელებობაც გააჩნია. ჩვენ ხშირად ვიყენებთ ამ გადაწყვეტას. ერთ-ერთ ახალ პროექტში ბალახი ისე გადადის მწვანე სახურავში, რომ არც კი ჩანს ბუნებასა და ნაშენს შორის ზღვარი.

მოედნის გამწვანება კი მთავარი კონცეფციის ნაწილი იყო - მწვანე „ოაზისის“ შექმნა ქალაქის ცენტრში, საავტომობილო მოძრაობით გადატვირთულ ადგილას ხალხის მოზიდვა და მოედნის გამოცოცხლება. ეკოლოგია დიდი პრობლემა მსოფლიოში. მეტი გამნვანებული პარკები და რეკრეაციული ზონები ქალაქში აუცილებელია. ჩვენ გაკეთებული გვაქვს საპროექტო







შეთავაზება, რომელიც გულისხმობს გორგასლის ქუჩაზე მარცხენა საავტომობილო მაგისტრალის გაუქმებას და მტკვრის გასწვრივ რეკრეაციული პარკის მოწყობას. იმედია, ოდესმე შევძლებთ ამ პროექტის განხორციელებას.

**თქვენი ავტორობით გაკეთდა სასტუმრო  
“Radisson Blu Iveria”-ს ღია საცურაო აუზი, სადაც ხისა და ბეტონის ჰარმონიული მონაცემება სადა და დახვეწილ დიზაინს ქმნის...**

ჩვენი ინსტრუმენტი არქიტექტურაში სივრცე და შუქია. დეკორატიული, გადატვირთული ელემენტების და შერეული მასალების გამოყენებას ვერიდებით. ვცდილობთ, სადა ფორმებით, რიტმით, მოძრაობის მიმართულებებით შევქმნათ არქიტექტურული სივრცე. ვცდილობთ, ჩვენს არქიტექტურაში მეოთხე განზომილება გავაჩინოთ, რაც ადამიანის შეგრძნები და ემოციებია, როდესაც ჩვენს შექმნილ სივრცეს მოიხმარს; როდესაც არქიტექტურა არ არის სტატიკური, არამედ გარდაიქმნება სცენარად.

**დაასახელეთ ბოლო წლებში განხორციელებული შენობები და ნაგებობები, რომებმაც განსაკუთრებულად მოგხიბლათ...**

ასეთი ბევრია, მაგრამ ახლა პორტუგალიელი არქიტე-

ქტორის, კარილიო და გრასას პროექტი - “PRAÇA NOVA DO CASTELO DE SÃO JORGE” მახსენდება. ლისაბონის ციხესიმაგრეში არქეოლოგიური მუზეუმია. ტერიტორიაზე მე-11 საუკუნის სამი ნასახლარი იყო. დანგრეული სახლების მოხაზულობა შენარჩუნებული იყო, 50-70 სმ-ის სიმაღლის ძველი კედლების ნანგრევების სახით. ახალი ინტერვენცია გულისხმობდა ამ შენობების მოცულობების რეკრეაციას - მესაბამისად, ახალ მშენებლობას. გადაწყვეტა, რომელიც არქიტექტორმა მოიფიქრა, ყველაზე კორექტული, დელიკატური და დახვეწილია, რაც კი მინახავს.


**მიმდინარე და სამომავლო პროექტები...**

ბევრ საინტერესო პროექტზე ვმუშაობთ. ზოგი მშენებლობის პროცესშია, ზოგიც კონცეფციის განვითარების. რამდენიმე მათგანი საქართველოშია, რამდენიმე კი პორტუგალიაში.

**გენდერული თანასწორობა...**

არქიტექტურა ძალზე შრომატევადი პროფესიაა, რომელიც დიდ ყურადღებას, კონცენტრაციასა და აზროვნებას მოითხოვს. ჩემი აზრით, თუ პროფესიონალი ხარ, რა თქმა უნდა, სქესს მნიშვნელობა არ აქვს. ზოგადად, დადებით შედეგებს მოიტანდა განათლებული, მოაზროვნე და შრომისმოყვარე ადამიანების ჩართვა არქიტექტურაში, ქალი იქნება ეს თუ მამაკაცი.

Phenomena of materialisation - 2016, B&W,  
Fine art print on photo Rag Baryta Hahnemuhle.  
100 X 75cm



# პოპა ჩაბუქვიძე



Gallery 1900-1991  
Installation, tissu militaire sur chassis,  
dimensions variables

## პოკა ჩამიშვილი


კოკა რამიშვილის ნამუშევრებში მუდმივად კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ის მედიები, რომელთაც ის იყენებს და ერთმანეთს უკაშირებს. ფერწერა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ვიდეოს და ფოტოგრაფიას, ფოტოგრაფია კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თავის „მედიუმურ“ წარსულს, ხატვა ვიდეოგრაფიულ ნარატივად იქცევა და ასე შემდეგ. კოკა რამიშვილის ნამუშევრის კომპლექსურობა თითოეული ამ მედიუმის სპეციფიურობის და გამოხატვის სხვა ფორმებთან მისი დამოკიდებულების გააზრებიდან მომდინარეობს, ისე, რომ ის ფორმალისტურ სიცარიელედ არ გარდაიქნება. უფრო პირიქით, ამ გაცნობიერებას მეტი სიზუსტით სხვადასხვა ტიპის შინაარსამდე მიყვავართ - დაწყებული ბოლიტიკით, დამთავრებული ეროტიკით, ემიგრაციის და თანამედროვე სამყაროში ჩვენი ყველა შიშების ჩათვლით, რომლებსაც ეხება მხატვარი.

იორგ ბადერი, კურატორი, კრიტიკოსი და ფოტოხელოვნების ცენტრის დირექტორი, უნივერსიტეტის

## ბავშვობა

ჩემს სკოლასთან ახლოს, კამოს ქუჩაზე (დღევანდელი უზნაძის ქუჩა), კუთხეში იყო მენალის პატარა ჯიხური. მენალე იქ ჩუმად (1971 წელია გარეთ) ყიდდა 10 სმ X 15 სმ ზომის შავ-თეთრ ფოტოებს, უმეტესად ფილმებიდან, როგორებიცაა „შესანიშნავი შვიდეული“, „ფან-ფან ტიულპანი“ და ა.შ. აგრეთვე the Beatles-ის და the Rolling Stones-ის ფოტოებს.

უფრო ჩუმად და მხოლოდ ნაცნობებისთვის ყიდდა ეროტიულ კარტს, სადაც შიშველი ქალების ფოტოები იყო. ეს ყველაფერი ხელით გახსლდათ დაბეჭდილი ძველ საბჭოთა ქალალზე. ძალიან საინტერესო ტექსტურით, რაც ძველ ფოტოს ახასიათებს. თეთრი ქალები შავ ნინდებში შავ-თეთრ ფოტოებზე. ეს გამოსახულებები ჩემთვის დღემდე მუშაობს ყველა კონტექსტთან ერთად, რაც ამ ფოტოებს მოყვება: ტექსტურა, გამოსახულება, შავ-თეთრი ფოტო, შიშველი ქალი, შავი ნინდები, როც მუსიკა, ბავშვობა, სკოლა, საქართველო, საბჭოთა კავშირი და დასავლეთი. რა თქმა უნდა, ჩემი პირადი თავისუფლების შეგრძნება ამ დროს დაიწყო. შევიგრძენი, რომ შინაგანად თავისუფალი



Border 1989  
Tempera, peinture à l'huile, papier, trombones,  
tissu militaire sur chassis, 100 x 130 cm

զար და պատճենագործ ჩემზე არის დამოკიდებული, მიუხედა-  
ვად იმისა, რომ გარეთ კონცლაგერში ვცხოვრობდით. ეს  
კოდი დღემდე მუშაობს.

#### New work...

პირველი სოლო შოუ იყო ბერლინში, 1990 წელს, მსოფ-  
ლიო კულტურის სახლში. ეს საյმაოდ სერიოზული და  
ნარმატებული პროექტი იყო. ამ პროექტმა დაასრულა და  
შეკრა ჩემი ერთი პერიოდი. იდეაზე მუშაობა 1988 წელ  
დავიწყე. მიზნად დავისახე, ტრადიციული ტილოსა  
და ქვეჩარჩოს გარეთ გავსულიყავი და 2D სიბრტყე 3D  
განზომილებაში გადამეყვანა. ტილოს მაგივრად, სამხ-  
ედრო ბრეზენტს ვიყენებდი, ხოლო ქვეჩარჩოს ტრანს-  
ფორმაციას ვუკეთებდი, რომ ქანდაკება ყოფილიყო და ამ  
დროს არ დაეკარგა თავისი შარმი. ბრეზენტს საჭრელით  
ვჭრიდი, რომელიც იმდროს გამოჩნდა გაყიდვაში. ვჭრიდი  
ტილოს და მქონდა სექსუალური კმაყოფილების გრძნობა,

რომელიც დღემდე მახსოვს. ეს იყო ამოქრილი ვაგინა,  
ფანჯარა, გასვლა, თავისუფლება... გავდომდი ერთი  
სივრციდან მეორეში. ამ ნამუშევრებს როგორც ვიზუა-  
ლურად, ისე სულიერად, მოყვება ის სიტუაცია, რაც იმ  
დროს საქართველოში იყო. მოკლედ, დავაგროვე ნამუ-  
შევრები. ბერლინში, ერთ შეხვედრაზე, რომელიც ჩემმა  
მეგობარმა ვოლფგანგ პლატცმა მუზეუმის დირექტორ-  
თან და კურატორთან მოაწყო, რეჟისორ ვიქ ვენდერსის  
სახლში, გამოფენა შემომთავაზეს. პროექტი მთლიანად  
ამ იდეას ეძღვნებოდა. როცა ინსტალირება დავამთავრე,  
ნამუშევრებს სივრცეში შევხედე... და მივხვდი, რომ სამხ-  
ედრო ბაზა ავაშენე... ერთ წელინადში საქართველოში  
ქრონიკული ომი დაიწყო... ასევე პირველი წიგნი გამოვი-  
და ჩემზე და ჩემს ნამუშევრებზე. ერთი წლით ბერლინში  
გადავედი საცხოვრებლად. ბევრს ვმუშაობდი.  
ვეცნობოდი ქალაქს, ხალხს. მოკლედ, დავიწყე დასავლეთ-  
ში ცხოვრება და, რაც მთავარია, სწავლა. საქართველოში  
ამის საშუალება არც მაშინ იყო და არც დღეს.



War from my Window - 1991-1992, B&W photography  
on aluminum 40cm X 60cm

### War from my window

ამ ნამუშევარმა ხელოვნებასთან ჩემი დამოკიდებულება შეცვალა. 1990 წელს პირველი პროფესიონალური კამერა - Canon 7T ვიყიდდ, ძალიან კარგი ოპტიკით. ფული შევაგროვე, ბერლინის გამოფენის მერე ნამუშევრები კერძო კოლექციებში და 2 მუზეუმზე გაიყიდა. ამიტომ გადავწყვიტე კარგი კამერის ყიდვა. არ ვიცოდი, ზუსტად რას გავაკეთებდი, მაგრამ ვგრძნობდი და აბსოლუტურად ნათელი იყო, რომ რაღაც მოდიოდა და კამერა მჭირდებოდა. ერთ წელიწადში - 24 დეკემბერს, თბილისში ომი დაიწყო... 24 დეკემბერს, დილას, მე და მამუკა ჯაფარიძე ირაკლი ფარჯიანთან ტუბდისპანსერსში ავედით. წინა ღამეს ირაკლისთან ვიყავი და შევპირდი, რომ წებოვან ლენტს მივუტანდი, რომ წემსის ვენაზე დამაგრება შეძლებოდა (ამ დროს საქართველოში წამალი კი არა, სალბუნიც არ იყო). მე და მამუკა პალატის კართან რომ

მივედით და გავალეთ, მზით საგსე პალატა დაგვხვდა და ლოგინზე, სადაც ირაკლი იწვა, დახვეული მატრასი იდო... ირაკლი იმ ღამით თავის ახალ გზაზე წავიდა... პალატის აივანზე გავედი, იქიდან მთელი თბილისი ჩანდა. იყო მზე, ხუდადოვის ტყე, ირაკლი, თბილისი და ლენინის მოედნიდან კვამლი ამოდიოდა... დაიწყო ომი... როცა ომია, ტილოს ან ქანდაკებას სიყვარულს ვერ გაუზიარებ და სახელოსნოში ვერ დაჯდები. კამერა შენი ერთადერთი მეგობარია, თუ გინდა იყო დროში და იყო მხატვარი. არც ნაკლები სექსუალური ძალა აქვს თუ მეტი არა. "War from my window" არის სერია - ჩემი ფანჯრი-დან დანახული ომი. ეს არის პირადი სიცრციდან დანახული ლანდშაფტი, სადაც ომია; ომი, რომელიც გხება და თან არ გეხება. 12 დღე მიმდინარეობდა ომი და 12 დღე ვიღებდი. სერიისთვისაც ამდენივე ფოტო შევარჩიე. ასე დაიწყო სიკვდილის ფიქსირება... ამ ნამუშევრმა ხელოვნებასთან ჩემი დამოკიდებულება შეცვალა. გავიგე, რომ სხვადასხვა სოციალურ თუ პირად სიტუაციას თავ



Ego (Collection of Bad and Wrong Words) - 1993-1994, satin,  
embroidery,  
20 X 30 X 2.5cm

ისი მედია, თავისი ენა ჭირდება. შემდგომ ამ ნამუშევარმა  
მთელი მსოფლიო მოიარა, მაგრამ ეს იყო შემდგომ...

### Heat and Conduct

1992 წელს, ბრისტოლში, Arnolfini Gallery-ში ძალიან  
მნიშვნელოვანი ჯაფური გამოფენა გაიმართა. ეს იყო  
მართლაც გარღვევა და პირველი გასვლა პროფესიონ-  
ალურ დონეზე. ამ გამოფენაში მონანილეობას იღებდნენ  
მამუკა ჯაფარიძე, ნიკო ცეცხლაძე, გია რიგვავა, ოლეგ  
ტიმჩენკო და მე. ამ პროექტმა სამუალება მოგვცა,  
მსოფლიო მასშტაბით, პროფესიონალურად და დახვე-  
ნილად შევსულიყავით თანამედროვე და აქტუალური  
ხელოვნების სფეროში.

### Signal

1993-94 წლებში შეიქმნა თანამედროვე ხელოვნების ცენ-  
ტრი თბილისში. დამფუძნებლები იყვნენ: შალვა ხახაშ-  
ვილი, ილიკო ზაუტაშვილი, გოგი გვახარია, გურამ ჩიბაშ-  
ვილი, ნიკო ლომაშვილი და მე. შეიძლება ვინჩე გამომრჩა.

ამ ცენტრის მეშვეობით, რამდენიმე პროექტი გაკეთდა.  
1997-98 წლებში ნიკო ლომაშვილმა, ქეთი კაპანაძემ,  
მანანა დვალმა და მე გავაგრძელეთ ამ ცენტრის საფუძ-  
ვლებზე მუშაობა, როგორც "Vislab"-მა, ანუ ვიზუალურმა  
ლაბორატორიამ და უურნალ "Signal"- ის გამომცემ-  
ლობამ, რომელიც თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებაზე  
გახლდათ ორიენტირებული. მოვინგიეთ ბევრი მხატვარი  
სხვადასხვა ქვეყნიდან და უურნალის სივრცე მივეცით  
პროექტებისთვის. სამწუხაროდ, ფინანსების უქონლობის  
გამო, გამომცემლობამ დიდხანს ვერ იმოქმედა და იძულე-  
ბული გაეხდით, უურნალის გამოშვება შეგვეწყვიტა.  
თუმცა, 2003 წლამდე გავაგრძელეთ სტუდენტების  
გაცვლითი პროგრამა უენევასა და თბილსს შორის.

### Collection of bad and wrong words

კონტრაპუნქტის მეთოდი დრამატურგიაში საკამოდ  
ცნობილია. ამ მეთოდით არის აგებული თითქმის ყველა  
ჩეირი ნამუშევარი. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, როცა  
ორი საპირისპირო სიტუაცია, აზრი, თემა, მასალა ერთ  
სიბრტყეში არსებობს და ერთმანეთს ხელს არ უშლის,



Black Sea - 2009 4 channel video and audio installation. 53 th Biennale Venice, Georgien Pavilion.

პირიქით, ეხმარება თავის იდენტიფიცირებაში. ამ მეთოდით არის შექმნილი ეს კოლექცია, სადაც მე-15-მე-16 საუკუნეების რელიგიური წიგნების შრიფტის დამნერლობა ქარგვის საშუალებითაა გამოყენებული და სიტყვები აგებულია დღევანდელი მასმედიდან. მაგალითად: **Criminal, Corruption** და **ა.შ. ვიზუალურად ნამუშევარი,** რომელიც ჩემი დიზაინერული პროექტის მიხედვითაა შექმნილი, ძალიან მდიდარია, პროფესიონალური მინიატურული ქარგვის მეთოდით და მაღალი დონის ოსტატის მიერაა შესრულებული. ეს ნამუშევარი ხატია იმ სიმბიოზის, რომელიც პოსტ საბჭოთა სივრცეში ეკლესიასა და კრიმინალურ წრეებს შორის ჩამოყალიბდა. ნამუშევარი 1994 წელს შეიქმნა.

#### ინსპირაცია

ინსპირაცია... ყველაზე საიდუმლო სფერო ხელოვნებაში. მხატვრის ნამუშევარი, ინდივიდუალური დრამის, ტრავმის ან სასწაულის შედეგია, თუ ის გულწრფელია... და ფლობს მასალას. რაც შემეხება მე, თავს შევიკავებ და არ ვიტყვი. მინდა, რომ მაყურებელი თვითონ მივიდეს იმ

წყაროსთან, რომელიც შექმნის საშუალებას მაძლევს.

#### შეჩერება ჰორიზონტი

ალბათ, ყველა ასაკს თავისი გმირები ყავს. მაგალითად, ბავშვობაში ჩემთვის შერლოკ ჰოლმსი იყო ადამიანი, რომელმაც ჩემზე დიდი გავლენა იქონია. ჩემში დღემ-დე ვპოულობ ჰოლმსის ფრაგმენტებს. მერე იყო სვამი ვივეკანანდა. შემდგომი პერიოდი, როდესაც არავის არ ვუჯერებდი. ამის მერე რეალური ადამიანები გამოჩნდნენ ჩემს ცხოვრებაში. ერთ-ერთი გახლავთ ვოლფგანგ პლატცი, რომელმაც, როგორც ადამიანმა, ჩემზე გავლენა იქონია. იყო კიდევ რამდენიმე ადამიანი, მაგრამ მინდა, რომ ჩრდილში დარჩნენ, იმიტომ, რომ არ ვიცი, რამდენად სურთ მათ ამ ჩრდილიდან გამოსვლა.

#### Photo Basel 2016

ერთი წელია, რაც ფოტოგრაფიას დაფუძნებული. დავას-რულე პროექტი - გამოსახულება, როგორც ფერწერა. მივედი ბოლომდე და დავსვი ვერდიქტი ნამუშევრების



Gaze - 2016, installation view, Laurence Bernard Gallery, Photo Basel 2016

**სერიით - Lost Landscape.** ფერწერის პროექტი "Back to the future" საჭირო იყო ჩემთვის და შეიძლება რამდენიმე ადამიანისთვის. ამის მერე დავუბრუნდი ფოტოგრაფიას. სულ სხვა რეჟიმში დავიწყე ფოტოსთან მუშაობა. 1991-2006 წლებში ფოტო ჩემთვის დოკუმენტი იყო. ახლა ფოტო ჩემთვის სიბრტყეა პირველ რიგში და შემდეგ დოკუმენტი. ამ ცვლილებამ სხვა რაკურსით დამანახა დღევანდელი ფოტოგრაფია. Photo Basel 2016-ზე წარვადგინე პროექტი "GAZE", რომელიც ისევ კონტრა-პუნქტის მიხედვით იყო შექმნილი. აგებული იყო ორი საპირისპირო დიაფრაგმის რეჟიმი. ერთი F 0.95, რომელიც ადამიანის თვალზე უფრო მეტია, რადგან ადამიანის თვალის გახსნილობა მაქსიმუმ F 1.2-ია და F 0.95 იმას აფიქსირებს, რასაც ადამიანის თვალი ვერ ხედავს. მინდოდა, სინათლის სტრუქტურის დაფიქსირება. ეს არის დიდი ზომის ნამუშევრები. თავისებურად, გროტესკის

საშუალებით, ამ რეჟიმს ვიზუალიზაციას უკეთებს. მეორე რეჟიმი იყო F 16. ძალიან დახურული და დაბალი სიჩქარის რეჟიმით ნატურმორტის კომპოზიციები შევქმნი, მაგრამ ერთი საგანი ყოველთვის მოძრაობაში იყო და მას აფიქსირებდა კამერა. ეს ნამუშევრები პატარა ზომის გახლავთ. სულ იყო 6 ნამუშევარი - 3 ღია დიაფრაგმით გადაღებული ლანდშაფტები, რომლებსაც სინათლის სტრუქტურა ნახევრად აბსტრაქტულს ხდიდა და 3 დახურული დიაფრაგმით გადაღებული ნატიურმორტი. ის Photo Basel-ზე, Galerie Laurence Bernard-ში ვაჩვენე. ამჟამად, ფოტოგრაფიის საშუალებით, სინათლის სტრუქტურულ გამოსახულებაზე ვმუშაობ. კამერა, სენსორი, ობიექტივი. ციფრული მანიპულაცია ჩემს ინტერესებში არ შედის. ყველაფერი უნდა ხდებოდეს ობიექტივისა და რეჟიმის კონტროლის საშუალებით და შემდგომ, რა თქმა უნდა, ბეჭდვა სპეციალურ ქაღალდზე, სადაც



III..... (Light Table) - 2016, series, B&W,  
Fine art print on photo Rag Baryta Hahnemuhle.  
40.5 X 60.5cm

ეს გადაღების რეჟიმი მკაფიოდ ჩანს და ამ ქაღალდზე ის ნაწილი ხდება; ანუ სიბრტყე იკვეთება დაახლოებით ისე, როგორც თანამედროვე ფერწერის დროს. ეს არის გამოსახულება ფიგურატულს და აბსტრაქტულს შორის, რომელიც არამარტო როგორც შინაარსი მუშაობს, არამედ როგორც ობიექტი სივრცეში.

### სამოძღვრო გეგმები

სექტემბერში, მიუნხენში, Hausler Contemporary-ში პროექტის ჩვენება მექნება. პროექტი კონცენტრირებულია ფოტოზე, როგორც სინათლის სტრუქტურის გამოსახულებაზე და ქანდაკებაზე, როგორც 3D ფერის გამოსახულებაზე.

### მეცნიერებლი თანასწორობა

გენდერული თანასწორობის საკითხი ჩემთან საერთოდ არ დგას. მესმის, რატომ არის საქართველოში ასეთი კითხვები ისევ აქტუალური. ამიტომ, ვიტყვი, რომ რაც უფრო განვითარებულია საზოგადოება, მით უფრო იგრძნობა თანასწორობა ადამიანებს შორის. ეს კულტურისა და ცნობიერების შედეგია. პირადად მე, ფოტოგრაფიაზე და, საერთოდ, ხელოვნებაზე თვალები გამიხსნა პროფესორმა თეა ჯაბუამ. თეამ ბევრი რამ მომცა, რისთვისაც დღემდე მადლობელი ვარ. საერთოდ, ბოლო ხანებში თუ მომწონს რამე ნამუშევარი, უფრო ქაღების მომწონს. ჩემი აზრით, დღეს ქალი უფრო პროგრესულია, ვიდრე მამაკაცი. ნაკლებად არის მიჯაჭვული ისტორიასა და ტრადიციებს, უფრო მალე იცვლება...

# თამაში, სახელა მოდა

ინტერნაციული ჟურნალი გიგანტის მიერ



ავტორი: მაკა ჭხველიანი

ფოტო: Mercedes-Benz Fashion Week Tbilisi



ერთმანეთს მოსწავლეთა სასახლეში ვხვდებით; იმ სივრცეში, რომელიც რამდენიმე საათის შემდეგ, სულ სხვა ესთეტიკას შეიძენს; იმ დარბაზში, სადაც ტანსაცმლის გამოგონებით გატაცებულმა 16 წლის ჯაბა დიასამიძემ საკუთარი ნამუშევრები პირველად წარუდგინა შემფასებლებს.

თითქმის ოცნლიანი ინტერვალის შემდეგ, პარიზიდან თბილისის მოდის კვირულში მონანილობის მისაღებად ჩამოსული დიზაინერი საკუთარი კოლექციის საჩვენებლად იმავე სივრცეს - მოსწავლეთა სასახლის დარბაზს ირჩევს. ალნიშვნავს, რომ ასაკისა და გამოცდილების მომატების მიუხედავად, იდენტური მაშინდელი და დღევანდელი ეიფორია: „იმ ოცი წლის წინანდელმა ემოციამ განსაზღვრა, მე მგონი, ყველაფერი. მთელი შემდგომი ცხოვრება, მგონა, იმ ემოციის ძიება... მას გამუდმებით დავეძებ სეირნობისას, სიზმრებში, თითოეულ კაბაზე მუშაობისას, მაგრამ ფაქტების დონეზე რომ მთხოვთ გახსენება, რა როგორ მოხდა, ვერ მოგიყვებით. არ მასხვს. უცნაურია, მაგრამ ასეა. ასეთი ჯადოსნური დღე სხვა არ მქონია ცხოვრებაში... და ახლაც ისე ვლელავ, ვეღარ ვხვდები, მიხარია თუ გაქცევა მინდა...“

**რამით გამორჩეული ბავშვი იყავით?**

იცით, ამ განსხვავებულობას თუ უცნაურობას, რაც, ალბათ, პატარაობიდან მქონდა, თვითონ იმდენად ვერ ვაცნობიერებ-

დი. აი, ბავშვები კი, როგორც წესი, ძალიან კატეგორიულები და ხშირად დაუნდობლები არიან ერთმანეთის მიმართ. ისინი მატყობინებდნენ ხოლმე ჩემს განსხვავებულობას. თვითონ რასაც ვაჩნევდი საკუთარ თავს, ის იყო, რომ თანატოლებთან ურთიერთობაზე და, ზოგადად, მეგობრობაზე კი ვგიყდებოდი, მაგრამ ზოგიერთ ბავშვთან ძალიან იოლად მბეზრდებოდა ხოლმე. ტანსაცმლის და ჩაცმის მიმართ ინტერესი სულ მქონდა, რაც თავი მასხვს, უბრალოდ, ეს იმდენად ორგანული იყო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი, სხვანაირად ვერ წარმომედგინა. ბავშვობაში მშობლები სტუმრად რომ წამიყვანდნენ ხოლმე, იქაც კი სულ ვცდილობდი, ვიღაც გამოიყენა, მისოვის რამე ჩამეცმია - ეს იყო გართობაც და დროის საინტერესოდ და აზრიანად გატარების ფორმაც.

**რამდენი წელია საფრანგეთში ცხოვრობთ?**

სკოლა საფრანგეთში დავამთავრე, თბილისში რამდენიმე წელიწადს ვსწავლობდი და აქაც ფრანგულ სკოლაში დავდიოდ. 17 წლიდან უკვე მუდმივად პარიზში ვარ, საფრანგეთის მაღალი მოდის სინდიკატის სკოლაში ვსწავლობდი. იდეალური ვარიანტი, რომ ამ სფეროში გამეგრძელებინა მუშაობა, ბაკალავრიატის პარიზში დამთავრება იყო. ჯერ ინტერიერის არქიტექტურის ფაკულტეტზე ჩავიბარე და მოგვიანებით ტანსაცმლის დიზაინზე გადავედი. პირველი რამდენიმე წელი



კერძო შეკვეთებზე ვიმუშავე, სპეციალურექტებზე. იქ დამ- წყებ დიზაინერად ვთვლები. კომერციული თვალსაზრისით, გარკვეული სახელი მაქვს. 2007 წელს მქონდა პირველი ოფიციალური ჩვენება. შემდეგ 2010 წელს - უკვე თბილისში. ასევე, ბოლო ორი წლის განმვლობაში, რამდენიმე პრეზენტ- აცია მქონდა, თუმცა იმას, რასაც ახლა ნახავს მაყურებელი, ჩემს მეორე ნამდვილ ჩვენებად ვთვლი, იმდენად მიყვარს ეს ადგილი. 13 წლის ვიყავი, როცა აქ პირველად მოვხვდი საფრანგეთის ელჩის მიღებაზე. მაშინ ჩავიფიქრე, რომ ამ სივრცეში გამემართა ჩემი პირველი ჩვენება.

**ხელოვანი ადამიანებისთვის დამახასიათებელ უცნაურობებს ან სირთულეებს თუ ატყობთ თავს?**

კონკრეტულ სიტუაციებში ვგრძნობ ხოლმე ამ განსხვავებუ- ლობას, გარკვეულ მომენტებში მაქვს განცდა, რომ რაღაც- ნაირად „ამოვარდნილი“ ვარ. თუმცა, ალბათ, ჯერ ისე კარ- გად არ ვიცნობ საკუთარ თავს, რომ ამ ყველაფერს უფრო კონკრეტული სახელი დავარქვა.

**განტვირთვისთვის რა გჭირდება?**

მეგობრებთან ყოფნა, მუსიკის მოსმენა, სეირნობა, უზრიები- სა და ადამიანების თვალიერება... პარიზი ამის საშუალებას ძალიან იოლად იძლევა. ფეხით სიარულისასაც ვმუშაობ,

ვფიქრობ, ფიქრით იბადება ბევრი რამ. ვალაგებ აზრებს, ვეძებ ნაჭრებს, აქსესუარებს.

### მოგზაურობა?

მოგზაურობაც, რა თქმა უნდა. მოგზაურობა - დიდი სეირნო- ბაა. მიყვარს, როცა რომელიმე ქალაქში ჩავალ, იქიდან სადმე კუნძულზე გადავალ, მერე კიდევ სადმე... სანგრძლივი მოგ- ზაურობის დროსაც კი ვამბობ, რომ ვსეირნობ. იმის გაა- რება, რომ სახლში არ ვარ - არ მიყვარს. სახლიდან შორს ყოფნა არ მიყვარს.

### გიყვართ სახლი?

ძალიან! საერთოდ, სახლი და მშობლები ჩემთვის ცხოვრება- ში ყველაზე მნიშვნელოვანია.

### მშვიდი ცხოვრება გიყვართ?

არა, პირიქით, არეული. შეიძლება, უბრალოდ, ასე გამომდის. დატვირთული და მოვლენებით საესე ცხოვრება მაქვს. ბევრი ხალხი და მხიარულება მიყვარს.

### დეპრესიული განწყობა არასდროს გეუფლებათ ხოლმე?

დეპრესიული განწყობა კვირა დღეს მიტევს ხოლმე. კვირას ვიწყენ და ვერაფრით ვირთობ თავს. უბრალოდ, ისე ჩქარა გადის კვირა, ისევე, როგორც ყველა სხვა დღე, რომ ვერ ვასწრებ ამ დეპრესიულ განწყობაში ჩაძირვას. ორშაბათი დგება და აქტიური სამუშაო კვირა იწყება.

**როცა კოლექციაზე მუშაობთ, წარმოდგენილი გაქვთ, ვისთვის იქმნება ესა თუ ის სამოსი?**

ყველა კაბა სხვადასხვა ტიპაჟისთვის იქმნება. ასე წარმო- მიდგენია მუშაობის პროცესში. ხშირად კონკრეტული კაბის მიღმა კონკრეტული ქალი დგას - როგორც შთაგონება... თუმცა ამ პროფესიის არსი და ხილლი იმაშია, რომ უკვე დას- რულებული სამოსი აგტომატურად თავისუფლდება შენგან - ავტორისგან. მე შეიძლება ვიღაც დავინახე ამ კაბის მიღმა, მაგრამ რეალურად ვის სხეულზე აღმოჩნდება ის, ჩემს კონტროლს აღარ ექვემდებარება. მე ვემნი მას და ვუშვებ - ვისაც გაუხარდება, იპოვის და მოირგებს. და ხშირად ის შეიძლება რადიკალურად განსხვავდებოდეს შენი წარმოდ- გენისგან.

**თბილისი შეცვლილია მას შემდეგ, რაც საფრანგეთში წახვედით?**

ვიზუალური თვალსაზრისით ბევრი რამ გაფუჭდა. პარიზში იმ თბილისზე უფრო ვფიქრობ ხოლმე, რაც მეხსიერებამ აღ- ბეჭდა და არა იმაზე, რაც დღეს აქ ჩამოსვლისას მხვდება.

**სამშობლოდ საქართველოს თვლით თუ საფრანგეთს?**

ორივეს. გეოგრაფიული თვალსაზრისითაც, ენის, ფიქრისა და სიზმრების მხრივაც. ხან ფრანგულად ვხედავ სიზმრებს, ხან - ქართულად. პარიზს მიჯაჭვული ვარ იმ მხრივ, რომ



სამუშაოდ, შთაგონებისთვის მჭირდება ის სივრცე. შეიძლება ითქვას, ტვინის კომფორტს ვეძებ, რომ იდეები მოვიდეს.

#### ტანსაცმლის მიმართ ინტერესი ყოველთვის გქონდათ?

დიახ. მე მგონი, დაპატიჟიდან. ოჯახის წევრებისგან ამ მხრივ კარგი მაგალითის აღების საშუალება მქონდა, ჩაცმას ჩვენთან ყველა დიდ ყურადღებას აქცევდა. დიდ ბებიას პარიზში სამკერვალო ჰქონდა, კონსტრუქტორი იყო. ბაბუაჩემი, ნიაზ დიასმიძეც ჩაცმის გამორჩეული სტილით იყო ცნობლი. ლამაზად ჩაცმა მეც ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ მოდას დას დღემდე ვერ ალიქვამ პროფესიად. სულ მგონია, რომ ტანსაცმლის მიმართ ინტერესიც და სტილის შეგრძნებაც თანაბეჭდილია. რაღაცები ზოგჯერ თავისთავად ხდება, ჩვენი სურვილისა და გადაწყვეტილების მიუხედავად. ყოველთვის კონკრეტულად ვიცოდი, უფრო ზუსტად, ვგრძნობდი, რა უნდა მეკეთებინა.

#### საკუთარ თავსაც უკერავთ სამოსს?

რაღაცებს ჩემითაც ვიკერავ. თვითონაც და ნებისმიერი ადამიანის შემთხვევაშიც, ვთვლი, რომ მთავარია სტილი გქონდეს, ისე იცვამდე, რომ ტანსაცმელი ბუნებრივად გამოიყურებოდეს შენს სხეულზე, პიროვნების ორგანულ გაგრძელებად აღიქმებოდეს.

#### რით განსხვავდება ერთმანეთისგან თბილისური და პარიზული ქუჩის მოდა?

კაცების ქუჩის მოდა საქართველოში არ არსებობს, საინტ-

ერესოდ ჩაცმულ ქალებს კი ხშირად შეხვდები. თბილისელ ქალებს ყოველთვის ჰქონდათ სტილი, რომელიც ხშირ შემთხვევაში დაკვირვებული და დახვეწილია. ურანგული სტილი უფრო თავისუფალი, მრავალფეროვანი, ნაკლებად კოდირებული, შეუზღუდვავია. იქ ინდივიდუალურობა ყოველთვის ხაზგასმულია. პარიზში ჩაცმა, ზოგადად, უმნიშვნელოვანესია.

#### წარმატების მთავარ პირობად რა მიგარინია?

თავდაუზოგავი შრომა საჭირო და გამართლებაც დიდ როლს თამაშობს. ეტაპს გააჩნია. საერთოდ, მთავარი მაინც შთაგონებაა, რომელიც, ვერ გაიგებ, ჰაერიდან მოღის თუ მინიდან. მე, უბრალოდ, რაღაც იდეების გამტარებელი ვარ. გამიმართლა, რომ ასეთად დავიბადე - რომ ეს იდეები ჩემგან გადის. დიდი შრომა სწორედ იმისთვისაა საჭირო, რომ ეს იდეები სწორად გავატარო.

#### განწყობას მნიშვნელობა აქვს მუშაობისთვის?

სიყვარულს აქვს ყველაზე დიდი მნიშვნელობა. მუდმივად შეყვარებული ვარ. მე მგონი, ყველაზე ბავშვური და არა-სერიოზული შეყვარებულ მდგომარეობაში ვარ და, ალბათ, ამიტომ გამომდის მუშაობაც კარგად.


#### როგორ მომავალზე ოცნებობთ?

ამ მხრივ, ალბათ, ორიგინალური ვერ ვიქნები. ვოცნებობ, ჩემი სახელი და ხელნერა იმდენად განთქმული იყოს, ქუჩაში ცნობდნენ ადამიანებს ჯაბა დიასამიძის ტანსაცმლით.



# HeForShe პაცემის ბრძოლა თანასწორობისთვის

ავტორი: გიორგი აჩობელიძე



დღეს, ჩვენს საზოგადოებაში, თითქოს ყველა თანხმდება იმაზე, რომ ადამიანები, მიუხედავად ჩვენი სქესისა, თანასწორები ვართ, მაგრამ, როგორც წესი, ეს შეთანხმება, უბრალოდ, შეთანხმებად რჩება და დამოკიდებულებები და დაბრკოლებები, რომლებიც ქალებს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს, არათუ მცირდება, არამედ კიდევ უფრო იზრდება.

ფაქტია, რომ ჩვენც თითქოს შევეგუეთ ამ მოცემულობას, ან თუ არ შევეგუეთ, ყოველი ჩაგვრის გამოვლინებას აღვიქვამთ, როგორც „კიდევ ერთს“ და ხშირ შემთხვევაში, ადეკვატური რეაქცია არ გვაქვს ხოლმე. მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში ლამის ტრადიციად ჩამოყალიბდა, რომ წელიწადში რამდენიმე ათეულ ქალს კლავს ქმარი, ყოფილი ქმარი, თუ პარტნიორი; მკვლელობის მოტივი თითქმის ყველა შემთხვევაში ერთია - კაცებს მიაჩინათ, რომ ქალები უნდა ემორჩილებოდნენ

და თუ ისინი ცოტა უფრო მეტ დამოუკიდებლობას ამჟღავნებენ ან ითხოვენ, ამის ატანა კაცებს არ სურთ. ამ ტიპის მკვლელობის გახმაურების შემდეგ საზოგადოების ერთი ნაწილი ცდილობს, ახსნა მოუქებნოს და გაამართლოს დამნაშავე. არგუმენტები, როგორც წესი, იდენტურია. „ალბათ ლალატობდა“ და ა.შ. მეორე ნაწილი, კი, რომელიც იაზრებს მკვლელობისა და ჩაგვრის რეალურ მოტივს, ლამის რუტინად ქცეულ რიტუალს ასრულებს, ანუ ძალიან ვიწრო წრეში განიხილავს ძალადობისა და მკვლელობის რეალური მიზეზს - გენდერულ უთანასწორობას. ფაქტი ერთია: ადამიანების უმრავლესობას სჯერა, რომ „ალბათ უღალატა“ და მაგიტომაც მოკლა.

ქალთა ქცევა, რომელიც ჩვენს სოციუმში აღიქმება, როგორც ამორალური, კაცს აძლევს იმის უფლებას, რომ მოკლას, დაასახიროს, ან რაიმე ტიპის ზიანი

მიაყენოს მას. ეს კარგი მაგალითია, თუ როგორ ხდება ქალის, როგორც საკუთრების აღქმა და მისი ობიექტად ქცევა. ისიც ძალიან ნათელია, რომ ჩვენს საზოგადოებას ორმაგი მორალური სტანდარტი აქვს - რაც ეპატიება კაცს (სუბიექტს, აქტორს), არ ეპატიება ქალს (ობიექტს, დაქვემდებარებულ არსებას).

ფემიციდი ქალთა ჩაგვრის, ალბათ, ყველაზე ხილული მაგალითია. სიტუაცია გაცილებით რთულადაა, როდესაც საქმე ეხება იმ ტიპის ჩაგვრას, რომლის ძალადობისა და დისკრიმინაციის ფორმად კლასიფიცირებაც კი ძალიან ბევრს უჭირს. მაგალითად, ფაქტია, რომ საჯარო სივრცეების უდიდესი ნაწილი კაცებს გვაქვს და კავებული. არ ვისაუბრებ, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ პოლიტიკაში, ვინაიდან ამაზე ბევრჯერ თქმულა და კიდევ ხშირად ისაუბრებენ. მე მოგიყვებით იმაზე, თუ რა ხდება ჩემ ირგვლივ.

მე სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია 115-ის“ წევრი ვარ. ეს მოძრაობა თავიდანვე გამორჩეული იყო იმით, რომ მასში მინიმუმადე იყო დაყანილი სექსიზმის, პომოვნობისა თუ სხვა ტიპის ჩაგვრის შემთხვევები. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა ჩართულობის თვალსაზრისით, შეიძლება სხვა სტუდენტურ თრგანიზაციებზე ან თუნდაც პოლიტიკურ პარტიებზე უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, ფაქტია, რომ ამ სივრცეშიც კი, სექსიზმისა თუ ჩაგვრის შემთხვევები ძალიან ხშირია. ჯვეუფის შიგნით სამოქმედო გეგმებთან და კავშირებით ცხარე საუბრისას, არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ეს საუბარი ხმის აწევითა და ემოციური ლაპარაკით გაგრძელებულა. ამ ყველაფრიდან კი გამოიკვეთა ერთი: ქალის ემოციურობა გაცილებით უფრო პრობლემურია საზოგადოებისთვის, ვიდრე კაცის. კაცი თუ ხმამაღლა დაილაპარაკებს, იყვირებს და ა.შ., ეს აღქმულია, როგორც ნორმა, ხოლო როგორც კი ქალი ხმამაღლა ინწყებს ლაპარაკას, მაშინვე მას ისტერიულობას დასდებებს ბრალად, მისკენ კი უამრავი ცინიკური ფრაზა თუ შეძახილი მიემართება. მოცემულობაა, რომ ამ სისტემაში ქალებს არ აქვთ იმის უფლება, რა პრივილეგითაც კაცები სარგებლობენ. ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციისა და კანონებში წერია, რომ ქალი და კაცი თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდნენ, მაგრამ ფაქტია, რეალობა არ იძლევა ამის საშუალებას.

საინტერესოა, ასევე, თუ რა ხდება მაშინ, როდესაც საქმე ეხება საჯარო მიმართვებს, მაგალითად, აქციების დროს შეკრებილი ხალხის წინაშე სიტყვით გამოსვლას.

ამ საუკუნეში ჩვენს ქვეყანას ბევრი აქცია და დემონსტრაცია ახსოვს. პრაქტიკულად, შეუძლებელაა ისეთი შემთხვევის გახსენება, სადაც სიტყვით გამომსვლელთა შორის კაცები არ დომინირებენ. შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ ქალებს, უბრალოდ, არ სურთ რუპორთან მისვლა, მაგრამ საქმე ასე მარტივად არ არის.

ჩვენს მოქმედებას განაპირობებს ის გამოცდილებები, რომლებიც გაგვაჩნია. ქალებს და კაცებს კი სხვადასხვანირი გამოცდილება გვაქვს. ეს განპირობებულია იმით, რომ, უბრალოდ, სხვადასხვანირად გვზრდიან, სხვადასხვა რამებს გვასწავლიან, სხვადასხვა მიზანს

გვისახავენ და სხვადასხვა „ინვესტიციას დებენ“ ჩვენში. კაცები უფრო თავდაჯერებულები ვართ, იმიტომ, რომ ასე გვასწავლეს, ქალებს კი იმას ასწავლიდნენ, რომ მათი საქმე საჯარო სივრცეში ყოფნა არ არის. შესაბამისად, როდესაც საქმე ეხება იმას, თუ ვინ უნდა მიეღიდეს რუპორთან, ქალი თუ კაცი, უპირატესობა კაცს ენიჭება, ქალი კი საჯარო სივრცის მიღმა რჩება. აუდიტორია 115-ის აქციები, სხვა ყველაფერთან ერთად, იმითაც იყო გამორჩეული, რომ როგორლაც მოვახერხეთ და ამ პრობლემას გავუმკლავდით. ამაში კი იმ ქალებითან ერთად, რომლებიც მზად იყვნენ, საკუთარი და სხვა ქალების უფლებებისთვის ებრძოლათ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს კაცებმა, რომლებიც აცნობიერებდნენ, რომ ქალებსაც ისევე შეეძლოთ საჯარო სივრცეში პოზიციონირება, როგორც მათ. შესაბამისად, როდესაც საკითხი დგებოდა, თუ ვის უნდა მიემართა აქციაზე შეკრებილი ხალხისთვის, ქალებს კაცებისგან მხარდაჭერა ჰქონდათ. რა თქმა უნდა, ეს მხარდაჭერა არ ყოფილა ყველა კაცის მხრიდან, მაგრამ ფაქტია, რომ საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ქალებს საკუთარი თავის ერწმუნათ.

რა თქმა უნდა, ჩვენი გარემო არ არის სტერიტური, არავის აქვს იმის ილუზია, რომ დაცლილი იქნება სექსიზმისა თუ სხვა სახის დისკრიმინაციისგან, ამიტომაც არც თავი უნდა მოვიტყოთ, რომ ყველაფერი კარგადაა და არც სასოწარკვეთას მივეცეთ. ეს არის ბრძოლა, ერთი მხრივ, საკუთარ თავთან, რომ დავთმოთ პრივილეგიები და მეორე მხრივ, ქალების ბრძოლა, რომ დაიკავონ საჯარო სივრცეები და ისარგებლონ თავინთი უფლებებით.


ვფიქრობ, ეს არის ის, რასაც გულისხმობს გაეროს ქალთა ორგანიზაცია კამპანიაში HeForShe. უმნიშვნელოვანესია, რომ კაცებმა გავიაზროთ, თუ რა მოცემულობაში აყენებს პატრიარქატი როგორც ქალებს, ასევე კაცებს. თანასწორობის უზრუნველყოფა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ კაცები უარს ვიტყვით იმ პრივილეგიებზე, რომლებსაც სისტემა გვანიჭებს, იმის მიუხედავად, რომ ეს ჩვენ არ დაგიმსახურებია და დაბადებიდან გვეძლევა.

**HeforShe** არის სწორედ იმ კაცების სოლიდარობის მოძრაობა გენდერული თანასწორობისთვის, რომლებიც მზად არიან, უარი თქვან საკუთარ კომფორტის ზონაზე და იბრძოლონ ქალებისთვის.

ეს კამპანია სხვა კაცებისთვის მოწოდებაა, რომ მათი მონაწილეობა ქალთა უფლებების დაცვისთვის ბრძოლაში გაიზარდოს. პირველ რიგში, ჩვენ, კაცები, თვითერიტიკულები უნდა ვიყოთ, უნდა ვალიაროთ ის შეცდომები, რასაც ყოველდღე ვუშვებთ და თვითრეფლებისაც არ უნდა დავიშუროთ.

**HeforShe** არ არის ქალებისთვის სოლიდარობა, არ არის უბრალოდ მათი მხარდაჭერა. ეს ჩვენი, კაცების ბრძოლა, რომ უკეთეს, თანასწორ გარემოში ვიცხოვოთ, რომ აღარ კლავდნენ ჩვენ ირგვლივ ქალებს, აღარ გვიხდებოდეს მათი დაცვა ჩვენივე თავისგან.

ეს არის მუდმივი ბრძოლა, რომელსაც არ ჰყავს ერთი გამარჯვებული და დამარცხებული: აქ ვიმარჯვებთ ან ვმარცხდებით ყველა.



## გარე ბეჭედი

ავტორი: მიორქი მაისურაძე

ფოტო: Senne Van Der Ven



## მუსიკა

მუსიკის მიმართ ინტერესი დაახლოებით 10 წლის ასაკში გამიჩნდა. ჩემი პიძამვილი უკრავდა გიტარაზე და ვთხოვე, ესწავლებინა. შემდეგ ოჯახთან ერთად, თბილისში საცხოვრებლად გადავედით. ახალი გარემო დამეხმარა, რადგან არავის არ ვიცნობდი და ეზოში თამაშის მაგივრად, გიტარაზე დაკვრას ვსწავლობდი.

### Boards of Canada

**Boards of Canada** იყო ჯგუფი, რომელსაც პირველად მოვუსმინე და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ამის შემდეგ უკვე დავინტერესდი და მუსიკის კეთების სურვილი გამიჩნდა.

### Me and My Monkey

**Me and My Monkey**-ში დაკვრა კარგი გამოცდილება იყო. ყოველთვის საინტერესოა მუშაობა ადამიანთან, რომელსაც მუსიკის წერისადმი რადიკალურად განსხ-

ვავებული მიდგომა აქვს.

### ელექტრონული მუსიკა

დაახლოებით 5 წლის წინ, როდესაც **Me and My Monkey**-დან წამოვედი, მივხვდი, რომ მუსიკის კეთება სახლშიც შემეძლო.

### პნევიჩაბინა

სხვადასხვა გარემოში ყოფნის შესაძლებლობა, ადამიანები, მათთან დაკავშირებული ემოციები და მოგონებები. ხშირ შემთხვევაში, ისტორია ან რაიმე ამბავი არის დასაბამი, რითიც ვიწყებ მუსიკის წერას. კეთების პროცესიც ინსპირაციად იქცევა ხოლმე. აგრეთვე, შთაგონებას იწვევს შემოქმედებითი აქტები - კინო, მხატვრობა, ფოტოგრაფია და ა.შ.

### R&S records

ჩემი ტრეკი “Remember” ფეისბუქზე დავდე და ცოტა



ხანში, ჩატში “R&S records”-ის დამფუძნებელის მე-სიჯი დამხვდა, რომელმაც ჩემთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. 16 წლის ვიყავი, პირველად რომ აღმოგაჩინე Aphex Twin-ის ალბომი, რომელიც იმავე ლეიბლზე გამოიცა და ის დღემდე ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ჩანაწერია.

#### Send Two Sunsets/Restless

“Send Two Sunsets” 2 წლის მანძილზე გაკეთებული ტრეკების ერთობლიობა იყო, ვიდრე ალბომი, როგორც ერთი მთლიანი ისტორია. ლეიბლს გავუგზავნე და ალბომად გამოშვება შემომთავაზეს. რამდენიმე კომპოზიცია ტუსია ბერიძესთან ერთად ჩავწერე. მიხარია, რომ მსმენელმა მიიღო. იმ პერიოდში პარალელურად ბევრს ვმუშაობდი და ბევრი მუსიკა დამიგროვდა, რისი შედეგიც იყო მეორე ალბომი - “Restless”, რომელიც ფსევდონიმით - Bakradze გამოვუშვი. მუშაობის დროს, რამე კონკრეტული იდეა არ მქონია. პროცესში უველავერი თავისით განვითარდა.

#### ამჟამინდელი და სამომავლო გეგმები

ახალ ალბომზე და კიდევ რამდენიმე პროექტზე ვმუშაობ. თუმცა, ჯერ ამაზე არ ვსაუბრობ. ასევე, მეგობრებთან ერთად, რეკორდ-ლეიბლი “Transfigured Time” დავაარსე, სადაც საწყის ეტაპზე ორი კომპილაცია და ერთი ალბომი გამოვუშვით.

#### მეცნიერები თანასწორობა

ვფიქრობ, სქესობრივი დაყოფა, რომელიც ქალსა და კაცს ერთმანეთისგან ასხვავებს და ხშირ შემთხვევაში კაცს ანიჭებს უპირატესობას, არ უნდა არსებობდეს. ელქტრონულ მუსიკაში ბევრი ქალი მუსიკოსია, რომლებიც მომწონებენ: Pauline Oliveros, Laurie Spiegel, Éliane Radigue, Suzanne Ciani, Laurie Anderson, Bjork, Laurel Halo, Jessy Lanza, Grimes, Ikonika, Kim Ann Foxman და კიდევ ბევრი...



Instagram: ethere\_accessoire  
Facebook: Éthéré Accessoire

Email: ethereaccessories@gmail.com  
Tel: (+995) 551 000 549

# კალიგრაფია

ავთონი / ფოთო: თიმები შაბაურიშვილი





ბესო უზნაძე / ფოთომხატვი





### ნინო ეაჩასელი - ართ მანებელი, უარნაცისმო

ქვემ ჯერ 3 წლის შორივ, ჩემზე ტელერად უჭირა შეცვალა  
და თავის გრძელებისას, ქამატი დიდობრივა ტექნიკის სისტემის  
ერთ განვითარებულ და მაღალი ნივულის სისტემაზე გერიონის  
უპლატინა იმ საუკეთესო დროს ხდის გრძელებულ არ შეცვალე-  
ოს და დაპირისპირ ხელშესავალ ხელშესავალ თასს გარდა -  
დუღის უცველ ტექნიკის ხელშესავალის უცველ ტექნიკის. რა ა სწო-  
რები ამ ტექნიკის რჩება. მათგან ბარები სუბიტუ არია  
დაზღვა. თუ კი მანამ არ არ გამოიყენოს მარტინ სახელით,  
ერთხელ მარტინ სახელით და იუსტი - მარტინ ტესელა არარ  
მიზრათ, თანც კულტურულობა. მარტინ არ კონფესი, ერთა  
დოფი სახელმწიფო მასივთან, შემო ცნობილის  
"ქოთ და კოდი" დავამზადე დაუკარ რუს უძრავი დაბა,  
ხელშე შეცვლილ ბიუ:-))

რომას გილერეა, ტელერია, შედარიგობი, მარტინ არ უ-  
კონტაქტი და გამოსაკვლეული მარტინის. ხელშე როგორ-  
ლიყო კაც რა, მარტინ არ წერ უსახლისო ვაკასიერის  
მარტინს მამს, ჩემს შეცვლილ წერა ჰქონდა. ას ხოლო კოდულ  
უქიმი ბარები იყო, რომ ჩემ ქალიშვილი წერს როგორს.  
თავის "გოგოებს" :-))

დაცვას ხელშე იყენება, მარტინ დაცვება მარტინს და დაცვის  
ასეთა, რა გადაწყვდა „ნიკოლა“. რა მარტინ, როგორსაც გამზი,  
გრძელებისას დარის, გრძელ ხოლო უზრუნველ რომ მარტინ  
იმიზომ დაკარის ამავე მარტინს, რომ პატერი ას გენერატორ  
გაასამარტინებელ ამ საოცხოა როგორ დაკარის თავს, რომ


მარტინ უცხოს ძირისა, უცხოს მუზიკა, უცხოს რეზუნია ვიზუალუ  
მის მუზიკის ბიუტი და ხოლო თქ ფოტო, თას ბაქობასაც  
ბიუტის უცხო მო სუბიტუს და ხოლო ლუცი ლომისა სწოროა..  
მარტინ ბარტომ ჩატენა, ჩიკის როგორ გადასრულვად შეა-  
სრულა და იმს შეს, ხომ გამარტინ იახორის სარტყელის, ხომ  
გამარტინ და ხელუ მოქსის მარტინ არა ასებობს სწორის  
ქირს და მამკაცის როგორის შესრულების.


დაცვას ეს ას შეცხა ხოლოშ, ხოლო იმ პერიოდის შეს,  
სიღაურ გენერატი და ქორა უცალებელი დაცვა მარტინის, ას  
რეზოუ ას დაცვას ესე:-))

,



ეუითრი ქნებელი / მხატვარი, ილუსტრატორი





ივა სოხუმი - მსახიობი

ექსერი ე-ვადსწონ,  
კუსტი ჩენი მო არა,  
წარავალი გარმა გასებდა,  
უზრუნველყო ერთ-ერთ  
ე მოძვრა გამომარტოვნება .  
(ვევ-ვევევა) E. Linder ვე